№130
(12 200)

5 ივნისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. 6 ივნისი. საფრანგეთი-საქართველო

ტოპმიოლერი: ნაკრები უნდა გავაახალგაზრდაოთ

მაგრამ იქამდე... რა მოვუხერხოთ ფრანგებს?

პაატა
თოთაძე
ვილნიუსი-ოსერი

კაუნასიდან ვილნიუსში ჩავდივარ. თამაშის მერე რაც ხდებოდა სტადიონზე, ხომ მოგიყევით, გზაშიც არანაკლებს ვიგებ. ავტობუსში რატომღაც ყველა საქართველოს დამარცხებაზე საუბრობს. უსიამოვნოა, მაგრამ სად გინდა გაექცე...

აეროპორტში მისულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** და გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** მხვდებიან. ისინი ფრანკფურტში არ გაყოლიან გუნდს. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, საუბარი ძირითადად განვლილ მატჩზე მიდის. ათასი ვარიანტზე ვფიქრობთ, თუ რა შეიძლება იყოს ასეთი წარუმატებლობის მიზეზი.

- სიმართლე გითხრა, ვერ გამიგია რა ხდება, მართლა ვერ გავიგე - ამბობს გოგი ქავთარაძე - თითქოს თამაშს ჩვენ ვაკონტროლებთ, გოლი კი ვერ გაგვაქვს.

- შეიძლება ფსიქოლოგიური მომენტია, გოგი - საუბარში ერთ-ერთი გულშემატკივარი ჩაერთო, რომელიც იმავე რეისით მიფრინავდა პარიზში.

- მართლა არ ვიცი, გულსატკენია ყველაფერს რომ თავი დაანებო.

- მემგონი, რა ხდება, იცი, ამათ წაგების ეშინიათ და თამაშობენ იმიტომ, რომ არ წააგონ - საუბარში კიდევ ერთი ქომაგი ერთვება - ჰოდა, მაგიტომაც ვერ გააქვთ. მუდამ იმაზე რომ ფიქრობ, როგორმე არ გაუშვა გოლი, ბოლოს და ბოლოს, მაინც გაუშვებ.

- აბა, საფრანგეთში რაზე უნდა იფიქრო? - მიუბრუნდა მეორე

- აი, ეგ კი მართლა არ ვიცი. რაზეც გინდა იმაზე იფიქრე, გიშველის რამეს თუ?

ჩასხდომა ცხადდება და საუბარიც წყდება.

პარიზი. დე გოლის აეროპორტში საუბრის წამოწყების ერთი მცდელობა კიდევ აქვს ერთ-ერთ ქომაგს, მაგრამ ჩანაფიქრს განხორციელება არ უწერია...

ოსერამდე გზას სამ საათს ანდომებ. ქალაქში ჩასულს უმალ თვალში მხვდება დიდი აფიშა, რომელიც ფრანგებისა და ქართველების მომავალ მატჩზე გვამცნობს. რკინიგზის სადგურში და ქალაქის რიგ ადგილებში კი აფიშებთან ერთად ოსერში მაისსა და ივნისში გასამართი ღირსშესანიშნავი მოვლენების ჩამონათვალს ვაწყდები, რომელშიც ასევეა ნახსენები ჩვენი მატჩი.

საქართველოს ნაკრები ფრანკფურტიდან ჩამოსვლას იგვიანებს და ბიჭებიც ყოველგვარი დასვენების გარეშე იწყებენ ვარჯიშს "სტად ოპუანიზე". საკმაოდ ხალისიანად არიან. აქვე არიან **ცქიტიშვილი, კობიაშვილი, დემეტრაძე** - ისინი, ვინც ფრანგებთან ყვითელი ბარათების გამო ვერ ითამაშებენ. ამ ტრიოს, როგორც ვარკვევ, **ზურაბ მენთეშაშვილიც** დაემატა - მას ოჯახური პრობლემები შეექმნა და ტოპისაც გაუთავისუფლებია ფეხბურთელი. ტოპმიოლერს მცირე ინტერვიუს ვთხოვ, ფიქრობს, საათზე იყურება.

- ვარჯიშის შემდეგ სასტუმროში შევხვდეთ, ცხრის თხუთმეტ წუთზე. ოლონდ დიდი ხნით ვერ მოვიცლი, გასარჩევი გვაქვს თამაშები - ტოპმიოლერის სიტყვებს მითარგმნის მისი ასისტენტი **ბესიკ ფრიდონაშვილი**.

მცირე მოთელვა და დაიწყო ბურთთან ვარჯიში. მეკარეები **მამუკა აბუსერიძემ** გაიყვანა ცალკე. ინდივიდუალურად ვარჯიშობს დაშავებული **ლევან მჭედლიძეც**, დანარჩენები კი ორად გაიყვნენ და კვადრატიც გაჩაღდა. გარშემომყოფთა შორის მყოფი ორი ფეხბურთული ცდილობს ბურთის ართმევას. ხან ვის უხდება შუაში ყოფნა და ბურთის დევნა, ხან - ვის.

- აბა, ერთი კალა დამანახეთ შუაში - დემეტრაძის ხმა მოისმა.

ვარჯიშს, ასე ვთქვათ, **კალაძე** ხელმძღვანელობს, უფრო სწორად ზუსტი პასების რაოდენობას ითვლის და ახალგაზრდა თანაგუნდელებს მითითებებსაც აძლევს. იქვეა მილანელი ფიზიოთერაპევტი, რომელიც მას ხშირად დაჰყვება ხოლმე.

2

3-4
ფინასპატჩო
ამბები

არ შეგეშინდეთ!

დღეს, ეროვნულ სტადიონზე. ახალგაზრდები. საქართველო-ესპანეთი 20:00

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სპეციალური დავალებები ჯაბა კანკავას

ნაკრები უნდა გავაახალგაზრდავოთ

პირველი გვერდიდან

- ბიჭო ეგ კიდე მანდაა? - არ ისვენებს დემე, რომელსაც სურს კალაძე აპამპულავოს.

გამოსდის კიდეც ჩანაფიქრი, **კალაძისა** და **ბურდულის** შუაში ყოფნისას, გარშემომყოფებმა ოცი პასის გაკეთება მოახერხეს ისე, რომ არც ერთი არ ჩაჭრილა. ბურდული შებოჭილი მეჩვენება, ქცევაზე ეტყობა, რაღაც ბორკავს.

ტოპმიოლერის სასტვენის ხმა ისმის. ამ ვარჯიშისთვის გამოყოფილი დრო გავიდა. მწვრთნელი გუნდს ორად ყოფს და ნახევარ მოედანზე ორკარას თამაშს ავალებს. "ლურჯებში" არიან კალაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, **ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, ბურდული, მუჯირი, იაშვილი,** დემეტრაძე,"მწვანეებში" - **სალუქვაძე, კანკავა, შაშიაშვილი, ღვინიანიძე, მარცვალაძე, ელიავა, კვირკელია, ონიანი.** მათ ეხმარება მენეჯერი **თამაზ ბოკერიაც.**

მეკარეებისკენ გამექცა თვალი. ნაკრების დებიუტანტმა **მაკარიძემ** აბუსერიძეს რამდენიმე კარგი დარტყმული აუღო.

- აბა, დროულად ამოიტანეთ ბურთი და ერთი შეხებით მივაღწიოთ კარამდე - ისმის კალაძის ხმა.

შეტევა კი იწყება, მაგრამ ერთი შეხებით ბურთის კარამდე მიტანა არ გამოდის.

- დიდი დრო იკარგება, დროულად, ცოტა დროულად, პასმა არ უნდა დაიგვიანოს - მითითებებს იძლევა კაპიტანი.

მესამე თუ მეოთხე შეტევა გოლით მთავრდება. ამას კიდევ რამდენიმე გოლი მოჰყვა ორივე კარში და თამაშიც გაჩაღდა.

- ხიზან, მაღალ ბურთებს რომ წევ, ინგლისში ხარ? ვინაა მაგის მომგები - საქციელს არ უწონებენ ხიზანიშვილს.

- ბიჭო მაგას კაი ჰგონია, მაგრამ თქვენ რაღა გჭირთ, თამაშობთ ვინმე იქ? - ახლა უკვე იაშვილია უკმაყოფილო თანაგუნდელთა პასებით.

"ლურჯების" ჩინებული შეტევა და...

- უიიი, რა ვერ გავიტანე

- უი შენ და... - არ დააყოვნა კალაძემ.

ტოპმიოლერის ძეძახილი ისმის. ვარჯიში მთავრდება, ამას მოჰყვება ძუნძული და გაჭიმვები. წამყვან ევროპულ ლიგებში მოთამაშეები ვარჯიშის დასრულების მერე სხვაგვარ აღდგენით პროცედურას იტარებენ, განსხვავება მომენტალურადაა თვალშისაცემი. კალაძესთან მისი ფიზიოთერაპევტი მუშაობს, მერე დემეტრაძისკენ გადაინაცვლა. დაახლოებით ოც წუთში გუნდი სასტუმროსკენ მიდის.

- ხვალ რვა საათზე ვვარჯიშობთ, მანამდე კი ტოპმიოლერი პრესკონფერენციას მართავს - მაფრთხილებს ნაკრების პრესსატაშე.

ზუსტად ცხრის თხუთმეტ წუთზე ტოპმიოლერი დაპირებული ინტერვიუსთვის ჩამოვიდა სასტუმროს ჰოლში.

- ძალიან გთხოვთ, ეგებ ათ წუთში ჩავეტიოთ, საფრანგეთი-უკრაინის მატჩი გვაქვს გასარჩევი და ჩვენი და ლიტველების თამაშის მეორე ტაიმი.

- ᲪᲘᲕ გონებაზე როგორ შეაფასებთ ლიტვასთან მატჩს. რა იყო დადებითი და უარყოფითი საქართველოს ნაკრების თამაშში?

- პირველ რიგში უარყოფითი მხარე თამაშის წაგებაა. ყველა ძალიან გულდაწყვეტილები ვართ ამ მარცხით. ჩვენ დაცვაში უმეტესწილად კარგად ვიდექით, მეტოქეს თითქმის არ მივეცით საშუალება, ხიფათი შეექმნა ჩვენს კართან, ეს დადებითი მხარეა ჩვენი თამაშის. უარყოფითი იყო ის, რომ რომ მრავალი შეტევის მიუხედავად ვერ შევძელით გოლის გატანას. მეორე ტაიმში დემეს გამოცვლა მინდოდა, მაგრამ გოლი გაგვიტანეს და ამიტომ დავტოვე. მანამდე კი ისეთი თამაში წავიდა, რომ ფრეზეც თანახმა უნდა ვყოფილიყავით. ბურთის ფლობის მხრივ კმაყოფილი ვარ, საერთოდაც, მოედანზე ჩვენ უკეთესი გუნდი ვიყავით, ვიდრე ლიტვა, მაგრამ აქედან არაფერი გამოგვივიდა. გამარჯვებისადმი ლტოლვა გვაკლია, ჩემი აზრით.

- ამას რითი ხსნით, ფსიქოლოგიური პრობლემაა გუნდში?

- კი ფსიქოლოგიურიცაა. მაგალითად გერმანია ავიღოთ, რომელიც ბოლო წამამდე თამაშობს მთელი ძალით. კარგი იქნებოდა ეს თამაშები სხვა დროს რომ ყოფილიყო, რადგან ფეხბურთელებმა სეზონი ახლა დაასრულეს თავიანთ ჩემპიონატებში, ძალიან ბევრი მატჩი აქვთ ნათამაშები, გადაღლილები არიან და უხარიათ, შვებულება რომ ელით. ამას მარტო ჩვენებზე კი არა, ზოგადად ფეხბურთელებზე ვამბობ. თუმცა გეტყვით, რომ ეს ჩვენ მარცხს არაფრით ამართლებს.

ნინა ხაზში აშკარაა რომ დიდი პრობლემა გვაქვს არველაძის წასვლით. სასწრაფოდ უნდა მოვძებნოთ ვინმე, რომელსაც გავზრდით მაღალი დონის ფორვარდად. აქამდე რატი წინამძღვრიშვილი მიმაჩნდა ეგეთად, მაგრამ ახლა შოტლანდიაში 19-წლამდელთა ტურნირზე გაგვაწბილა თავისი თამაშით. მჭედლიძეს თავისი მონაცემებით, ხასიათით კარგი შანსი აქვს საამისოდ. შესაძლებელი იყო მას ლიტვასთანაც ეთამაშა, მაგრამ სამწუხაროდ დაშავდა. გვყავს დათო სირაძეც, რომელმაც არაერთი მატჩი ჩაატარა მაღალ დონეზე. თუ დავაკვირდებით ევროპულ ნაკრებებს, ვნახავთ, რომ იქ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, მწვრთნელები ნაკრებში ადგილს ახალგაზრდებს ანდობენ. ჩვენც გვინდა სანაკრებო საქმეებში ახალგაზრდები ჩავრთოთ.

- როგორ აპირებთ ცქიტიშვილის, კობიაშვილის, დემეტრაძის და მენთეშაშვილის შეცვლას?

- რას ვიზამთ, იმ ფეხბურთელებით უნდა გავიდეთ ფონს, ვინც გვყავს. მაგალითად ჯაბა კანკავა ითამაშებს. მე მას ველაპარაკე ლიტვასთან თამაშის წინ, რომ საფრანგეთთან თამაში მოუწევდა. ვთხოვე, კარგად დაფიქრებულიყო საქციელზე, რადგან ბევრ გაფრთხილებას იღებს. ზეგამდე კიდევ აქვს დრო. თამაშის ერთ-ერთი კანდიდატია სალუქვაძე.

- სად უპირებთ დაყენებას, თუ კონკრეტულად ვინმეს წინააღდეგ ათამაშებთ?

- ჯერ არ მინდა ყველაფრის გამხელა, მაგრამ რიბერიზე ვფიქრობ ბევრს. მისი წაყვანა არერთ დიდ გუნდს სურს და მისი გამოთიშვა თამაშიდან დიდი საფიქრალია. ჩვენ გვინდა დაცვაში კარგად ვიდგეთ, ზონები დავკეტოთ, რომ ფრანგებს თავისუფლად მოქმედების საშუალება არ მივცეთ.

კალაძე და მისი ფიზიოთერაპევტი

ავტორის ფოტოები

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲨᲝᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ᲢᲝᲞᲛᲘᲝᲚᲔᲠᲡ ᲡᲘᲛᲙᲐᲪᲠᲔ ᲐᲙᲚᲘᲐ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲜᲐᲢᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების 34 წლის მთავარმეგოლემ ეროვნულ გუნდში თამაში დაასრულა. შოთა არველაძე ახლა თბილისშია. ის მუხლზე ოპერაციის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. შოთა კიდევ ერთ წელიწადს ითამაშებს ხრტილამოტეხილი მუხლით, მაგრამ სად, ჯერ თავადაც არ იცის. შოთა ნაკრებში პირველი შესარჩევი ციკლიდან თამაშობდა და ეროვნულ გუნდის ავან-ჩავანი კარგად უწყის. საქართველოს ნაკრებზე ბევრი დაწერილა და თქმულა მწვრთნელებისგან, ფეხბურთელებისგან, გულშემატკივრებისგან და ჟურნალისტებისგან. თუმცა იმ ფეხბურთელის აზრი, ვინც ეროვნულ გუნდში ლამის დასაბამიდან თამაშობს და წარმატებული საკლუბო კარიერაც ჰქონდა, ახლაც აქტუალური და საყურადღებოა...

- ლიტვასთან თამაშს ტელევიზიით უყურე, თუმცა მნიშვნელოვან მომენტებს, ალბათ, მაინც შეამჩნევდი. რას იტყოდი ამ მატჩზე?

- პირველ ტაიმში ჩვენებმა ნორმალურად ითამაშეს. ლიტველებმა თუ რამე შექმნეს, მხოლოდ სტანდარტული სიტუაციებიდან, ჩვენ უფრო ბევრჯერ ვიყავით მეტოქის კართან ახლოს. რაც მოხდა, ყველაფერი, ალბათ, უფრო იმის ბრალი იყო, რომ გამოკვეთილი ფორვარდი არ გვყავდა. იაშვილი უკან იხევდა და ისე თამაშობდა. ის ამას კარგად აკეთებდა, მაგრამ ამით ცენტრფორვარდის პოზიციაზე კაცი გვაკლდებოდა. ფლანგზე კარგად მოქმედებდა დემეტრაძე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სიცარიელე რჩებოდა მეტოქის საჯარიმოში. ამ ორი თავდამსხმელის გარდა, ნახევარმცველებიც გვყავს, შეტევა კარგად რომ ეხერხებათ, მაგრამ ჩაწოდებულ ბურთს მეტოქის კართან ჩაასწრონ და ფორვარდივით ითამაშონ, ეს მათ ხასიათში არ ზის. ვფიქრობ, ეს ყოველივე უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გაანალიზებული.

- გამოკვეთილი, ტიპური ცენტრფორვარდის არყოფნა ახსენე. იქნებ, ისეთ დროს, როცა ასეთი ფეხბურთელი ამ მომენტისთვის ნაკრებს ფიზიკურად არ ჰყავდა, ნაკრებიდან ნასვლა გადაგედო და გეთამაშა...

- შოტლანდიასთან თამაშის შემდეგ, 99 პროცენტით გადაწყვეტილი მქონდა ნაკრებიდან წასვლა. ტრავმას და ასაკს ისიც დაემატა, რომ ნაკრების ლიდერებს, ასევე ტრავმების გამო, ამ სეზონში ბევრი გაუცდათ, რაც გუნდზე, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს. ნაკრებში ამდენი წაგებისგან კი მართლა ძალიან დავიღალე, კლუბებში თამაშების 90 პროცენტი მოგებული მაქვს, ნაკრებში კი...

- მაინც რა ზნე სჭირს ჩვენს ნაკრებს? იცვლებიან თაობები, მწვრთნელები, იცვლება საერთო სიტუაცია ნაკრების ირგვლივ, მაგრამ შედეგი უცვლელია. საქართველოს ნაკრებს არ შესწევს იმის ძალა, რომ ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძოლოს...

- ადრეც, ნაკრებს ჩივაძე და ყიფიანი რომ წვრთნიდნენ, როცა გუნდს სამი ფეხბურთელი გამოაკლდებოდა, სერიოზული პრობლემა იქმნებოდა. მაგრამ იმ დროს, ნაკრებში თანაბარი დონის ბევრი კარგი ფეხბურთელი იყო. ახლაც მოდიან ნიჭიერი ფეხბურთელები, მაგრამ მათ ჯერ არ ჰყოფნით საერთაშორისო დონეზე თამაშის გამოცდილება.

- როგორ ფიქრობ, ყველაზე უფრო რა აკლია საქართველოს ახლანდელ ნაკრებს? ახლაც გვყავს რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი, მაგრამ გუნდი თითქოს ვერ ჩაჯდა გარკვეულ ყალიბში, ვერ მიიღო ფორმა...

- ამის კონკრეტული მიზეზი არსებობს. მწვრთნელი წამყვან ევროპულ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს ნაკრებშიც თავისივე პოზიციაზე ათამაშებს, მაგრამ ამ ფეხბურთელს ნაკრებში ზუსტი დავალება, კონკრეტული ფუნქცია სჭირდება. გასაგებია, რომ მწვრთნელი კარგ ფეხბურთელს ბოლომდე ენდობა, მაგრამ ჩვენს გუნდში მხოლოდ ეს არ კმარა. ყველა კარგ ნაკრებს აქვს თავისი ჩარჩო, ჩვენ კი არა. ფარერებთან მატჩში ტოპმიოლერმა სამი მცველი დააყენა და უთხრა, შეტევაში ნუ წახვალთო, მაგრამ დავალება არ შესრულდა. ჩვენ თითქოს გადაჩვეულები ვართ დავალების შესრულებას. მიმაჩნია, რომ ტოპმიოლერს სიმკაცრე აკლია. ფეხბურთელებს დილიდან საღამომდე უნდა დაუღეჭონ დავალება და ასე უფრო გაუჯდებათ გონებაში.

- მწვრთნელობას თავადაც აპირებ. თუ გაქვს უკვე მოფიქრებული როგორ, როდის და სად დაიწყებ მწვრთნელობას?

- როცა ფეხბურთელობას შევეშვები, პაუზა უნდა გავაკეთო. დრო უნდა გავიდეს, ფეხბურთი ძალიან უნდა მოგენატროს, რომ ისევ დაბრუნდე.

- ბოლო სეზონს "ალკმაარში" ითამაშებ თუ ყატარში? როდის გადაწყვეტ ამას?

- "ალკმაართან" კიდევ ერთი წელი მაქვს კონტრაქტი, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რა როგორ იქნება. ყველაფერი რაღაც-რაღაცებზეა დამოკიდებული.

დავით ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲘᲫᲘᲚᲐᲫᲔ

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21. ევრო 2009. საქართველო-ესპანეთი

საქართველო

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (დილა);

მცველები: გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), უჩა ლობჟანიძე (ბათუმი), კახა მახარაძე (ჩიხურა), ამირან სანაია (ზესტაფონი), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გურამ კაშია (დინამო);

ნახევარმცველები: მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), ვალტერ ხორგუაშვილი (ტირასპოლი, მოლდოვა), სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი (ყველა დინამო), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), ალექსი ბენაშვილი, გიორგი ხიდეშელი, მურთაზ დაუშვილი (ყველა ზესტაფონი), ლევან ყენია (ლოკომოტივი);

თავდამსხმელები: გიორგი ჭელიძე (ზარია, უკრაინა), რევაზ ბარაბაძე (დნეპრი, უკრაინა), ვახტანგ კვარაცხელია (ბათუმი).

ესპანეთი

მეკარეები: ანტონიო გარიდო (რეალი), რობერტო ხიმენესი (ატლეტიკო);

მცველები: მიგელ ტორესი (რეალი), ხერარდ პიკე (სარაგოსა), მარკ ტორეხონი (ესპანიოლი), იგნასიო ერასო (ოსასუნა), ხოსე დიასი (ვილიარეალი);

ნახევარმცველები: რაულ გარსია (ოსასუნა), მიგელ პალიარდო (ვალენსია), ხავიერ მარტინესი (ატლეტიკი), სესარ არსო (უელვა), სისინიო გონსალესი (ვალიადოლიდი), მარკოს გარსია (ვილიარეალი);

თავდამსხმელები: ხოსე ხურადო (ატლეტიკო), ბოიან კრკიჩი (ბარსელონა), ალეხანდრო ალფარო (სევილია), ფრანსისკო ხიმენესი (ვესინდარიო), პედრო ლეონი (მურსია).

პეტარ სეგრტის პრესკონფერენცია

მეტოქე მრისხანეა, მაგრამ არ ვუფრთხით

ესპანეთთან მატჩის წინ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა პრესკონფერენციაზე მიგვინვია. 21-წლამდელთა თავკაცს თარჯიმნობას გელა შეყილაძე და ლევან ხომერიკი უწევდნენ...

- ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის. ამ ასაკში ესპანეთი ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ბუნებრივია, მეტოქეს სათანადოდ ვაფასებთ. თამაშს გარკვეული დანაკლისით ვხვდებით. დისკვალიფიკაციის გამო, ნაკრებს მცველი აკაკი ხუბუტია და ფორვარდი ბექა გოცირიძე გამოაკლდნენ. გარდა ამისა, 5 ფეხბურთელი - მაკარიძე, მჭედლიძე, ღვინიანიძე, კანკავა და რევიშვილი ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს. გვაძაბია და მჭედლიშვილი ტრავმირებულები არიან და მათი თამაში გამორიცხულია. ამ პრობლემების მიუხედავად, მრისხანე მეტოქეს მაინც არ ვუფრთხით და სასურველი შედეგისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. რაც შეეხება მეტოქეს, მოგეხსენებათ, ესპანელთა გუნდი პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მათ რიგებშია უეფას თასის ფინალის ორი მონაწილე, ტორეხონი "ესპანიოლიდან" და ალფარო "სევილიიდან". მეტოქის რიგებშია აგრეთვე რაულ გარსია, რომლის სანაცვლოდაც ზოგიერთი შეძლებული კლუბი მზადაა, მილიონები გაიღოს. ერთი სიტყვით, მეტოქე ძლიერია, მაგრამ ჩვენ გვინდა, სტუმრებს სიურპრიზი შევთავაზოთ. ამაყი ვარ, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს ვწვრთნი. ამაყი ვარ იმითიც, რომ მხარში მიდგანან ქართული ფეხბურთის ისეთი გამორჩეული ფიგურები, როგორებიც არიან ოთარ გაბელია, სერგო კოტრიკაძე, გელა შეყილაძე... ხორვატულ-ქართული სამწვრთნელო ნაზავი თავის შედეგს ნამდვილად გამოიღებს.

- ვიცით, რომ მეტოქის თამაშის ვიდეომასალა გაქვთ. კიდევ რას იტყოდით სტუმართა გუნდზე?

- ჩვენ ესპანელთა ბოლო ორი თამაშის (სტუმრად ინგლისთან და შინ ჩეხეთთან - ავტ) ვიდეომასალა გვაქვს. მეტოქე 4-2-3-1 სქემით, სწრაფ, აგრესიულ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს. ესპანელებს კარგად ეხერხებათ ბურთის კონტროლი და მოედნის მთელ მონაკვეთზე გამუდმებით ეძებენ თავისუფალ ზონებს. ვიდეომასალის გარდა, სხვა სახის ინფორმაციაც გაგვაჩნია და მათ ფეხბურთელებს დოზირებულად ვაწვდით. მეტოქე ძლიერია, მაგრამ მოდით, ასე ვთქვათ - ეს სიძლიერე ყველამ 90 წუთის განმავლობაში, მოედანზე უნდა დაამტკიცოს.

- სელექციისა და გუნდის შეთამაშებისთვის ძალიან მცირე დრო გქონდათ. ამ მხრივ როგორაა საქმე?

- კარგი კითხვაა. სელექციისა და გუნდის შეთამაშებისთვის მართლაც ცოტა დრო გვქონდა. თუმცა ყველანაირად შევეცადეთ, ეს დრო მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოგვეყენებინა. ამ ასაკში საუკეთესო კონტინგენტი შევარჩიეთ, მაგრამ ტრავმებისა და სხვა მიზეზთა გამო, რიგი მოთამაშეები დაგვაკლდნენ. ვფიქრობ, ჩვენი გარჯა შედეგს გამოიღებს. ჩემი აზრით, ხვალინდელ შეხვედრაში მენტალიტეტი ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ბუნებრივია, ფეხბურთელებთან ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ. ახალი შესარჩევი ციკლის სასტარტო მატჩს კარგი განწყობით ვხვდებით და ვფიქრობ, მატჩის შემდეგაც კარგ ხასიათზე ვიქნებით. გუნდში გვყავს ჭელიძე და ნავალოვსკი, რომლებიც კარგ ატმოსფეროს ქმნიან. ეს მომენტი ყველა გუნდისთვის საჭიროა.

- ორი ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია და საერთოდაც, ნაკრების წევრები ხშირად იღებენ ყვითელ და წითელ ბარათებს. ამ მხრივ თუ იმუშავეთ მოთამაშეებთან?

- სწორი შენიშვნაა. მსაჯებს ყოველთვის აქვთ სიმპათიები გრანდების მიმართ. შესაბამისად, რასაც მათ აპატიებენ, დიდია შანსი, რომ ჩვენ არ დაგვინდონ. ბუნებრივია, ბიჭებთან ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ. საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს იმისი ფუფუნება, რომ ასე უაზროდ ვკარგოთ ფეხბურთელები.

- ინიაკი საესმა თქვა, რომ ბოიან კრკიჩს ათამაშებს. მოუწევს თუ არა თამაში ლევან ყენიას?

- ყენია და კრკიჩი ერთმანეთს კარგად იცნობენ. ისინი ერთად ვარჯიშობდნენ "ბარსელონაში". მართალი გითხრათ, ელიტრაუნდში ასპარეზობის შემდეგ ყენია გადაღლილია. ის დიდი ტალანტია და მას უნდა გავუფრთხილდეთ. ლევანი მატჩის რაღაც ნაწილს ითამაშებს. კარგად გამიგეთ, ყენიას გარდა, ჩვენ სხვა ტალანტებიც გვყავს.

- ნაკრების დანაკლისი, უმთავრესად, მარჯვენა ფლანგის მოთამაშეებზე აისახა. ამ პრობლემის მოგვარებას როგორ აპირებთ?

- ამაზეც ვიფიქრეთ და ვმუშაობთ. ტრავმირებულ მოთამაშეს მოედანზე ვერ გავიყვან. შესაძლოა, ერთი მიკროტრავმიანი ფეხბურთელი გვყავდეს სათადარიგოთა სკამზე. რაც შეეხება მარჯვენა ფრთას, ამ პოზიციაზე ორი ფეხბურთელი გვყავს და მათგან ერთ-ერთს შევარჩევთ.

- ხორგუაშვილს, ჭელიძეს, ბჟალავასა და ფოფხაძეს ტრავმები ჰქონდათ...

- ფოფხაძე და ჭელიძე ითამაშებენ და, შეიძლება, სასტარტოშიც. გარწმუნებთ, თამაში მხოლოდ ჯანმრთელ ფეხბურთელებს მოუწევთ.

დავით ცაბაძე

გელა შეყილაძე და პეტარ სეგრტი

დღეს პოლონეთი დაგვზვერავს

ესპანეთის შემდეგ, საქართველოს ნაკრების მეტოქე იქნება პოლონეთი, რომელსაც 22 აგვისტოს სტუმრად ვეთამაშებით. როგორც ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო განყოფილების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, **ნინო სოფჩინსკიმ** გვითხრა, საქართველო-ესპანეთის დღევანდელ მატჩს პოლონელთა წარმომადგენელი დაესწრება. ეს გახლავთ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **რადოსლავ მროსტკოვსკი,** რომელიც თბილისში დღეს, გამთენიისას ჩამოფრინდა. ის თამაშს ნახავს და მისი დასრულებისთანავე სამშობლოში გაემგზავრება. ვეცდებით, პოლონელი მზვერავის შთაბეჭდილებები მომდევნო ნომერში გაგაცნოთ.

დავით ცაბაძე



მიგელ ტორესი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინტერვიუ მიგელ ტორესთან

გასვლაზე სამი ქულა ორმაგად მნიშვნელოვანია

ტორესისთვის ახლა ჯერ ნაკრებია, მერე რეალი

კვირა საღამოს თბილისში ჩამოსულმა ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა 20 საათზე სავარჯიშოდ მიხეილ მესხის სახელობის არენას მიაშურა. პირენეელთა შორის, მადრიდის "რეალის" ახალგაზრდა მცველი მიგელ ტორესიცაა. სამეფო კლუბის ძირითადში ტორესი ამ ზამთარს გამოჩნდა. ფაბიო კაპელოს მხრიდან, ეს იძულებითი ნაბიჯი გახლდათ. რატომ? იმიტომ, რომ მიჩელ სალგადოს ხშირად ტრავმები ანუხებდა, ზოგჯერ კი სასურველი კონდიციებისგან შორს იყო. ერთი სიტყვით, კაპელომ გარისკა და ტორესმაც გაამართლა. მიგელს კარგი პრესა აქვს და მიმმხილველები მასზე ხშირად აღნიშნავენ - ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი, დაბრძენებული და გამოცდილი მცველივით საიმედოდ ირჯებაო. ასე რომ, მიგელ ტორესს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ. ტორესი საუბარს არ დაგვზარდა...

- როგორი განწყობით ხვდებით საქართველოსთან მატჩს?

- გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა. ახალ ეტაპს ვიწყებთ და იმედი გვაქვს, რომ ის უწინდებურად წარმატებული იქნება. ესპანეთის ნაკრები ახალგაზრდულ ტურნირებზე ყოველთვის ფავორიტად ითვლება. პირადად ჩემთვის, ამ სტატუსს არანაირი მნიშვნლობა არ აქვს. არასოდეს მაინტერესებს ფავორიტები ვართ თუ არა, მთავარია, თამაში მოვიგოთ.

- მეტოქეზე რა წარმოდგენა გაქვთ?

- სამწუხაროდ, არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. ჩვენ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ. დარწმუნებული ვარ, საკუთარ შესაძლებლობებს სრულად წარმოვაჩენთ და გავიმარჯვებთ. შესარჩევი ციკლის საგარეო მოგებით დაწყება ორმაგად მნიშვნელოვანია.

- საქართველოს ნაკრებიდან რომელიმე ფეხბურთელის შესახებ თუ გსმენიათ?

- არავის ვიცნობ. რა თქმა უნდა, ეს საქმეს არ მიადვილებს. ყოველთვის სჯობს, იცოდე, ვინაა შენი მეტოქე. მე მხოლოდ თქვენი ქვეყნის სახელი ვიცი. ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ - თუ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ, აუცილებლად მოვიგებთ.

- ინიაკი საესთან საუბარი ხომ არ გქონიათ და ხომ არ უთქვამს, ძირითადში გათამაშებთ თუ არა?

- არა, ასეთი საუბარი ჩვენ შორის არ ყოფილა, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ სასტარტო შემადგენლობაში ვიქნები.

- რამდენიმე კითხვა თქვენს კლუბზეც მინდა დაგისვათ...

- არა, ახლა "რეალზე" არ ვსაუბრობ, მხოლოდ ნაკრები...

- პრიმერა დივიზიონში ძალიან დაძაბული ვითარებაა და გთხოვთ, ერთ კითხვაზე მაინც მიპასუხოთ. მომდევნო ტურში "სარაგოსასთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი გელით. თქვენმა თანაგუნდელებმა ამ თამაშს უკვე უწოდეს ფინალი...

- დიახ, ეს სეზონის ერთ-ერთი მთავარი მატჩია. მოგების გარდა, არაფერი გვაინტერესებს და მჯერა, არაგონიდან კარგ ხასიათზე დავბრუნდებით. თუმცა მე და ჩემი თანაკლუბელები ვაცნობიერებთ, რომ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე რთული შეხვედრა უნდა ჩავატაროთ. ჩემპიონობის ბედი სწორედ ამ მატჩში წყდება.

ილია ნიკოლაიშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ჩიმაკაძეც გამოგვაკლდა

საქართველო იმედს არ კარგავს

გუშინ, ეროვნულ სტადიონზე საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ესპანელებთან მატჩის წინ ბოლო ვარჯიში გამართა. წვრთნა დახურული გახლდათ. როგორც შევიტყვეთ, ვარჯიში საკმაოდ დატვირთული იყო. მოთელვის შემდეგ, მწვრთნელებმა ფეხბურთელები სტანდარტულებზე, ბურთის ართმევასა და სხვა კომპონენტებში ავარჯიშეს. ბოლოს ორკარა გაჩაღდა, რომელიც ჩვენი გუნდისთვის ცუდად დასრულდა... როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, "ამერის" ფორვარდმა **ბესიკ ჩიმაკაძემ** მძიმე ტრავმა მიიღო. ერთი ინფორმაციით, მან ფეხი მოიტეხა, მაგრამ ეს ცნობა არავინ დაგვიდასტურა.

"შოკირებული ვარ. ჩიმაკაძემ მძიმე ტრავმა მიიღო... ფეხი მოიტეხა? ამ წუთში გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. თუმცა ის კი ცხადია, რომ ჩიმაკაძე ხვალ ვერ ითამაშებს", - გვითხრა ვარჯიშის შემდეგ **პეტარ სეგრტმა**. ასე რომ, ჩიმაკაძეც დაგვაკლდა. სეგრტის განკარგულებაში 23 ფეხბურთელი დარჩა. აქედან, მან 18 მოთამაშე უნდა შეირჩეს.

"ესპანელებთან მატჩისთვის ნაყოფიერად ვემზადებოდით. მჯერა, ჩვენი მუშაობა შედეგს გამოიღებს. მართალია, მეტოქე ძლიერი გვყავს, მაგრამ ფსიქოლოგიურ წნეხს არ განვიცდით. პირიქით, ვფიქრობ, თავისუფლად ვითამაშებთ და სასურველი შედეგის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლებთ" - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ავსტრიული "ლუშტენაუს" ნახევარმცველმა **მირზა ბჟალავამ**.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბოლო ვარჯიში

"ესპანეთი ჯგუფის ფავორიტია. პირველი მატჩი, ისედაც, ყოველთვის რთულია, ახლა მით უმეტეს, როცა ესოდენ ძლიერი მეტოქე გვყავს. თუმცა პირველი თამაშის სირთულე ესპანეთსაც ეხება და არ უნდა ჰქონდეს იოლი გასეირნების იმედი. ერთის თქმა ახლავე შეგვიძლია: ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ყველაფერს გავაკეთებთ გულშემატკივრების გასახარებლად" - ეს უკვე დანიური "ვიბორგის" მცველ **გიორგი ფოფხაძის** სიტყვებია.

სეგრტმა პრესკონფერენციაზე თქვა, **ლევან ყენია ბოიან კრკიჩს** კარგად იცნობსო. საინტერესოა, რას ფიქრობს ამაზე თბილისის "ლოკომოტივის" ნახევარმცველი?

"დიახ, ბოიან კრკიჩთან ერთად "ბარსელონაში" კვირაზე მეტხანს ვვარჯიშობდი. მას კარგად ვიცნობ. ბოიანი თბილისში ჯერ არ მინახავს. მატჩის დროს შევხვდებით ერთმანეთს. იმედია, თამაში მომიწევს და ჩემს სიტყვას ვიტყვი... წარმატების მისაღწევად ყველაფერს ვიღონებთ".

საქართველო-ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი დღეს, ეროვნულ სტადიონზე, 20 საათზე დაიწყება. ბილეთები (დაუნომრავია), რომელთა ფასი 3 ლარია, ეროვნული სტადიონის 5 სალაროში 11 საათიდან 20 საათამდე გაიყიდება. მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერით იხილავთ.

ინტერვიუ გახმაურებულ თემაზე

გოგუა ნაკრების ბაზაზე ცემეს!

მართლაცდა, რატომ მოკვეთა კლაუს ტოპმიოლერმა გოგიტა გოგუა? ფეხბურთელის ბავშვობის მწვრთნელი და მისი უფროსი მეგობარი, საფეხბურთო სკოლა "XXI საუკუნის" დირექტორი გია ლეჟავა აცხადებს, რომ გოგუა სულ სხვა მიზეზით დაისაჯა, ვიდრე ეს საზოგადოებისთვისაა ცნობილი:



გოგიტა გოგუა

- ფეხბურთში შემთხვევითი კაცი არ ვარ და კარგად მაქვს გაზრებული, რასაც ვამბობ. ტოპმიოლერმა ბრძანა, თითქოს, გოგიტა გოგუას ნაკრებში ქაოსი და არეულობა შეაქვს, და მის გონზე მოსაყვანად, გარკვეული დროით ნაკრებს ჩამოაშორა. გოგიტას ბავშვობიდან ვიცნობ და ემოციური რომ არის, ჩემზე უკეთ არავინ უწყის. თუმცა ქაოსური და ამრევი არასდროს ყოფილა. დანამდვილებით ვიცი, რომ მიზეზი სულ სხვა რამაა. შოტლანდიური მატჩის შემდეგ, გოგიტას ერთ-ერთ თანაგუნდელთან მცირე უსიამოვნება მოუვიდა, რაც წაგების შემდეგ ხშირად ხდება, მაგრამ ამას ხალხს არასდროს უმხელენ. სამწუხაროდ, ეს უსიამოვნება თბილისშიც გაგრძელდა და ფარერებთან მატჩამდე, ნაკრების ბაზაზე ჩხუბში გადაიზარდა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ტოპმიოლერმა ფეხბურთელები არ შეარიგა და გამოსავალი ნაკრებიდან გოგიტას გაშვებაში დაინახა. მწვრთნელი გამოცდილ მოთამაშეებთან კონფლიქტს მოერიდა და მზარდი ბიჭი განირა. ყველაზე დიდმა ქართველმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა, "დინამოში" ფეხბურთელების ერთ გუნდად შეკვრა შეძლო და ამიტომაც მიაღწია წარმატებებს. როგორც ვხედავ, ტოპმიოლერი ამას ვერ ახერხებს. ლიტვაშიც აშკარად გამოჩნდა, რომ ეს არაა ერთი გუნდი.

- თქვენ ეს დანამდვილებით იცით, რომ გუნდში უსიამოვნება მოხდა?

- რა თქმა უნდა! თუმცა მსგავსი რამ ნებისმიერ გუნდში ხდება და ეს არაა ტრაგედია. ჩხუბის შემდეგ, ნორმალური ხალხი ერთმანეთს უფრო უახლოვდება. სამწუხაროდ, ტოპმიოლერმა არასწორი გამოსავალი მოძებნა. მე არ მსურს ჯერ ყველაფრის თქმა, მაგრამ ნაკრებში რომ ერთსულოვნება არაა, ეს აშკარად ჩანს.

- ანუ, გოგუამ ფარერებამდე შეკრება არა ტრავმის, არამედ ჩხუბის გამო დატოვა?

- დიახ, ასე იყო. ტრავმა არაფერ შუაშია, თუ არ ჩავთვლით უდიდეს მორალურ ტრავმას, რომელიც მას მიაყენეს. გოგიტა ისეთ დეპრესიაშია, ნაკრებისკენ გამოხედვაც აღარ უნდა. სწორედ ამის გამო ვარ აღშფოთებული. როგორ შეიძლება, ასეთი თავდადებული და მონდომებული ბიჭის გაწირვა? ნაკრების მომავალზე მაინც არ ფიქრობენ? გოგუას შეაქვს გუნდში ქაოსი და არეულობა?! მაშინ, საფრანგეთთან, თურქეთთან და საერთოდ, როცა მოედანზე გასულა, მაყურებელს ვინ მოსწონებია? ნუთუ ამ უნიათო ნაკრებს მისნაირი გულიანი ბიჭები არ სჭირდება? ამის ახსნა შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ გოგიტა დიქტატს ვერ იტანს. მან უკვე იწვნია ჩერვიჩენკოს "სუსხი" და არ სურს, რომ კიდევ ვიღაცაზე დამოკიდებული ფეხბურთელი გახდეს. ის არც ერთ მენეჯერს არ ენდობა, მით უფრო, თავსმოხვეულ მენეჯერს. ნაკრებში თამაში აღარ სურს და ეს მათ ნამუსზე იყოს, ვინც გოგიტა ამ დღეში ჩააგდო. კაცს გული აუცრუეს და მერე იქით აბრალებენ ათასგვარ სიბინძურეს. როგორც ვამჩნევ, ისევ გრძელდება საქართველოს ნაკრების მაისურის სატრანსფერო მიზნებით გამოყენება და გოგუას "დასჯის" ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა.

- ანუ?!

- ანუ, ის, რომ ყველამ ყველაფერი იცის და მაინც გოგიტას ამტყუნებენ.

- მაინც ვინ, ტოპმიოლერი? პირდაპირ გვითხარით...

- ვის შეუძლია შემადგენლობის დაყენება? ამას მე და ჩემნაირები ნაღდად ვერ გავაკეთებთ. სხვათა შორის, საფეხბურთო სკოლებისა და უმაღლესი ლიგის გუნდების ხელმძღვანელობაში უკვე აღშფოთებას ვერ მალავენ, ნაკრებში მხოლოდ ამა თუ იმ მენეჯერის გადაბირებულ მოთამაშეებს რომ იწვევენ. რას ჰგავს ეს?! ნუთუ ჩვენი ფეხბურთის აბუჩად აგდებას ბოლო არ უნდა მოეღოს? დღეს გოგუა მოკვეთეს, ხვალ სხვას მოკვეთენ, ბაზაზე ცემენ და მერე ისევ მას გამოაცხადებენ დამნაშავედ... უმცროს ნოდარ ახალკაცს კი მოკრძალებულად ვურჩევდი: მწვრთნელი არა მარტო პროფესიონალიზმით, არამედ, მამამისის დარი ინტელექტის მიხედვითაც უნდა შეერჩია. სხვაგვარად, ქართველებთან მუშაობა ძნელია.

მერაბ მამულაშვილი

ინიაკი საესის პრესკონფერენცია

ჩვენთან თამაში ყველას უჭირს...

საქართველოს ნაკრები ვარჯიშს მორჩა და ის-ის იყო, ფეხბურთელებმა ავტობუსს მიაშურეს, რომ ეროვნულ სტადიონზე ესპანელებიც გამოჩნდნენ. ინიაკი საესის თანაშემწეები გუნდს გასახდელში შეუძღვნენ. თავად ესპანელთა თავკაცმა კი საპრესკონფერენციო დარბაზს მიაშურა. ვინაიდან პირენეელებს თბილისში არცერთი ჟურნალისტი არ ჩამოუყვანიათ, ინიაკი საესს მხოლოდ ქართული მედიასთან მოუწია შეხვედრა. სტუმართა მწვრთნელი მოკლე შესავლით შემოიფარგლა, მერე კი კითხვებს უპასუხა.

- ახალ შესარჩევ ციკლს ვიწყებთ. პირველი თამაში კი ყველასათვის ძნელია. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ იმისთვის, რომ შინ გამარჯვებულები დაგბრუნდეთ. დარწმუნებული ვარ, მასპინძლებიც ძლიერ მონდომებენ და მაქსიმუმს გაიღებენ სამი ქულისთვის.

- რაიმე დანაკლისი ხომ არ გაქვთ?

- საბედნიეროდ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ახლახან, გუნდში 17-წლამდელთა შორის გამორჩეული ბოიან კრკიჩი მივიწვიეთ. ამ ცოტა ხნის წინათ, ის ევროპის ჩემპიონი გახდა. ეს მისთვის დიდი სტიმულია. მჯერა, ბოიანი კიდევ მოუმატებს და ნამდვილ ვარსკვლავად ჩამოყალიბდება. საამისოდ, მას ყველანაირი მონაცემი აქვს. ახლა, მთავარია ამ ნიჭის გამოყენება.

- საქართველოს ნაკრებზე რა იცით?

- მეტოქის შესასწავლად დიდი დრო არ გვქონდა, შესაბამისად, თქვენს გუნდზე ბევრი არაფერი გამიგია. ვიცი, რომ ერთი კარგი ფეხბურთელი გყავთ, 17 წლის, გვარად ყენია. ვიცი ისიც, რომ კარგი მარჯვენა მცველი და 1987 წელს დაბადებული ფორვარდი გყავთ *(სავარაუდოდ, საესმა გიორგი ფოფხაძე და რევაზ ბარაბაძე იგულისხმა - ავტ.)*.

- ალბათ, ტრადიციულ სამხრეთულ სტილში, ტექნიკურ ფეხბურთს ითამაშებთ. ასეა?

- ჩვენ ერთი სქემა გვაქვს და ეროვნულით დაწყებული, ყველა ასაკობრივი ნაკრები ერთი ტაქტიკით თამაშობს.

- თვლით თუ არა თქვენს გუნდს ჯგუფის ფავორიტად და თუ მიიჩნევთ ფრეს დამაკმაყოფილებელ შედეგად?

- ჭაბუკებში ყოველთვის კარგი თაობა გვყავდა და ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. ასე რომ, მდიდარი წარსული გვაქვს. ამ მომენტის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ წინააღმდეგ ყველა გუნდს უჭირს თამაში. რაც შეეხება ფავორიტობას, ეს მხოლოდ ისტორიით არ იზომება. ფავორიტობა უშუალოდ მოედანზე, თამაშით უნდა დაამტკიცო.

- რა მიგაჩნიათ წარმატების გარანტად ახალგაზრდულ ასაკში?

- სწორი და საფუძვლიანი მუშაობა. ყველა კლუბს ფეხბურთელებთან მუშაობის საკუთარი სტილი აქვს, ყველას თავისი გზა აქვს წარმატებისკენ. მთავარია, სწორი გზა აირჩიო.

საესის პრესკონფერენცია ამით დასრულდა. ესპანელთა თავკაცი ფეხბურთელებს ეროვნული სტადიონის მოედანზე გაუძღვა და ისინი საათზე მეტხანს ავარჯიშა. წვრთნამ კოკისპირული წვიმის თანხლებით ჩაიარა, მაგრამ ამას პირენეელთათვის ხელი არ შეუშლია.

დავით ცაბაძე



ინიაკი საესი — ალექსანდე კოტორაშვილის ფოტოები

IV ჯგუფი

22. 08. 07	პოლონეთი-საქართველო ყაზახეთი-რუსეთი
07.09.07	საქართველო-ყაზახეთი რუსეთი-პოლონეთი
11.09.07	ესპანეთი-საქართველო პოლონეთი-ყაზახეთი
12.10.07	პოლონეთი-ესპანეთი რუსეთი-ყაზახეთი
16.10.07	ყაზახეთი-საქართველო პოლონეთი-რუსეთი
16.11.07	ესპანეთი-პოლონეთი
20.11.07	საქართველო-რუსეთი
26.03.08	ესპანეთი-ყაზახეთი
20.08.08	ყაზახეთი-პოლონეთი რუსეთი-ესპანეთი
05.09.08	რუსეთი-საქართველო ყაზახეთი-ესპანეთი
09.09.08	ესპანეთი-რუსეთი
10.09.08	საქართველო-პოლონეთი

სიონში სრული გაურკვევლობაა

არევაძე გადადგა, მომავალი გუნდოვანია

ბოლნისის გამგებელმა **გიორგი არევაძემ** თანამდებობა დატოვა. როგორც იცით, პარალელურად აქამდე იგი „სიონის" პრეზიდენტიც იყო, არევაძის გადადგომა ავტომატურად ნიშნავს მისი ამ პოსტიდან წასვლასაც.

როგორც „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ქიპაშვილმა** გვითხრა, ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა გუნდის მომავალი საფრთხეში ჩააგდო. ჯერ ისედაც მცირე ალბათობა იყო იმისა, რომ „სიონი" მომავალ სეზონშიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებდა, კლუბის პირველკაცის წასვლამ კი ამის შანსი ერთიორად გაზარდა.

„გია არევაძემ „სიონისთვის" ძალიან ბევრი რამ გააკეთა. ნამდვილად არ ვიცი, როგორი მიდგომა ექნება ფეხბურთისადმი მის მემკვიდრეს, შესაძლოა, მან „სიონის" პატრონობა არ ისურვოს, რაც რეგიონში ფეხბურთის კვდომას გამოიწვევს. იმედია, ასე არ მოხდება და „სიონი" ღირსეულ არსებობას განაგრძობს", - ამბობს ქიპაშვილი.

უახლოეს დღეებში ბოლნისში კლუბის დირექტორატის სხდომა გაიმართება, სადაც „სიონის" მომავალს ნათელი მოეფინება. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ნამსვლელების, დამრჩენებისა და ახალწვეულების ვინაობის გაგება.

ღიადაა მთავარი მწვრთნელის საკითხიც. **კახა ცხადაძე** ჯერ-ჯერობით, თანამდებობაზეა, მაგრამ არაა გამორიცხული, „სიონი" დატოვოს. ამას გარდა, ცვლილებები კლუბის მმართველ რგოლშიცაა მოსალოდნელი.

რადგან ტრანსფერები ვახსენეთ, იმახაც გეტყვით, რომ ჯემალ ქიპაშვილმა „სიონის" წამყვანი ნახევარმცველის **არჩილ ალავიძის** „ამერში" გადასვლა არ გამორიცხა.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლომაია თურქეთში მიდის?

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა **გიორგი ლომაიამ** და **მიხეილ აშვეთიამ** ზამთარში "კარლ ცაისი" გააძლიერეს და იენური კლუბის მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაში ლომის წილი დაიდეს. თუმცა, შესაძლოა, ახალი სეზონიდან კლუბი ლომაიამ დატოვოს. ეს ცნობა "ტიურინგიშე ლანდესცაიტუნგმა" გაავრცელა. *"ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კლუბის დატოვებას აპირებს საქართველოს ნაკრების გოლკიპერი გიორგი ლომაია. ის, შეიძლება, თურქეთში გადავიდეს. სავარაუდოდ, მასთან ერთად თურქეთში გაემგზავრება სერქან გიუვენიშიკიც".*

როგორც ხედავთ, გერმანული გაზეთი ლომაიას სამომავლო ტრანსფერზე ვარაუდის დონეზე საუბრობს. "კარლ ცაისიდან" კიდევ ერთი სიახლე შევიტყვეთ. ამ შემთხვევაში, ინფორმაციას, რომ იტყვიან, წყალი არ გაუვა: 7 ივლისს, გერმანულ ქალაქ რუდოლშტადტში, "კარლ ცაისი" საკონტროლო მატჩში თბილისის "დინამოს" შეხვდება. ეს მატჩი ადგილობრივი დროით 19 საათისთვისაა დანიშნული. "კარლ ცაისის" ოფიციალურ საიტზე შემთხვევას არ უშვებენ და იხსენებენ 1981 წლის 13 მაისსი მატჩს, რომელიც გერმანული კლუბის მარცხის მიუხედავად, ჩვენი არ იყოს, მათი კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი "მიღწევაა".

საჯაია რეგიონალლიგაში დარჩა

სეზონი კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერისთვის დასრულდა. საუბარია გერმანიის რეგიონალლიგაში მოასპარეზე ერთადერთ ჩვენებურ **მიხეილ საჯაიაზე**. მისმა "როიტლინგენმა" სამხრეთი რეგიონალლიგის გათამაშება 45 ქულით მეთერთმეტე ადგილზე დაასრულა, კლუბმა ლიგაში ადგილი ბოლოსწინა ტურში გამარჯვებით შეინარჩუნა. ბოლო ტურის მატჩი კი არაფერს ნყვეტდა. "კარლსრუეს" მეორე გუნდთან გასვლითი შეხვედრა 1:1 დასრულდა. ქართველ ლეგიონერს ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. საჯაია "როიტლინგენში" იანვარში, "დარმშტადტიდან" გადავიდა. ქართველს სწორი არჩევანი გაუკეთებია, რადგან "დარმშტადტი" ლიგიდან გავარდა. მეორე წრეში, 30 წლის ფორვარდმა სულ 6-ჯერ მოირგო "როიტლინგენის" მაისურა, აქედან - სამჯერ სასტარტოში. თუმცა სათამაშო პრაქტიკის უქონლობას ის ნამდვილად არ უჩივის, რადგან ხშირად უწევდა თამაში "როიტლინგენის" მეორე გუნდშიც, სადაც გოლებიც გაჰქონდა. ამ სეზონში, საჯაიას რეგიონალლიგაში სულ 15 მატჩი დაუგროვდა, არადა, შარშან "ბაიროიტში" ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა: სოხუმელმა ფეხბურთელმა 23 მატჩში 12 გოლი გაიტანა. საჯაიას უფრო მაღალ დონეზეც უთამაშია: 2002/03 წლების სეზონში მან "უნტერჰახინგის" (მეორე ბუნდესლიგა) შემადგენლობაში 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, სულ, გერმანიაში 8 ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა. **ლევან კობიაშვილი** ერთადერთი ბუნდესლიგელია, მეორე ბუნდესლიგაში ითამაშეს **ალექსანდრე იაშვილმა, ოთარ ხიზანეიშვილმა, დავით სირაძემ, მათე ღვინიანიძემ, გიორგი ლომაიამ** და **მიხეილ აშვეთიამ**, რეგიონალლიგაში კი მხოლოდ საჯაია თამაშობდა. უფრო დაბალ დონეზე კიდევ რამდენიმე ჩვენებურმა ითამაშა, მაგალითად, **ირაკლი გემეზაშვილმა**, თუმცა მათზე მასალების მოპოვება ძალიან ჭირს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მშვიდობით, ლეანდრო!
ზესტაფონი კახელიშვილსა და ოდიკაძეს იწვევს

"ზესტაფონმა" საფეხბურთო სეზონი 26 მაისს დაასრულა. ფეხბურთელებს ხანმოკლე შვებულება გამოუვიდათ, რადგან გუნდი დღეიდან უკვე ინტერტოტოს გათამაშებისთვის მზადებას შეუდგება. 23 ივნისს, "ზესტაფონი" ყაზახეთის "ტობოლს" კუსტანაიში ეწვევა, 30 ივნისს კი შინ უმასპინძლებს.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბრაზილიელი ლეგიონერი **ლეანდრო ტემპორინი** გუნდს ტოვებს. მენეჯერები მას ჩვენთვის უცნობ ერთ-ერთ ლიტვურ კლუბში მონყობას ჰპირდებიან. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ თავდამსხმელს უცხო ქვეყანასთან ადაპტაცია გაუჭირდა და თავი ვერაფრით გამოიჩინა. კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ** დაადასტურა, რომ ლეანდროს კონტრაქტი უმთავრდება, მაგრამ მის შემდგომ ბედზე კონკრეტული ვერაფერი გვიხრა - ბრაზილიელს ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში დაელაპარაკებაო. ფუტკარაძეს ახალი ხელშეკრულება არ უხსენებია, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ლეანდრო ჩემოდნებზე ზის.

ფუტკარაძისავე თქმით,"ზესტაფონი" სხვა ლეგიონერების - **ჟონატას ტორესის, ედსონ სანტოსის, ვიეირა ჟილვანისა** და გაბონელი **პოლ კესანის** გაყიდვას არ აპირებს: *"მართალია, მათი შეძენა ბევრს სურს, მაგრამ ითხოვე ლეგიონერმა თავი კარგად წარმოაჩინა და მათი იმედი მომავალ სეზონშიც გვექნება".*

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ "ზესტაფონის" ხელმძღვანელობას თბილისის "დინამოდან" ნახევარმცველ **დავით ოდიკაძის**, რუსთავის "ოლიმპიდან" კი თავდამსხმელ **გიორგი კახელიშვილის** აყვანა განუზრახავს. შეგახსენებთ, რომ კახელიშვილი "ლოკომოტივის" საკუთრებაა და რუსთავში არენდით თამაშობდა. ამასთან დაკავშირებულ კითხვაზე ფუტკარაძემ კონკრეტული პასუხი არ გაგვცა - გაძლიერება კი გვსურს, მაგრამ თუ ვის დავიმატებთ, ამის თქმა ჯერ არ შემიძლიაო.

მერაბ მამულაშვილი

გიგიაძემ დნეპრს გაუტანა

სანაკრებო დღეების მიუხედავად, უკრაინული კლუბები დროს უქმად არ კარგავენ და საკონტროლო მატჩებს ატარებენ. „კრივბასი“ „დნეპრს“ გაეჯიბრა და უკრაინის ნაკრების ფეხბურთელთა გარეშე დარჩენილ მეტოქეს იოლად მოუგო. კრივიოროგელებმა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს და 3:0 გაიმარჯვეს.

ვასილ გიგიაძემ მოედანზე პირველი 45 წუთი გაატარა და ანგარიში გახსნა. უკრაინული პრესის ცნობით, ქართველი ფორვარდი მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო. პირველი ტაიმის შემდეგ „კრივბასის“ მნვრთნელებმა ყველა ფეხბურთელი შეცვალეს. „დნეპრის“ კარში მესამე გოლი მეორე ტაიმში გავიდა.

ლევან ჯანეზაშვილი

განცხადება

საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას "დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები აწარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს.

მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე 53-20-76

ს.კ. "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ მერაბ დგებუაძეს, მეუღლის გარდაცვალების გამო.

დიმიტრი სანაკოევი

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ

სანაკოევი ძლიერ ცხინვალს ქმნის

დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უკვე კლუბის პრეზიდენტია. ევროსტადიონი ევრობალახით აგვისტოსთვის იძნება...

**ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, "ᲚᲔᲚᲝᲛ" ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ "ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡᲐ" ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲰᲓᲐᲠᲘᲐᲧᲝ. ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ, ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲑᲐᲭᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲛᲔᲓᲦᲕᲜᲔᲑᲗ, ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲔᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ. ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲥᲝᲛᲐᲒᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲛᲝᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ "ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ" ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲡ ᲐᲠᲥᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲗ, ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡწᲘᲜᲔᲑᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲓᲐᲒᲒᲘᲒᲘᲠᲣᲜᲔᲑᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲗᲣ 16-ᲘᲕᲔ �გᲣᲜᲓᲘ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓᲐᲐ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘ�გᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲐᲓᲒᲔᲑᲐ. ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ ᲙᲘ, ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲜᲔᲑᲔᲗᲐᲗ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲗᲣᲮᲐᲓᲝ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲘᲐᲮᲕᲘᲡ ᲮᲝᲝᲑᲐᲨᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲛᲐᲚᲔ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲙᲔᲗᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

- ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲘᲪᲓᲘᲐᲗ ᲡᲐᲭᲘᲮᲔᲠᲘᲡ "ᲩᲘᲮᲣᲠᲐᲡᲗᲐᲜ" ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲕᲐᲡ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲡ?

- ამით არ დავინტერესებულვართ, ვინაიდან "ცხინვალს" ისედაც ეკუთვნის ადგილი უმაღლეს ლიგაში. ეს გუნდი ორჯერ იძულებით ჩამოშორდა უმაღლეს ლიგას. ახლა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კლუბი ყოველმხრივ გამართული იყოს. ამ კუთხეში ფეხბურთის აყვავება აუცილებელია.

- როგორ დაკომპლექტდება გუნდის შემადგენლობა და უმაღლეს ლიგაში თამაშის შემთხვევაში, რა გეგმები ექნება "ცხინვალს"?

- კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევია. დანარჩენი ხელმძღვანელები, თითქმის ყველა, პოსტებზე დარჩებიან, რადგან აქ მომუშავე ადამიანები ამ საქმის კარგი სპეციალისტები არიან. ისინი "ცხინვალს" კვლავაც სჭირდებიან. მთავარი მწვრთნელის პოსტის დასაკავებლად, მოლაპარაკებები გვაქვს სერგო გაბელაიასთან. მასთან შეთანხმება თითქმის მიღწეულია. თავად გუნდის შემადგენლობას კი, ბუნებრივია, მწვრთნელთა საბჭო შეარჩევს. ჩვენი სურვილია, "ცხინვალი" ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტდეს და ჩამოყალიბდეს ნებისმიერი კოლექტივისთვის ანგარიშგასაწევ ძალად. ამ ეტაპზე, უნდა შეიქმნას ისეთი გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში ხუთეულამდე მიღწევას მოახერხებს.

- დაფინანსების საკითხი მოგვარებულია?

- დაფინანსება აბსოლუტურად საკმარისი იქნება, მეტიც, თუ საჭირო იქნა, არაა გამორიცხული, გაიზარდოს კიდეც. შეგახსენებთ, ადრე "ცხინვალი" ბიუჯეტიდან 80 ათას ლარს იღებდა, რაც დღგ-ს თანხების გამოკლების შემდეგ, 53 ათას ლარზე ჩამოდიოდა. ვისაც ფეხბურთზე მცირე წარმოდგენა მაინც აქვს, დამეთანხმება, რომ საფეხბურთო კლუბის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ეს უბრალოდ სასაცილო თანხაა. გასაკვირი ისაა, ასეთ მდგომარეობაში გუნდმა დღემდე რომ მოაღწია.

- გუნდი ისევ გორში, "ქართლის" სტადიონზე იქნება და კვლავაც იქ გამართავს თამაშებს?

- "ქართლის" სტადიონზე იქნება ბაზირებული, მაგრამ მატჩებს დიდი ლიახვის ხეობაში იმ სტადიონზე გამართავს, რომელიც აგვისტომდე მწყობრში ჩადგება. არენა უეფას მოთხოვნების შესაბამისი აშენდება. ამასთან, ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ მისი მინდორი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში ერთ-ერთი საუკეთესო უნდა იყოს.

- უსაფრთხოების თვალსაზრისით, რამდენადაა შესაძლებელი დიდი ლიახვის ხეობაში საფეხბურთო მატჩების გამართვა?

- მერწმუნეთ, იქ არც ისეთი საშინელი მდგომარეობაა, როგორც გარედან ჩანს. მით უფრო, რომ ადგილი, სადაც სტადიონი აშენდება, სოფელ ხეითში, უსაფრთხოების თვალსაზრისით დაცულია.

- დაბოლოს, რა პერსპექტივა აქვს კიდევ ერთ საფეხბურთო კლუბ თამარაშენის „ლიახვს“, რომელიც აგრეთვე ცხინვალის რეგიონს ეკუთვნის?

- თამარაშენის "ლიახვსაც" აქვს თავისი დაფინანსება, გეგმები და ახალ საფეხბურთო სეზონში ის, როგოც რეგიონალლიგელი, იქ შეეცდება წარმატებისთვის ბრძოლას.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

CDN ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲘᲐᲚᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ᲒᲘᲗᲐᲜᲐᲖᲝᲒᲗ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲣᲜᲘ�კᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ �პᲐᲙᲔᲢᲘ:

CDN DSL ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ;
CDN 155 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ;
CDN 8-66 ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ;
GIGACHIP ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔ ᲛᲔᲢᲘ, ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ;
CDN ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ;

24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ
• ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ • ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ
• �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ • ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲛᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ!
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠ-ᲑᲝᲭᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ!

ᲓᲐᲠᲔᲯᲘᲜ, ᲡᲐᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ!
ᲝᲠ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ 14
ᲢᲔᲚ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ახალი მწვრთნელი ტურინში

იუვენტუსს უარი არ უნდა უთხრა...

რანიერი სამი წლით და დიდი ამბიციით. გამოცდილმა სპეციალისტმა ბებერ ქალბატონს ძველებური ბრწყინვალება უნდა დაუბრუნოს

კლაუდიო რანიერი

მაშ ასე, **კლაუდიო რანიერი** გუშინ "იუვენტუსის" მწვრთნელად დაინიშნა. 55 წლის სპეციალისტმა "ბებერ ქალბატონთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას შემდეგ, რაც **მარჩელო ლიპიმ** ტურინში დაბრუნებაზე უარი თქვა, კლუბის მესვეურები რანიერიზე გადაერთვნენ. "ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი თითქოს "მანჩესტერ სიტიში" ინიშნებოდა, მაგრამ "იუვეს" გენერალურმა მენეჯერმა **ჟან-კლოდ ბლანმა** იყოჩაღა და გამოცდილი სპეციალისტის დაყოლიება მოახერხა.

"კლაუდიო რანიერიზე არჩევანის გაკეთება სწორი ნაბიჯია იმ ტრადიციებიდან და ობიექტივებიდან გამომდინარე, რაც "იუვენტუსს" უკავშირდება. მისი გამოცდილება და ხედვა დაგვეხმარება, მივაღწიოთ იმ მიზნებს, რაც ჩვენ წინაშეა დასახული. ეს მიზნები უკვე ჩამოყალიბებულია დირექტორთა საბჭოს მიერ, არსებობს "იუვენტუსის" აღორძინების პროექტიც, რასაც ბატონი რანიერი უკვე იცნობს. მასთან ერთად, უკვე ამ სეზონში გვექნება ის ამბიცია, რაც "იუვენტუსს", მის სახელსა და ისტორიას ეკადრება" - ვკითხულობთ კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

"იუვეს" პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** კვირას დაადასტურა, რომ რანიერისთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებული იყო: *"დარწმუნებული ვარ, სწორი გზით მივდივართ. კლაუდიოს საკმარისი გამოცდილება აქვს საიმისოდ, რათა "იუვენტუსს" ძველი დიდება დაუბრუნოს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ის გახლავთ, რომ ჩვენი გუნდის ვარსკვლავები მის დანიშვნას მხარს უჭერენ. მაგალითად, ჯანლუიჯი ბუფონმა საჯაროდ დააფიქსირა თავისი პოზიცია. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ახალი სეზონისთვის ყველა ძირითადი ფიგურა გუნდში დარჩება".*

"იუვენტუსმა" ორი კურდღელი უკვე დაიჭირა და ახლა მესამეს უმიზნებს. ერთი ისაა, რომ ძლიერი და ავტორიტეტული სპეციალისტი იშოვა, მეორე - დაიტოვა სერიოზული გარანტია, რომ მომავალი ჩემპიონატისთვის წამყვან მოთამაშეებს უკლებლივ შეინარჩუნებს, და მესამეც - უკვე არის საუბრები იმაზეც, რომ რანიერის საშუალებით, **ფრენკ ლემპარდის** ყიდვაც მოხერხდება. ცხადია, მესამე კურდღლის დაჭერა გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს და ვნახოთ, როგორ იქნება საქმე...

რანიერის პრეზენტაცია გუშინვე შედგა. "იუვენტუსის" ახალმა მწვრთნელმა სიტუაცია ასე შეაფასა: *"პირველ რიგში, მსურს, მადლობა გადავუხადო "იუვენტუსს" იმისთვის, რომ არჩევანი ჩემზე შეაჩერა. ასევე ვთვლი, რომ მადლობის ღირსია "პარმის" ხელმძღვანელობაც, რომელმაც იტალიაში დაბრუნების შანსი მომცა. ძალიან გახარებული ვარ, რომ ტურინში მუშაობის საშუალება გამიჩნდა. აქ ამბიციური პროექტი აქვთ, პროექტი, რომელმაც მომხიბლა და ამიტომაც დავთანხმდი. "იუვენტუსი" იტალიაშიც და ევროპაშიც პირველი უნდა იყოს. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია... ჩემს გვარს პრესაში ადრეც ვკითხულობდი, მაგრამ შაბათ საღამომდე არანაირი კონტაქტი არ ყოფილა. უნდა ვთქვა, რომ პირველივე შეხვედრით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მიმაჩნია, რომ მწვრთნელმა ასეთი შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვას. "იუვენტუსს" უარი არ უნდა უთხრა. რაც შეეხება "მანჩესტერ სიტის", დიახ, იყო ჩვენ შორის მოლაპარაკება, მაგრამ მათგან მთელი 15 დღის განმავლობაში ველოდი შეხმიანებას. არავინ დამიკავშირდა, დრო კი არ ითმენდა. ასე რომ, ჩემი ბრალი არ არის. ახლა ბედნიერი ვარ, რომ ტურინში ვარ და ახალ თავგადასავალს ვიწყებ".*

ამ ნაწილის ბოლოს, მოკლედ რომაელი ტაქტიკოსის პროფესიულ წარსულზე. ყოფილი მცველი სამწვრთნელო კარიერას 1987 წელს იწყებს. 1988-91 წლებში ის "კალიარიში" მუშაობს. რანიერის სარდინიული კლუბი სერია C1-დან უმაღლეს დივიზიონში გადაყავს. შემდეგ მიდის "ნაპოლიში", რომელიც იმ სეზონში მეოთხე ადგილზე გადის. ის ნელ-ნელა მიიწევს ჩრდილოეთისკენ და "ფიორენტინის" მწვრთნელი ხდება. მისი ხელმძღვანელობით, 1996 წელს, "ვიოლა" იტალიის თასსა და სუპერთასს ეუფლება. 1997 წლიდან გადადის "ვალენსიაში", სადაც ორს სეზონს ატარებს. 1999 წელს "ვალენსია" ესპანეთის სამეფო თასს იგებს. 2000-დან 2004 წლამდე "ჩელსის" მწვრთნელია. დასკვნით სეზონში "არისტოკრატები" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაყავს. იმავე სეზონში მას **ჟოზე მოურინიო** ცვლის. "სტემფორდ ბრიჯიდან" რანიერი "ვალენსიას" უბრუნდება. სამწლიანი კონტრაქტის მიუხედავად, უეფას თასიდან გავარდნის გამო მას ექვს თვეში ათავისუფლებენ. ტელეკომპანია "სქაი იტალიასთან" ორწლიანი თანამშრომლობის შემდეგ, ის სამწვრთნელო სკამზე ბრუნდება და ოთხთვიანი მუშაობის შედეგად, "პარმას" სერია A-ში ტოვებს...

იუვე მილიტოს ვერ ყიდულობს

სამწვრთნელო ამბების შემდეგ, ერთ სატრანსფერო ოპერაციაზეც ვთქვათ. ესპანური სააგენტოების მტკიცებით, "იუვენტუსი" **გაბრიელ მილიტოს** ყიდვას ვერ ახერხებს. "სარაგოსამ" უარით გაისტუმრა ტურინული მხარე, რომელიც არგენტინელ მცველში 11.5 მილიონ გირვანქას იძლეოდა. თუ as-ს დავუჯერებთ, "იუვე" არაგონელებს გასულ კვირას შეეხმიანა. თავიდან, "სარაგოსას" 8.5 მილიონი შეაძლიეს, რაც შემდეგ მთელი 3 მილიონი გირვანქით გაზარდეს. თუმცა ესპანური კლუბი 26 წლის მოთამაშეს მაინც ვერ ელევა. არც არის გასაკვირი, რადგან მილიტოს კონტრაქტში შავით თეთრზე წერია, რომ მისი გამოსასყიდი თანხა შეთავაზებულზე ლამის ორჯერ მეტი, 21 მილიონი გირვანქაა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, "სარაგოსა" დათმობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ 15 მილიონს გადაუხდიან. არადა, ფეხბურთელის აგენტ **ედუარდო გამარნიკს** "იუვენტუსთან" ხუთწლიანი კონტრაქტი უკვე შეთანხმებული აქვს.

რეალი. ტრანსფერები

სავიოლა: მადრიდი თუ მანჩესტერი?

სამეფო კლუბმა დანიელ ალვეშიც მოიკითხა

"დიარიო სპორტის" ცნობით, "რეალი" **ხავიერ სავიოლას** კონტრაქტს შესთავაზებს. არგენტინელი თავდამსხმელი თავისუფალი აგენტი ხდება. პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** გულშემატკივარს დანაპირები ვერ შეუსრულა. მან ვერც **კაკა** ჩაიყვანა "ბერნაბეუზე" და ვერც – **არიენ რობენი**. მაგრამ საკმარისია, "ბარსელონიდან" სავიოლა წაიყვანოს, რომ მაშინვე ყველაფერს აპატიებენ. კატალონიელებისათვის ფეხბურთელის წართმევა მადრიდელთათვის საამაყო საქმეა, თითქმის ისეთივე საამაყო, როგორიც ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევა ორწლიანი ჰეგემონიის შემდეგ. მაგრამ "რეალს" სერიოზული კონკურენტი ჰყავს. იმავე "დიარიო სპორტში" ვკითხულობთ, რომ სავიოლას **სერ ალექს ფერგიუსონიც** ეპატიჟება. "მანჩესტერ იუნაიტედი" თავდასხმის გაძლიერებას აპირებს. 25 წლის ვარსკვლავი იდეალური კანდიდატია.

ამასობაში, სამეფო კლუბი სევილიელ **დანიელ ალვეშსაც** შეეხმიანა. მადრიდელთა გენერალური მენეჯერი **პრედრაგ მიატოვიჩი** ფეხბურთელს აგენტს **ხოსე როდრიგეს ბასტერს** შეხვდა. "ასის" ცნობით, სენიორ ბასტერი "რეალის" ძველი პარტნიორია. ის ლიონელი **მაჰამადუ დიარას** ტრანსფერში მონაწილეობდა. ალვეშს სევილიური კონტრაქტი 2012 წელს უმთავრდება. ის 40 მილიონ ევროდაა შეფასებული. მადრიდელები 20 მილიონზე მეტის გადახდას არ აპირებენ. მოლაპარაკების მორიგი რაუნდი უახლოეს დღეებში გაიმართება.



ხავიერ სავიოლა

მილანი

ნასვლა გინდა? წადი!

ანჩელოტიმ ჯილარდინოზე ხელი აიღო. კარლეტო ადასტურებს: დიახ, ანრი!

სპეციალისტმა ერთი ნაწილი თვლის, რომ **ალბერტო ჯილარდინომ** სეზონი ჩააგდო. მსგავსი შეფასება ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება. სტატისტიკა მოვიშველიოთ: აწდასრულებული ჩემპიონატის 30 მატჩში მან 12 გოლი გაიტანა, ხუთით ნაკლები ვიდრე წინა გათამაშებაში. რეგრესი სახეზეა, მაგრამ არც ისეთი საგანგაშო, როგორც ამას მავანი მიიჩნევს. პრობლემა უფრო ისაა, რომ ფორვარდმა ძირითადში სტაბილური ადგილი დაკარგა. **კარლო ანჩელოტი**, მეტწილად, ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობდა, თანაც, ამ ზამთარს "მილანში" თვით **რონალდო** მივიდა. **ინძაგი, ჯილარდინო, რონალდო** - დაგვეთანხმებით, ამათ შორის არჩევანის გაკეთება არც ისე ადვილია. ჯილას მიაჩნია, რომ ანჩელოტი მას მაინცდამაინც არ სწყალობდა. მისი მილანური კარიერა სწორედ რონალდოს გამო დადგა ეჭვქვეშ:

"სიტუაცია მარტივია. აქ ძალიან ბედნიერი ვარ, ოღონდ, ეგ არის, რომ ვერავის მივცემ დარჩენის გარანტიას. მართალია, ხანგრძლივი კონტრაქტი მაქვს, მაგრამ შეიძლება, ყველაფერი მოხდეს. ახლა სხვა წინადადებებს განვიხილავ. არ ვიქნებოდი მართალი საკუთარი თავთან, მრავალრიცხოვანი შეთავაზებისთვის რომ ყურადღება არ მიმექცია. ჩემთვის, კლუბისა და მწვრთნელის მხრიდან ნდობა შეუფასებელი ავანსია. ადრე ამის ნაკლებობას არ ვგრძნობდი და ვისურვებდი, რომ მომავალშიც ასე იყოს".

ჯილარდინო, ყველა მეტად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში მისმა იგნორირებამ გაანაწყენა. მას იმედი ჰქონდა, რომ **ფილიპო ინძაგის** ნაცვლად, სასტარტოში სწორედ ის ითამაშებდა: *"ვფიქრობ, შეიძლებოდა ლიგის ფინალში ჩემი დაყენებაც. გულახდილად ვამბობ, რომ მწვრთნელის გადაწყვეტილებამ გული დამწყვიტა. არ მინდა, გუნდში ჩემი ადგილი მუდმივად ეჭვქვეშ იყოს. უკვე 25 წლის ვარ და ვოცნებობ, "მილანს" დავუბრუნო ის ფული, რაც ჩემთვის დახარჯა".*

იმ სპეკულაციების ფონზე, რაც "მილანში" ახალი ფორვარდის მისვლასთან დაკავშირებით ვრცელდება, ჯილარდინოს დარჩენის შანსი დღეს კიდევ უფრო მცირეა. ის აცხადებს, რომ კონკურენციის არ ეშინია, მაგრამ უნდა, რომ ეს კონკურენცია ჯანსაღი იყოს და მწვრთნელმა სუბიექტური ფაქტორებით არ იხელმძღვანელოს: *"არანაირი შიში არ მაქვს. თავად განსაჯეთ, ისეთი დიდი ფიგურების გვერდით მითამაშია, როგორებიც შევჩენკო, ვიერი, ინძაგი და რონალდო არიან, მაგრამ ყველამ იცის, რომ არავისი და არასდროს შემშინებია. მთავარია, კონკურენცია სამართლიანი იყოს".*

ჯილარდინო უარყოფს ხმებს, თითქოს საკუთარი თავი "ინტერს" შესთავაზა. როგორც კი ეს ხმები გავრცელდა, "სან სიროს" ათასობით ქომაგისგან მან სტვენა მიიღო, მაგრამ ჯილა მშვიდადაა: *"ის, რაც "ინტერთან" დაკავშირებით დაიწერა, ბინძური ტყუილია. ეს არც მაღელვებს, რადგან ვიცი, რომ საკუთარი თავის წინაშე მართალი ვარ. მათ კი, ვინც მისტვინა, მზად ვარ, პასუხი ჩემი გოლებით გავცე, თუკი ამის საშუალება მომეცემა".*

ბოლოხანს გავრცელებული ხმების თანახმად, ჯილარდინოს ყიდვა "ბარსელონასა" და "იუვენტუსს" სურთ. ის კმაყოფილია იმით, რომ ესოდენ დიდი კლუბების ინტერესთა სფეროში მოხვდა, მაგრამ ჯერჯერობით, მილანური ყოფის გაუმჯობესებაზე ფიქრობს...

ანჩელოტი: ერთი ნახევარმცველი და ერთიც ფორვარდი

შევჩენკოს ლონდონში დარჩენა უნდა, მორატი კი უკრაინელში ადრიანოს იძლევაო...

ცხადი იყო, რომ ანჩელოტი ფორვარდის კომენტარებს უყურადღებოდ არ დატოვებდა. როგორც ჩანს, მწვრთნელს შეგირდის პირდაპირობა არ მოეწონა: *"თუ ჯილარდინოს წასვლა უნდა, წავიდეს. ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც მას ხელი უნდა შევუშალოთ. შესაძლოა, ის თვლის, რომ პროფესიული წინსვლისთვის სხვა კლუბში გადასვლა სჭირდება. რა გაეწყობა, მისი საქმეა. მე არ მესმის, რომელ უნდობლობაზეა ლაპარაკი. ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც ასე ვთვლი, რომ ჯილარდინო "მილანისთვის" საჭირო ფორვარდია. რაც შეეხება კონკურენციას, ვფიქრობ, ფეხბურთელის განვითარებისთვის ეს აუცილებელი პირობაა. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ მას ხელს არ შევუშლით და დავიწყებთ ფიქრს ალტერნატიულ ვარიანტზე".*

ანჩელოტი აცხადებს, რომ ერთადერთი ფეხბურთელი, ვისაც "მილანის" ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს, **კაკაა**. იქვე, მწვრთნელი პასუხობს კითხვას **ტიერი ანრისთან** დაკავშირებით. ბოლო ინფორმაციით, ფრანგი ფორვარდი "არსენალში" დარჩენას არ აპირებს, ხოლო მის შესაძენად "ბარსელონა", "მილანი" და "ინტერი" იბრძოლებენ. ამას გარდა, მიმიმხილველთა ვარაუდით, "როსონერის" ობიექტივში რჩებიან **რონალდინიო, სამუელ ეტო'ო, ანდრეი შევჩენკო** და **ემერსონი**:

"ჩვენი მიზანია, "მილანის" კონკურენტუნარიანობა არამხოლოდ შევინარჩუნოთ, არამედ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ. ის, რასაც პრესაში ვკითხულობ, მეტ-ნაკლებად მართალია. პირდაპირ ვამბობ, რომ ნახევარმცველისა და ფორვარდის აყვანა გვინდა. რა თქმა უნდა, მოლაპარაკებებსაც ვაწარმოებთ. ანრი? ის დიდებული ფორვარდია. ვადასტურებ, რომ ის იმ ფეხბურთელთა სიაშია, ვინც ჩვენ გვაინტერესებს. რაც შეეხება ემერსონს, ვთვლი, რომ ის გამოგვადგებოდა".

და შევჩენკო? კარლო ადასტურებს, რომ მისთვის "მილანის" კარი კვლავ ღიაა. თუმცა "სანისთვის" გაკეთებულ კომენტარში შევჩენკო ამბობს, რომ ლონდონში თავს მშვენივრად გრძნობს: *"მომეცით დრო და მომავალ სეზონში ნამდვილ შევჩენკოს იხილავთ. ვიცოდი, რომ "ჩელსიში" ადაპტაცია ადვილი არ იქნებოდა. ახალი კლუბი, ახალი სეზონი... შედეგად, რთული სეზონი, რომელიც უნდა დავივიწყო".*

ამასობაში, "კორიერე დელო სპორტი" სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს. "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** "ჩელსის" შევჩენკოსა და **ადრიანოს** გაცვლას სთავაზობსო. კომენტარები ჯერჯერობით არ გაკეთებულა. ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ შევჩენკოს "ინტერში" გადასვლა გამორიცხული გვგონია... თუმცა ვინ იცის...

ანჩელოტის ჯილარდინო აღარ აინტერესებს

ვესტ ჰემი

კერბიშლის ცხელი ზაფხული

რიგში დგანან რიჩარდსონი, რაიტ-ფილიპსი, ჯონსონი და ბელამი

"ვესტ ჰემი" ზაფხულის ტრანსფერებში დიდი ფულის დახარჯვას აპირებს. ლონდონელთა ბოს **ეგერტ მაგნუსონს** არ სურს, მისი კლუბი მაჩანჩალა იყოს და ბოლო ტურამდე პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძოდეს. "ჩაქუჩები" 4 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ "მანჩესტერ იუნაიტედს" ახალგაზრდა გარემარბის **კირან რიჩარდსონის** სანაცვლოდ. "ეშმაკებმა" მის პოზიციაზე პორტუგალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ნანი** შეიძინეს. ლისაბონის "სპორტინგმა" კომპენსაციის სახით 14 მილიონ გირვანქა მიიღო. რიჩარდსონი 22 წლისაა. მან "იუნაიტედთან" პირველი პროფესიული კონტრაქტი 2002 წელს გააფორმა, მაგრამ საკვანძო მოთამაშე არასოდეს ყოფილა– პრემიერლიგაში მანჩესტერელთა ძირითადში მხოლოდ 20 მატჩი აქვს ჩატარებული (ნაკრებში 8 მატჩი). 2005 წლის იანვარში კი ექვსთვიანი იჯარით "ვესტ ბრომვიჩ ალბიონში" მიავლინეს. "ვესტ ჰემმა" უკვე შეიძინა ნიუკასლელი ნახევარმცველი **სკოტ პარკერი**. ჯორდებს 7 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. ლონდონელებმა "ჩელსის" **შონ რაიტ-ფილიპსის** სანაცვლოდ 10 მილიონი შესთავაზეს. "ევერტონს" კი ინგლისის ნაკრების თავდამსხმელის, **ენდი ჯონსონის** სანაცვლოდ – 13 მილიონი. "ჩაქუჩების" ბოსმა **ალან კერბიშლიმ** "პორტსმუთის" 35 წლის თავდამსხმელი **ენდი კოულიც** მოიკითხა. თუ "ლივერპული" **კრეიგ ბელამის** გაყიდის, "ვესტ ჰემი" 8 მილიონს გაამზადებს, პირადად უელსელ ვარსკვლავს კი კვირაში 70 ათას გირვანქას დაუნიშნავს.

ბაიერნი. ტრანსფერები

რიბერი 25 მილიონად

სიტყვა და საქმე: 57 მილიონი დახარჯულია, ზე რობერტოც მოდის, კლოზე და გულარუზი რიგში დგანან...

ფრენკ რიბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაზეც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ ვარაუდის დონეზე ვწერდით, ახლა უკვე მასიურად დადასტურებული ამბავია. გერმანული გამოცემები "კიკერი" და "ბილდი" გუშინ ერთხმად იტყობინებოდნენ, რომ "ბაიერნი" მარსელის "ოლიმპიკისა" და საფრანგეთის ნაკრების გარემარბ **ფრანკ რიბერის** მოურიგდა. მიუხედავად იმისა, რომ "მარსელმა" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, ფეხბურთელი, რომელსაც საფრანგეთის ნაკრებში 17 თამაში აქვს ჩატარებული, იმ გუნდში გადადის, რომელიც მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს. მიზეზი, რა თქმა უნდა, ფულია: მიუნხენელები ფრანგ დრიბლიორს დიდ ხელფასს უნიშნავენ.

"ბილდი" წერს, რომ რიბერის "ბაიერნში" გადასვლა 100 პროცენტით გადაწყვეტილი ამბავია. ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, ფრანგი მიუნხენში ხუთშაბათს ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ბავარიელები "მარსელს" რიბერის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს გადაუხდიან. ამრიგად, რიბერი ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდება. ჰო, ერთ-ერთი და არა უპირველესი, რადგან 2001 წელს დორტმუნდის "ბორუსიამ" **მარსიო ამოროზოს** სანაცვლოდ "პარმას" 50 მილიონი მარკა (25 მილიონი დოლარი) გადაუხადა. "კიკერი" კი წერს, რომ ტრანსფერი 100 პროცენტით გადაწყვეტილი ჯერ მხოლოდ იმის გამო არაა, რომ დიდი შანსია, ხუთშაბათამდე საქმეში მადრიდის "რეალიც" ჩაერთოს. სამეფო გუნდი კი, მიუნხენელთათვის ძალიან ძლიერი კონკურენტი იქნება. ცნობილია, რომ რიბერის ესპანეთში თამაშის პერსპექტივა უფრო ხიბლავს.

თუ ჩავთვლით, რომ რიბერი "ბაიერნში" გადავა, გამოდის, რომ რეკორდმაისტერის შეფებმა ტრანსფერებში უკვე 57 მილიონი ევრო დახარჯეს. რიბერის 25 მილიონს **ლუკა ტონის** სანაცვლოდ გადახდილი 11 მილიონი ემატება. პლუს ამას **მარსელ იანსენში** (გლადბახიდან) და **ხოსე ერნესტო სოსაში** (ესტუდიანტესიდან) დახარჯული 10-10 მილიონი და **იან შლაუდრაფის** სანაცვლოდ აახენის "ალემანიის" ანგარიშზე გადარიცხული 1 მილიონი (**ჰამით ალთინთოფი** "ბაიერნმა" უფასოდ გადაიბირა). მოკლედ, ჯამში 57 მილიონი გამოდის.

ეს კი, ყველა დროის ყველაზე ძვირი "ბაიერნი" იქნება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რეკორდმაისტერი საუკეთესოც იქნება? მენეჯერმა **ული ჰიონესმა** არაერთხელ თქვა, მომავალ სეზონში კონკურენტები ბინოკლით დაგვიწყებენ ყურებასო. ფაქტი ისაა, რომ ბავარიულ გიგანტში უდიდესი კონკურენცია იქნება. ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან **ვილი სანიოლი, დანიელ ვან ბუიტენი, ბასტიან შვაინშტაიგერი, ლუკას პოდოლსკი** და **როი მაკაი,** სათადარიგოთა სკამის ხეხვის საფრთხე ემუქრებათ.

ამავდროულად, ცნობილი გახდა, რომ **ზე რობერტომ** მიუნხენურ კლუბს თანხმობა შეუთავაზა და "ბაიერნში" ბრუნდება. 32 წლის ბრაზილიელი რეკორდმაისტერთან ორწლიან კონტრაქტს აფორმებს. მისი გუნდში დაბრუნება **ოტმარ ჰიტცფელდის** იდეა გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ზე რობერტო "ბაიერნში" 2002-იდან 2006 წლამდე თამაშობდა. ამჯერად ის "სანტოსშია", სადაც შესანიშნავად ათამაშდა და ჰიტცფელდის ყურადღება ისევ მიიქცია.

მიუნხენური გიგანტის ხელმძღვანელებს **მიროსლავ კლოზეს** მდგომარეობა აფიქრებთ. ჰიონესი ძალიან წუხს იმის გამო, რომ კლოზეს მასთან გამართული საიდუმლო მოლაპარაკებების გამო ბოლო დროს მაგრად აკრიტიკებენ. ფაქტია, იმაში, რომ კლოზე ბაიერნელი გახდება, ეჭვი აღარავის ეპარება. გაირკვა, რომ თუ მირო მიუნხენს მიაშურებს, "ბაიერნიდან" მაკაი (კონტრაქტი 2008 წლამდე) და **როკე სანტა კრუსი** აიბარგებიან. ამ უკანასკნელს "ბეტისი" ეპატიჟება. ამასობაში, ჰიონესმა **კლაუდიო პისაროს** "ჩელსიში" გადაბარგებაზე გააკეთა კომენტარი. აი, რა თქვა ენაჭარტალა ულიმ: *"დარწმუნებული ვარ, რომ პისარო ლონდონურ კლუბს კარგად შეეწყობა და ბევრს აჯობებს. უბრალოდ მიკვირს, რომ "ჩელსიმ" აქცენტი უფასო ფეხბურთელებზე გადაიტანა. როგორც ჩანს, რომან აბრამოვიჩს ასობით მილიონების ხარჯვა ყელში ამოუვიდა და ხელმძღვანელებს თითი დაუქნია."*

ჰიონესმა გერმანიის ნაკრების მენეჯერის, **ოლივერ ბირჰოფისთვისაც** მოიცალა. როგორც იცით, ამ უკანასკნელმა "ბაიერნის" ხელმძღვანელები ტონის ყიდვის გამო გააკრიტიკა. იტალიელი, რა თქმა უნდა, კარგი თავდამსხმელია, მაგრამ ჩემი აზრით, საუკეთესო ფორვარდების სიას ნამდვილად არ მიეკუთვნება და მიკვირს, ბავარიელები მისი ყიდვით თავს ასე რომ იწონებენო. ჰიონესის აზრით, რომელიც ახალ "ბაიერნს" აშენებს, ეს უკვე მეტისმეტია.

"უმჯობესია, ჰერ ბირჰოფმა თავისი შეცდომების გამოსწორებაზე იზრუნოს. ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ბირჰოფი თავს ვალდებულად თვლის, ყველაფრის შესახებ თავისი აზრი გამოთქვას, რაც უბრალოდ ამაზრზენია. ასეთი სულელური განცხადებები მან თავისთვის უნდა დაიტოვოს. უბრალოდ, თუკი ის ჩვენს შესახებ საუბრობს, ჩვენც იძულებულები ვართ, რომ მასზე და მის საქმიანობაზე ვილაპარაკოთ. ბირჰოფმა გერმანიის ნაკრებზე უნდა იფიქროს, იქ იმდენად ბევრი საქმე აქვს, რომ კლუბებისთვის წესით ვერ უნდა იცლიდეს!" - განუცხადა ჰიონესმა "ბილდს".

"მე არ მითქვამს, რომ ტონი ცუდი ფეხბურთელია. უბრალოდ, საკუთარი აზრი დავაფიქსირე: იტალიელი არ არის საუკეთესო. ტონი არ არის რონალდინიოს, კრისტიანო რონალდოს ან კაკას დონის ფეხბურთელი," - თავს ასე იმართლებს ბირჰოფი.

დაბოლოს, ჰიონესი უახლოეს მომავალში "ჩელსისთან" **ხალიდ ბულარუზის** თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებასაც გეგმავს. მუშაობს, "ბაიერნის" ბოსი, როგორც ხედავთ, მაგრად მუშაობს...

გოტფრიდ ლენცი

დუნგა რონალდინიოთი უკმაყოფილოა

ბრაზილიის ნაკრები

დუნგა: რონალდინიომ მეტი უნდა ივარჯიშოს

სელესაოს მთავარმა მწვრთნელმა მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა

გუშინ **კარლოს დუნგამ** ბრაზილიელი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრეს-კონფერენცია გამართა. "სელესაოს" თავკაცმა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. ყველაზე საინტერესო ის ეპიზოდი იყო, როცა სეუ დუნგა **რონალდინიოს** შესახებ საუბრობდა: *"ჩემი აზრით, რონალდინიო დღეს აღარ არის პლანეტის ყველაზე კაშკაშა და საუკეთესო ფეხბურთელი. ასეთად კაკას მივიჩნევ. ბუნებრივია, გაუჩოს ფენომენალური ნიჭი არ გამქრალა. მისი ტალანტი დღესაც აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ მხოლოდ ნიჭით უმაღლეს მწვერვალზე დიდ ხანს ვერ გაჩერდები. პირდაპირ ვიტყვი, რონალდინიომ ბევრი უნდა ივარჯიშოს. წინაალმდეგ შემთხვევაში, ველარასოდეს გახდება პლანეტის საუკეთესო მოთამაშე. ადრე 40-მეტრიან რეიდებს ახორციელებდა, ახლა კი მაქსიმუმ 20 მეტრის რადიუსში მოქმედებს. ცხოვრებამ გამოააშკარავა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ასეთი ფიზიკური მომზადებით შორს ვერ წახვალ. ნურავინ იფიქრებს, ჩემი შეგირდისადმი წყენა მალაპარაკებს. მან კოპა ამერიკაზე თამაში არ ისურვა, ჩემთვის ეს ძალიან გულდასაწყვეტია, მაგრამ წყენა მართლაც არაფერ შუაშია. უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავ. რონალდინიომ გაცილებით მეტი უნდა ივარჯიშოს, რათა სისწრაფე დაიბრუნოს. შემიძლია, ნებისმიერ ადამიანს ვედავო და დავუმტკიცო, რომ მართალი ვარ."*

ჟურნალისტები იმითაც დაინტერესდნენ, თუ რა მოტივით ჩამოართვა დუნგამ რონალდინიოს 10-ნომრიანი მაისურა. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ასეთი რამ განაცხადა: *"მე თუ მკითხავთ, ფეხბურთელები ბრაზილიაზე უნდა ფიქრობდნენ და არა მაისურაზე. მე ჩემი ქვეყნის ინტერესებს ვემსახურები, მოთამაშეების პირადი ინტერესები კი ნაკლებად მაღელვებს. ვისთვისაც ბრაზილია ყველაფერზე ძვირფასია, 10-ნომრიან მაისურას ყურადღებას საერთოდ არ მიაქცევს."*

დაგვეთანხმებით, დუნგამ რონალდინიო საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა. კატალონიელი ჟურნალისტები შეეცადნენ, გაუჩოს დაკავშირებოდნენ და მისი მოსაზრება მოესმინათ. სამწუხაროდ, მათ ბრაზილიელთან დაკავშირება ვერ შეძლეს.

ალფონსო ალვეში შტუტგარტში?

"შტუტგარტი" თავდამსხმელების ძებნას განაგრძობს. **ომარ ბრავოსა** და **ბეტფიმბი გომისის** შემდეგ, გერმანიის ჩემპიონებმა მიზანი "ჰერენვენის" ბრაზილიელი თავდამსხმელის **ალფონსო ალვეშისკენ** მიმართეს. "შტუტგარტერ ცაიტუნგის" ცნობით, შვაბთა სასურველ ფეხბურთელთა სიაში, ეს უკანასკნელი პირველ ადგილზეა. 26 წლის ბრაზილიელს გასულ პარასკევს ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრაში სელესაოში დებიუტი ჰქონდა. გასულ სეზონში მან ჰოლანდიის ჩემპიონატში 34 გოლის გატანა მოახერხა (31 თამაშში) და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ალვეში 1.85 მეტრი სიმაღლის, ძალიან ტექნიკური და სწრაფი ფორვარდია, რომელიც ჩინებულად ასრულებს საჯარიმო დარტყმებს. მას ჰოლანდიურ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს და მისი ფასი დაახლოებით 10 მილიონი ევროა. "შტუტგარტის" გარდა, ალვეშის გადაბირებას "ვალენსიაც" ცდილობს.

ვოლფსბურგი მაგათის კონტაქტებს გამოიყენებს

"ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ, **ფელიქს მაგათმა** გუნდის გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, "დესპოტ ფელიქსს" "ბაიერნიდან" **დანიელ ვან ბუიტენის, როი მაკაისა** და **როკე სანტა კრუსის** გადაბირება სურს. თუკი მაკაისა და სანტა კრუსის ტრანსფერები ასე თუ ისე რეალურია, ვან ბუიტენს რეკორდმაისტერი იოლად ვერ შეელევა. ეს ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება რეალური, თუ მიუნხენელები "ჩელსიდან" **ხალიდ ბულარუზს** გადაიბირებენ. "ვოლფსბურგის" უპირატესობა ამ შემთხვევაში ის არის, რომ მაგათს ზემოთ ხსენებულ მოთამაშეებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს.

რეალი

რობინიომ კაპელოს სქემები დაუწუნა

ის ბრაზილიის ნაკრებში უფრო თავისუფალია

რობინიო

რობინიომ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა. ახალგაზრდა ფორვარდმა დაუფარავად თქვა, რომ ბრაზილიის ნაკრებში ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ვიდრე მადრიდის "რეალში": *"სელესაოში" თავისუფლად ვთამაშობ. არ მზღუდავენ. ევროპული საფეხბურთო მსოფლმხედველობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სამხრეთამერიკულისგან. რატომ უნდა დავმალო, მე ბრაზილიური სტილი უფრო მომწონს. სამეფო კლუბში სქემა ინდივიდზე მაღლა დგას. რამდენადაც არ უნდა მსურდეს, ვერ შევძლებ, კონკრეტული ეპიზოდის ბედი ჩემი შეხედულებისამებრ გადავწყვიტო. ცალი თვალი ყოველთვის მწვრთნელისკენ უნდა გქონდეს მიპყრობილი."*

რობინიოს ჯარიმების შესრულებაც კარგად ეხერხება, მაგრამ მას საამისო შანსი თითქმის არასოდეს ეძლევა.როგორც გაირკვა, ბრაზილიელს გული არ წყდება, რადგან მიიჩნევს, რომ **დევიდ ბექჰემი** საჯარიმოების დარტყმის უდავო ოსტატია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРЕМИЕРЛИГА 2006/07. მიმოხილვა

დამსახურებული ჩემპიონი და კრიზისში მყოფი არისტოკრატია

არსენალისგან პროგრესს უნდა ველოდოთ, ლივერპულს არაფერი ეშველება?

სერ ალექს ფერგიუსონი და ჯოზე მოურინიო

წლეულს, ყველაზე მდიდარ და საინტერესო ჩემპიონატს განსაკუთრებულად ახალი არაფერი აღმოუჩენია. თუმცა, რატომ არაფერი, პრემიერლიგას ხომ ახალი ჩემპიონი ჰყავს! მას ან აღმერთებენ ან აძაგებენ. მხოლოდ ძლიერი კლუბი იწვევს ხოლმე ასეთ ძლიერ ემოციებს. და დღევანდელი "მანჩესტერ იუნაიტედი" მართლაც ძლიერი კოლექტივია. მისი ჩემპიონობა აბსოლუტურად დამსახურებულია, თანაც გუნდის ეფექტური მოქმედება წარმატებით ერწყმის სილამაზესა და ელეგანტურობას.

დიადი და საშინელი

ისევე, როგორც ბოლო მეოთხედი საუკუნე, ამჟამინდელი "მანჩესტერი" - სერ **ალექს ფერგიუსონის** შემოქმედების ნაყოფია. შოტლანდიელი მასზე სამი წელინადი მუშაობდა. გუნდი მარცვალ-მარცვალ იკრიბებოდა და მისი საბოლოო სახე მხოლოდ ფერგის გონებაში ტრიალებდა. მოსკოვის "სპარტაკში" იპოვნეს **ნემანია ვიდიჩი** და ის დაცვის ძირითადი ფიგურა გახდა; დიდი ფული დახარჯეს უნიჭიერეს იუნიორებზე - **უეინ რუნისა** და **კრისტიანო რონალდოზე**. როგორც აღმოჩნდა, არ შემცდარან. ამ სეზონის წინ "მანჩესტერი" მხოლოდ **მაიქლ ქერიქით** გაძლიერდა, მაგრამ ყოფილი ტოტენჰემელი სწორედ ის ფიგურა აღმოჩნდა, რომელიც გუნდს ყველაზე მეტად აკლდა. გასულ წელს, ცენტრალური ზონა ფერგიუსონის მთავარი თავის ტკივილი იყო, ახლა კი, ქერიქის მოსვლითა და **პოლ სქოულზის** დაბრუნებით, მსოფლიოში ცენტრალური ნახევარმცველების ერთ-ერთი უძლიერესი ტანდემი შეიქმნა.

წლეულს, "მანჩესტერის" თამაშს უმეტესწილად მოთამაშეთა სამი წყვილი განსაზღვრავდა. დაცვა **ფერდინანდი**-ვიდიჩის დუეტზე იდგა, შუა ხაზი - სქოულზი-ქერიქი, ხოლო შეტევას რუნი და რონალდო განსაზღვრავდნენ. ეს **იმას არ ნიშნავს, რომ სხვებს ამ გამარჯვებაში ნაკლები წვლილი აქვთ, მაგრამ** გუნდის ხერხემალს სწორედ ეს ექვსეული შეადგენდა. თანაც, თუ დანარჩენ პოზიციებზე, სერ ალექსი ტაქტიკური მოსაზრებებით მოთამაშეებს ცვლიდა, ძირითადი ექვსეული, პრაქტიკულად, შეუცვლელად მოქმედებდა. ამ ღერძს შეიძლება **ედვინ ვან დერ სარიც** დავამატოთ, მაგრამ მეკარეები - განსაკუთრებული პუნქტია. ჰოლანდიელმა მთელი სეზონი შესანიშნავად ითამაშა, თუმცა, **ტომაშ კუშჩაკი** ყოველთვის მზად იყო მის შესაცვლელად.

"მანჩესტერმა" მთელი დისტანცია თანაბრად გაიარა. მხოლოდ ორი ტურის (მეხუთე და მეექვსე) შემდეგ იყო ის მეორე ადგილზე, დანარჩენი დრო, ცხრილს სათავეში ედგა. თანაც, შეიძლება სერ ალექსის კარიერაში პირველადაც კი, "წითელმა ეშმაკებმა" წარმატებული სტარტი აიღეს. ისევე, როგორც უფროსი თაობის ბრიტანელ მწვრთნელთა უმეტესობა, ფერგიუსონი სეზონისთვის ფორსირებულ მზადებას არ მისდევდა და მოთამაშეები მხოლოდ შემოდგომის ბოლოსკენ შედიოდნენ ოპტიმალურ კონდიციებში. სამაგიეროდ, ძალები სეზონის ბოლომდე ჰყოფნიდათ. ამჯერად, სერ ალექსმა სერიოზული წინასასეზონო მომზადება გაიარა და გუნდი თავიდანვე "გაიქცა". თუმცა, იყო საშიშროება, რომ ბოლოსკენ ძალები არ ეყოფოდა. შესაძლოა ასე მოხდა კიდეც, რადგან ბოლოს, "იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგა და ინგლისის თასის ფინალი წააგო.

როგორც ყოველთვის, "მანჩესტერის" თამაშის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო - კომპაქტურობა. ჩვეულებრივ, სხვის კართან ყველაზე ახლო მყოფ მოთამაშესა და ყველაზე უკან დახეულ მცველს შორის მანძილი 40 მეტრს არ აღემატებოდა. ანუ, გუნდი მონდორზე ერთ ფართო ზოლად გადაადგილდებოდა. ამის წყალობით, შეტევაშიცა და დაცვაშიც, პრაქტიკულად, ყველა მოთამაშე იღებდა მონაწილეობას. **ეს სიჭარბე დაცვითი მოქმედების დროს, მეტოქეს ბურთის გათამაშების** საშუალებას არ აძლევს, შეტევაში კი, მრავალსვლიანი კომბინაციების გათამაშების საშუალებას იძლევა, რადგან გადაცემის ადრესატი, პრაქტიკულად, ყოველთვის არსებობს. მაგრამ, ასეთი თამაში ბრწყინვალე ფიზიკურ მომზადებას, ტაქტიკურ დისციპლინასა და ორივე ფრონტზე კარგად მოქმედების უნარს მოითხოვს.

გასული წელი, ახალი ფეხბურთელების მანჩესტერული მოდელისადმი შეგუებას დასჭირდა. ახლა, მათ სხვა დონეზე თამაში დაიწყეს. ახალგაზრდა ვარსკვლავები - რუნი და რონალდო საბოლოოდ შეერწყნენ **ნევილის**, სქოულზისა და **გიგზის** თაობის გუნდს. შეიქმნა სტაბილური ანსამბლი, რომელშიც ყველაზე კარგად არის შეხამებული ახალგაზრდობა და გამოცდილება. რა თქმა უნდა, ეს თანაფარდობა ნელ-ნელა იცვლება, მაგრამ ეს გუნდი კიდევ ერთ სეზონს გაძლებს. შემდეგ, მანჩესტერელ ვეტერანებს გაუჭირდებათ, სამაგიეროდ, ახალგაზრდობა შეიძენს გამოცდილებას. სერ ალექსმა უკვე იცის, რომელი პოზიციები საჭიროებენ გაძლიერებას და რომელი ფეხბურთელები სჭირდება მას. მაგრამ, სერიოზულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ - ყველა ვეტერანმა კონტრაქტი გაახანგრძლივა. გარდა ამისა, "მანჩესტერს" შესანიშნავი ახალგაზრდობა ჰყავს, კიდევ ის მოთამაშეები, რომლებიც სხვა კლუბებში არენდით თამაშობენ და გამოცდილებას იღებენ. მაგალითად, "იუნაიტედს" ეკუთვნის ამ სეზონის აღმოჩენა - "უოტფორდისა" და ინგლისის ნაკრების მეკარე - **ბენ ფოსტერი**.

ცხადია, რომ გაძლიერება სჭირდება შეტევის ხაზს. იქ არსებული პრობლემების გამო ითხოვა კლუბმა **ჰენრიკ ლარსონი**. შვედმა ვეტერანმა, **ლუის საას** არყოფნაში, კარგი სამსახური გაუწია მომავალ ჩემპიონს, მაგრამ ახალი სეზონისთვის, გუნდს აუცილებლად ესაჭიროება ფორვარდი. უკვე ცნობილია, რომ შუა ხაზს ნაკრების ფეხბურთელი - **ოუენ ჰარგრივზი** გააძლიერებს.

და მაინც, ინგლისში ბევრს მიაჩნია, რომ გუნდის გამარჯვების ძირითადი მიზეზი, მთავარი კონკურენტის - "ჩელსის" წარუმატებლობაა. შეიძლება ასეცაა, მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ ეს "ჩელსის" პრობლემაა და არა "მანჩესტერისა".

სკანდალი კეთილშობილთა ოჯახში

პრობლემები "ჩელსის" მართლაც ჰქონდა და ისინი "არისტოკრატებმა" თავად შეიქმნეს. საფეხბურთო კლუბი - ეს არის ორგანიზაცია, რომელიც უცხო პირისთვის დახურულია და ამ სამყაროში მიღებული არ არის საკუთარი პრობლემების საჯაროდ გამომზეურება. ხანდახან, მოვლენების მონაწილეთა მცირედი რეპლიკებით ხდება შესაძლებელი იმის გაგება, თუ რა იმალება დახურულ კარს მიღმა. მაგრამ, ინფორმაციის გაჟონვა მაინც ხდება. ვიღაც ემოციებს ვერ თოკავს და ერთი-ორი ფრაზა წამოცდება, მეორე შეგნებულად მიგვანიშნებს რაიმეზე და ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. სხვათა შორის, "ჩელსიში" მთავარ ნიუსმეიკერად, როგორც წესი, ემოციური პორტუგალიელი - **ჟოზე მოურინიო** ითვლება.

თუ ერთგვარ რეზიუმეს გავუკეთებთ იმ მოვლენებს, რომელსაც მთელი წელინადი ადგილი ჰქონდა "ჩელსიში", მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ. გასულ წელს, გუნდი ინგლისის ჩემპიონი გახდა და იქ კარგი კოლექტივი ჩამოყალიბდა - ლიდერების წარმატებული შერწყმითა და სასიამოვნო მიკროკლიმატით. მაგრამ, ზაფხულში კლუბმა ახალი მოთამაშეები შეიძინა, რომლებიც ლიდერთა როლისთვის იყვნენ გათვალისწინებულნი. ხვდებით, რომ საქმე ეხება **მიხაელ ბალაკსა** და **ანდრეი შევჩენკოს**. თანაც, მათ იმაზე მეტი ხელფასი შესთავაზეს, ვიდრე ჩემპიონთა ლიდერებს - **ჯონ ტერისა** და **ფრენკ ლემპარდს**. ამ სიტუაციამ დისბალანსი შეიტანა მყარ კოლექტივში. ინგლისელები განაწყენდნენ და ხელფასის გაზრდა მოითხოვეს, რაზეც კლუბმა უარი განაცხადა. ამავდროულად, ახალი ფეხბურთელები გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებდნენ, რაც სავსებით კანონზომიერი იყო: ლიდერის როლებს შეჩვეულ ჩამოყალიბებულ ოსტატებს, გაუჭირდათ სხვა გუნდის თამაშში ჩართვა. ისე გამოვიდა, რომ ახალი მოთამაშეების მისვლამ, გუნდის შიგნით ურთიერთგაგების სისტემა დაარღვია, ხოლო ახლის შექმნა იმავე მოთამაშეებით, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

უცნობია, თუ ვინ იყო ბალაკისა და შევჩენკოს შეძენის ორგანიზატორი - მოურინიო, **პიტერ კენიონი** თუ თვით **რომან აბრამოვიჩი**. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არც ისე კარგად გათვლილი ნაბიჯი იყო. გარდა ამისა, უარყოფითად იმოქმედა გუნდზე გასული ზაფხულის სხვა სატრანსფერო ოპერაციებმა, განსაკუთრებით ეს ეხება **რობერტ ჰუტისა** და **ვილიამ გალასის** გაშვებას. "ჩელსის" ორი ძირითადი ცენტრალური მცველი ჰყავს, მაგრამ მათ ხშირი ტრავმიანობა ახასიათებთ. შესაბამისად, გერმანელი და ფრანგი, კარგად ავსებდნენ ნაპრალებს, თუ **რიკარდო კარვალიო** ან ჯონ ტერი თამაშს ეთიშებოდნენ. გარდა ამისა, გალასს ფლანგზე თამაშიც ეხერხებოდა. ჰუტისა და გალასის გაშვებით ის გამოვიდა, რომ ძირითად მცველებს შემცვლელები აღარ ჰყავდათ. სასწრაფოდ მოუწიათ **ხალიდ ბულარუზის** ყიდვა, მაგრამ ჰოლანდიელი დაბალი დონის მოთამაშე აღმოჩნდა და ნელ-ნელა, მოურინიოს ნდობა დაკარგა.

უარყოფითად იმოქმედა **დამიენ დაფის** წასვლამაც, რის გამოც, **არიენ რობენი** უკონკურენციოდ დარჩა. ჰოლანდიელი აშკარად მოდუნდა და ეს მის თამაშზე ძალიან ცუდად აისახა.

ცხადი იყო, რომ "ჩელსის" სათადარიგოთა სკამი დამოკლდა, ხოლო შემოდგომაზე გუნდში ტრავმების ნამდვილი ეპიდემია წარმოიშვა. რად ღირდა თუნდაც ერთ მატჩში (!) ორი ძირითადი მეკარის დაკარგვა. ცუდი დღე დაუდგა დაცვის ხაზსაც და ცენტრში გაჩენილ ხვრელს, ხან **პაულუ ფერეირა** ავსებდა და ხან - **მიკაელ ესიენი**.

ზამთარში კლუბის შიგნით კონფლიქტმა აპოგეას მიაღწია. მოურინიომ შემადგენლობის გაძლიერება მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. დაირხა ჭორები, უახლოეს ხანში მისი დათხოვნის შესახებ, მაგრამ მწვრთნელმა ხელმძღვანელობას რევერანსი გაუკეთა და განაცხადა - ასეთ სიტუაციაში ასეთი შემადგენლობით თამაში, ჩემთვის ახალი გამოწვევაა. ანუ, პორტუგალიელმა გადაკვრით აღნიშნა, რომ მიუხედავად ხელმძღვანელთა შეცდომებისა, ის მზად არის მუშაობა გააგრძელოს.

როგორც ჩანს, მწვრთნელმა კარტბლანში და მეორე ადგილზე გასვლის ნებართვა მიიღო. ანუ, ახალი ფეხბურთელების შეძენა და ჩემპიონობა, ან არსებული შემადგენლობა და მეორე ადგილი. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ გაზაფხულზე, "ჩელსის" არც კი ჰქონდა "მანჩესტერის" დაწევის იმედი. სამაგიეროდ, კლუბმა შინაურ თასებზე უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა და ორი ტიტული მოიგო. სავსებით მისაღები შედეგია.

მაგრამ გუნდის შიგნით კონფლიქტი გადაუჭრელი აღმოჩნდა. სეზონის ბოლოს, სიტუაცია ისევ დაიძაბა. ასოციაციის თასის ფინალში არ უთამაშიათ ბალაკსა და შევჩენკოს და მოგებული მატჩის შემდეგ, ლემპარდმა ღიად გამოაცხადა - სწორედ ფინალში მოთამაშე ფეხბურთელები წარმოადგენენ "ჩელსის" ნამდვილ სახესო. ამით ლემპარდმა მიანიშნა, რომ ახალბედები გუნდში ზედმეტები არიან. სხვათა შორის, ამ ნახევარმცველს ჯერ არ გაუფორმებია კლუბთან ახალი კონტრაქტი და ამ საკითხში წინსვლა ჯერჯერობით, არ არსებობს. ლემპარდი ვერ იქნება კლუბში თავისი მდგომარეობით კმაყოფილი. ერთი წლის წინათ, ის უდავო ლიდერი იყო, სწორედ მისი გავლით ვითარდებოდა ყველა შეტევა და ფეხბურთელიც ხშირად იღებდა თავის თავზე ინიციატივას. ამ სეზონში, მის გვერდით ბალაკი მოქმედებდა, რომელიც ამავე პოზიციაზე თამაშს არის ნაჩვევი. და კიდევ შევჩენკო, რომელიც ხშირად ჩადიოდა უკან შეტევების ორგანიზებისთვის. ამ სიტუაციაში ლემპარდი, იმის ნაცვლად, რომ ინიციატივა თავის თავზე აეღო, განაწყენდა და უკანა პლანზე გადავიდა, თამაშს საკუთარ თავზე პრაქტიკულად, არ იღებდა და თითქოს დემონსტრატიულად აცხადებდა: *"აი, თქვენ ახალი ლიდერები ხართ, ჩემზე მეტს იღებთ, ჰოდა ითამაშეთ"*. მხოლოდ სეზონის ბოლოს, როცა უკრაინელი და გერმანელი გუნდს

გაგრძელება 8-9 გვერდზე

მანჩესტერელები ჩემპიონობას ზეიმობენ

მე-8 გვერდიდან

გამოეთიშნენ, ჩვენ ნამდვილი ლემპარდი ვიხილეთ - ანთებული თვალებითა და საბრძოლო ჟინით.

ჯერჯერობით უცნობია, როგორ მოგვარდება ეს კონფლიქტი. შესაძლოა, გუნდი შევჩენკომ დატოვოს, მასვე მიჰყვეს ლემპარდი. ალბათ, გამოჩნდება ვინმე ახალი და ბალანსიც აღდგება. გვინდა გვჯეროდეს, რომ ისეთი სპეციალისტები, როგორებიც კენიონი და მორინიო არიან, სწორ ნაბიჯს გადადგამენ, თუმცა, პირველ რიგში, მათ ერთმანეთში უნდა მოაგვარონ პრობლემები. როგორც ჩანს, ამ ორი ადამიანის პირადი ამბიციებია "ჩელსის" კრიზისის მთავარი მიზეზი.

უნდა აღინიშნოს, რომ "ჩელსის" გარკვეულწილად, გაუმართლა კიდეც, რადგან სერიოზული ზეწოლა არ ჰქონია "არსენალისა" და "ლივერპულის" მხრიდან, თორემ მოურინიოს გუნდი შეიძლება მეორე ადგილისა და თასების გარეშე დარჩენილიყო. მაგრამ, "არისტოკრატთა" საბედნიეროდ, ეს გუნდები ჯერ არ არიან მზად სერიოზული მიზნებისთვის საბრძოლველად.

უამგიციოდ

"არსენალი" ახალ გუნდს აშენებს. უკვე ორი წელიწადია, **არსენ ვენგერი** ბრძოლისუნარიანი კოლექტივის შექმნას ცდილობს. უდავოა, მისი კონტურები, ასე თუ ისე, გამოკვეთილია, მაგრამ შედეგი არ ჩანს. თითქმის ნაპოვნია დაცვის ხაზის ოპტიმალური შემადგენლობა, სადაც კოტ დ'ივუარელებს - **ემანუელ ებუესა** და **ჰაბიბ კოლო ტურეს** კარგად შეერწყა გამოცდილი გალსი. აქვეა ორი ახალგაზრდა შვეიცარიელი - **ფილიპ სენდეროსი** და **ჟოან ჯურუ**. პრობლემური მხოლოდ მარცხენა მცველის პოზიციაა, სადაც ერთმანეთს ცვლიდნენ **გაელ კლიში** და **ჯასტინ ჰოიტი**. ორივენი საიმედოები არიან, მაგრამ **ეშლი კოულამდე** ბევრი უკლიათ. შესაძლოა, სწორედ ეს პოზიცია საჭიროებს გაძლიერებას.

მოედნის ცენტრში აქცენტი **ჟილბერტო სილვას** გამოცდილებასა და **სესკ ფაბრეგასის** ნიჭზე კეთდება. როცა ეს წყვილი წესრიგშია, მასთან გამკლავება რთული ხდება. რაც შეეხებათ **ალექსანდრ გლებსა** და **ტომაშ როსიცკის**, ისინი ჯერ ვერ ამაღლდნენ "მეთოფეთა" საკადრის დონემდე. შესაძლოა, მათ მოუმატონ, თუ არა და, აქცენტი ახალგაზრდებზე - **რობინ ვან პერსისა** და **ტეო უოლკოტზე** გაკეთდება. ფორმალურად, ისინი ფორვარდები არიან, მაგრამ თავისუფლად შეუძლიათ ნახევარდაცვის ფლანგებზე მოქმედება. საერთოდ, ვენგერს ნიჭიერი ახალგაზრდობა ჰყავს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ახალგაზრდულმა გუნდმა, **ტიერი ანრის**, ჟილბერტო სილვას, გალასისა და სხვა "უფროსების" გარეშე მიაღწია ლიგის თასის ფინალს და იქ კინაღამ მოუგო ოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე "ჩელსის".

ვენგერი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მან იმ ფინალშიც არ დააყენა ძირითადი შემადგენლობა და სეზონში პრიზის გარეშე დარჩა, მაგრამ მწვრთნელის ეს საქციელი, ნათლად წარმოაჩენს მისი მუშაობის მიმართულებას. მომავალზე ფიქრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლოკალური წარმატება. შესაძლოა, კლუბს უფრო მეტისთვისაც მიეღწია, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში, "არსენალს" პრაქტიკულად, აღარ დარჩა ჯანმრთელი ფორვარდი. ანრი, უოლკოტი და ვან პერსი თითქმის ერთდრულად დაშავდნენ, ხოლო **ჟერემი ალიადიერმა** და **ემანუელ ადებაიორმა** ლიდერთა როლი ვერ იტვირთეს. "არსენალს" გოლები დააკლდა და სწორედ ბურთების უარესი სხვაობის გამო დაუთმო მესამე ადგილი "ლივერპულს".

მოკლედ, "მეთოფეებთან" მიმართებაში ყველაფერი გასაგებია - უახლოეს მომავალში მათგან თამაშის გაძლიერებას ველით. აი, "ლივერპულთან" დაკავშირებით, უფრო რთულად არის საქმე. ერთის მხრივ, ეს გუნდი კიდევ ერთხელ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მაგრამ ამავდროულად, ჩემპიონატში ისევ მესამე ადგილით მოუწია დაკმაყოფილება და ამჯერადაც ვერ გაუწია კონკურენცია "მანჩესტერსა" და "ჩელსის". გამოდის, რომ რაფა ბენიტესმა ყველაზე დიდ და ერთადერთ წარმატებას, აქ მუშაობის პირველ წელიწადს მიაღწია, როცა სტამბოლში, ჯერ კიდევ **ჟერარ ულიეს** მიერ შექმნილი გუნდით ჩემპიონთა თასი მოიგო. იქედან მოყოლებული, თამაშის გაძლიერება არ იგრძნობა, არადა, შემადგენლობა თითქმის ყოველ წელიწადს მნიშვნელოვნად იცვლება. მაგალითად, სამი წლის განმავლობაში, შეტევის ხაზი ორჯერ გამოიცვალა. **ჰესკი-ოუენის** დუეტი **ბარუშმა** და **დიუფმა** შეცვალეს, შემდეგ მოვიდნენ **მორიენტესი, ლუის გარსია** და **ჯიბრილ სისე**, მათ დაემატა **პიტერ კრაუჩი**. ამ სეზონის წინ შეიძინეს **დირკ კუიტი** და **კრეიგ ბელამი**. და ეს ყველაფერი სამი წლის განმავლობაში მოხდა.

იგივე ითქმის ნახევარდაცვაზე. **ჩაბი ალონსო, მოჰამედ სისოკო, ხავიერ მასკერანო** - ცენტრალური ნახევარმცველების კარგი არჩევანია, თანაც "ლივერპულს" **სტივენ ჯერარდი** ჰყავს. შემადგენლობის მიხედვით, "ლივერპული" "ჩელსისა" და "მანჩესტერს" არ ჩამოუვარდება, მაგრამ პრემიერლიგაში შედეგები მაინც არ ჩანს. სამაგიეროდ, ევროპაში ყველაზე წარმატებულ ინგლისურ კლუბად რჩება. შესაძლოა, ეს დისბალანსი ლეგიონერების სიუხვით არის გამოწვეული, რომლებიც არ არის შეჩვეულნი ყოველ მატჩში ბრძოლას, როგორც ეს ბრიტანეთშია მიღებული. ძირითადის ფეხბურთელებიდან, მხოლოდ სამია ინგლისელი - ჯერარდი, კრაუჩი და **ჯეიმი კარაგერი**. მათ რიცხვს შეიძლება ირლანდიელი **სტიფ ფინენი** და უელსელი ბელამი მივაკუთვნოთ.

ცოტა უცნაურია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში წაგების შემდეგ, ბენიტესმა კიდევ 100 მილიონი მოითხოვა შემადგენლობის გასაძლიერებლად. საინტერესოა, საიდან უნდა მონახოს მან ვაკანტური ადგილები? უკანასკნელი ტრანსფერები ცოტათი გაუგებარი იყო: რატომ შეიძინეს მარცხენა ფლანგზე **მარკ გონსალესი** და **ფაბიო აურელიო**, თუ ამ პოზიციაზე მაინც **იონ-არნე რიისეს** იყენებდნენ?! თანაც, ამათ გარდა, გუნდში კიდევ ორი მარცხენა ნახევარმცველია - **ბუდეკეინ ზენდენი** და **ჰარი კიუელი**. არაფერს ვამბობთ ბელამიზე, რომელიც რეგულარულად ჩნდებოდა ამ პოზიციაზე.

ბენიტესის პრობლემა არა მოთამაშეების ხარისხში, არამედ წინასასეზონო მომზადებასა და ფსიქოლოგიაშია. სეზონის დასაწყისი "წითლებმა" აშკარად ჩააგდეს, შემოდგომის ბოლოსთვის პირველ ათეულში შევიდნენ. შემდეგ თამაში კი გამოასწორეს, მაგრამ ლიდერთა კვალში ჩადგომა უკვე დაგვიანებული იყო. ამ ზაფხულს, კვლავ იყიდიან საუნალო დონის ესპანელებს, გუნდს შედეგი კვლავ არ ექნება და შესაძლოა, ახალ მეპატრონეებს მოთმინების ფიალა აევსოთ.

ევროპა ინგლისელების გარეშე

ჰარგრივსის "მანჩესტერ იუნაიტედში" ტრანსფერისა და **დევიდ ბექჰემის** ამერიკაში გამგზავრების შემდეგ ბებერ კონტინენტზე ერთი ინგლისელი ფეხბურთელიც კი არ დარჩება. 2003 წლის ზაფხულში ბექჰემი "რეალში" ჩაირიცხა. ერთ წელიწადში მას კიდევ ორი ინგლისელი შეუერთდა: **მაიკლ ოუენი** და **ჯონათან ვუდგეიტი**. უფრო ადრე მადრიდში თამაშობდა **სტივ მაკმანამანი**. 2002 წელს მან ჩემპიონთა თასი მოიგო. 1990-იანი წლებში თითქმის ყველა იტალიური კლუბი ინგლისელის შეძენას ცდილობდა. **პოლ გასკოინი** "ლაციოს" ლიდერი იყო, **პოლ ინსი** "ინტერში" ბრწყინავდა, **დევიდ პლატმა** "იუვენტუსის" მაისურა მოირგო. ბევრად უსახელო **დეს უოკერმაც** კი "სამპდორიას" მიაშურა. ამ ფეხბურთელებამდე იტალიაში თამაშობდნენ **რეი უილკინსი** და **გორდონ კოვანსი**. საფრანგეთში გაითქვეს სახელი **კრის უოდლმა** და **გლენ ჰოდლმა**. ისინი "მარსელისა" და "მონაკოს" ღირსებას იცავდნენ.

ინგლისელების ევროპაში თამაში ტრადიციაა. 1970-იან წლებში **კევინ კიგანი** "ჰამბურგის" ვარსკვლავი იყო. 1960-იან წლებში **ჯიმი გრივსი** "იუვენტუსში" ბრწყინავდა. მაშ, რატომ დარჩა კონტინენტი ალბიონელების გარეშე? ამ კითხვას ასე შეიძლება ვუპასუხოთ: დღევანდელი პრემიერლიგა მსოფლიოს საუკეთესო ტურნირია და იქ ყველაზე მეტი ფული ტრიალებს. ასტრონომიულმა შემოსავლებმა არა მხოლოდ ინგლისელ ფეხბურთელებს გადააფიქრებინა საზღვარგარეთ გამგზავრება, არამედ მსოფლიოს საუკეთესო ვარსკვლავებიც თავისკენ მიიზიდა. უცხოელი ფეხბურთელების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მათი ტრანსფერები პრემიერლიგას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

სტივ მაკლარენი

ოთხშაბათს ინგლისს აუცილებლად მოსაგები მატჩი აქვს. თუ **სტივ მაკლარენის** შეგირდები ესტონეთს ვერ დამარცხებენ, შეიძლება, ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ. ეს კი საფეხბურთო ასოციაციას 40 მილიონი გირვანქა დაუჯდება. გასულ უქმეებზე ინგლისელებს საკვალიფიკაციო მატჩი არ გაუმართავთ. ერთი დღით ადრე მათ ბრაზილიასთან ამხანაგური შეხვედრა ჰქონდათ (1:1). სამაგიეროდ, ითამაშა მისმა ყველა კონკურენტმა და სამ-სამი ქულაც აიღო. დღევანდელი მდგომარეობით, ინგლისი ხორვატიას, რუსეთსა და ისრაელს ჩამორჩება და E ჯგუფში შეუფერებელი მეოთხე საფეხური უკავია. თუ დალინში კატასტროფა მოხდება (გამარჯვების გარდა, ნებისმიერ სხვა შედეგს სწორედ ასე მოიხსენიებენ), მაკლარენს, შეიძლება, დაუყოვნელივ კარისკენ მიუთითონ...

დევიდ ბექჰემს ნაკრებში ადგილის შენარჩუნება სურს, მაგრამ ლოს ანჯელესში დაგეგმილმა ტრანსფერმა, შეიძლება, ხელი შეუშალოს. საქმე ისაა, რომ ინგლისელთა რამდენიმე მატჩი "გალაქსის" კალენდარულ თამაშებს ემთხვევა. ბექჰს 125 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ამ ფასად ამერიკელებს მაქსიმალური სარგებლის ნახვა სურთ. დევიდს ოკეანის გაღმა დიდი ამბით ელიან. გალაქტიკოს მომავალ მატჩებზე ბილეთები დიდი ხნის წინათ გაიყიდა. ბექჰემი ამერიკაში მარტო სათამაშოდ არ მიდის. მან ფეხბურთის პოპულარიზაციას უნდა შეუწყოს ხელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინგლისელმა ვარსკვლავმა გულშემატკივრებთან შეხვედრის ყველა შანსი უნდა გამოიყენოს. კლუბი ან ნაკრები: დევიდს ოქროს შუალედის პოვნა სურს: *"გალაქსიში კარგად იციან, რომ ჩემი ქვეყნის სახელით თამაში მსურს. დარწმუნებული ვარ, ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა ხელი არ შემეშალოს. გრაფიკზე ჯერ არ მიფიქრია. ამას უახლოეს მომავალში გავაკეთებ. ვფიქრობ, ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება."*

მოგეხსენებათ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ინგლისს კიდევ ერთი ვარსკვლავი დაუბრუნდა: **მაიკლ ოუენმა** ბრაზილიასთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ უმძიმესი ტრავმის შემდეგ ამას ყურადღებას არავინ აქცევს. თუმცა მაიკლს ბევრი დრო არა აქვს. დღეს თუ არა, ხვალ მაინც, მას 18-თვიან მშრალ სერიას გაუხსენებენ. ოუენს ნაკრებსა და კლუბში 2005 წლის დეკემბრის შემდეგ არ გაუტანია. იმ საღამოს კი "ვესტ ჰემს" ჰეთ თრიკი შეუსრულა ("ნიუკასლი"-"ვესტ ჰემი", 3:1). მაიკლი სეზონის მიწურულს გამოჯანმრთელდა და "ნიუკასლის" რიგებში მხოლოდ სამი მატჩის ჩატარება მოასწრო – 247 წუთი, არც ერთი გოლი. მერე იყო ბრაზილიასთან პარასკევის მატჩი. ხვალ კი ესტონური ვიზიტია. ოუენს ნაკრებში 36 გოლი აქვს გატანილი (81 მატჩში), აქედან 21 – ოფიციალურ თამაშებზე მოდის. გამოდის, რომ ტალინში უგოლო სერიის დასრულებას უნდა ველოდოთ.

აქვე გეტყვით, რომ ბრაზილიასთან ტრავმის გამო შეცვლილი **ჯონ ტერი** თავს კარგად გრძნობს. მან მიმომხილველებს აუწყა, რომ პარასკევს საზარდული წამოსტკივდა და დაუყოვნებლივ გაიყვანეს. "ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ორი დღე დაისვენა და გუნდს ბალტიისპირეთში გაჰყვა. აი, მისი კომენტარი: *"ტრავმამ რამდენიმე დღით ადრე, ვარჯიშზე შემაწუხა. მინდვრიდან გამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ არ გავრისკეთ, რათა ოთხშაბათს სრულ მზადყოფნაში ვყოფილიყავი."*

ტრანსფერი

პამბურგის ახალი ზიდანი

ეგვიპტელი ზიზუ სტევენსს გოლებს ჰპირდება...

შაბათს "ჰამბურგის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიკრიბნენ და გუნდის მთავარ მწვრთნელ **ჰუუბ სტევენსს** ამ ტრანსფერისთვის მწვანე შუქი აუნთეს: მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული "მაინცის" ეგვიპტელი თავდამსხმელი **მოჰამედ ზიდანი** კარიერას HSV-ში გააგრძელებს. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა კი იმიტომ იყო საჭირო, რომ "ჰამბურგმა" 25 წლის ფორვარდში საკმაოდ დიდი ფული გადაიხადა - საუბარია 5.8 მილიონ ევროზე. კვირას ზიდანმა თავის ახალ გუნდთან 4 -წლიანი კონტრაქტი გააფორმა, ნაშუადღევს კი, გუნდის ხელმძღვანელებმა ახალწვეული პრესასა და გულშემატკივრებს ოფიციალურად წარუდგინეს. ზიდანმა ჰამბურგში სამედიცინო შემონმება ხუთშაბათს გაიარა და მას მერე ბოსები იმაზე ბჭობდნენ, ღირდა თუ არა ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 5.8 მილიონის გადახდა. საბოლოოდ, სტევენსმა ისინი დაარწმუნა, რომ მოჰამედი ძალიან სჭირდებოდა. ზიდანი ახლა ტრავმირებულია, მაგრამ ჩრდილოგერმანული კლუბის სამედიცინო შტაბის ცნობით, 2 ივლისისთვის, როცა "ჰამბურგი" ინტერტოტოს თასზე პირველ მატჩს გამართავს, ეგვიპტელი სრულ მზადყოფნაში იქნება.

"ეს ის ფეხბურთელია, რომლის ყიდვაც ძალიან გვინდოდა. ზიდანს არაერთი ჩვენზე ძლიერი გუნდი ეპატიჟებოდა და თვითონაც მიკვირს, რომ ჩვენთან გადმოვიდა. მის დათანხმებაში დიდი როლი ითამაშა სტევენსმა," - განაცხადა HSV-ს სპორტულმა დირექტორმა **დიტმარ ბაიერსდორფერმა**. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ეგვიპტელი ზიზუს ნლიური ხელფასი 2.3 მილიონი იქნება. თვითონ ზიდანმა წარდგენაზე თქვა, რომ მომავალ სეზონში გაცილებით ბევრ გოლს გაიტანს, ვიდრე ამ სეზონში. როგორც იცით, ზამთარში "ვერდერიდან" "მაინცში" გადაბარგებულმა, სეზონი 14 გოლით დაასრულა. აქედან, 13 გოლი (15 თამაშში) მან მეორე წრეში, "მაინცისთვის" შეაგდო. ამ გუნდს მისი გადაბირება ზამთარში 2.8 მილიონი ევრო დაუჯდა და გამოდის, რომ მაინცელებმა 3 მილიონის ოდენობის მოგება ნახეს.

სტევენსი ზიდანს უმთავრეს ფიგურად მოიაზრებს. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელი 4-2-3-1 და 4-4-2 ტაქტიკებს ანიჭებს უპირატესობას. მისი თქმით, ზიდანი ორივე სქემას იდეალურად ერგება.

ინგლისის ნაკრები

თამაში 40 მილიონისთვის

გალაქსიში იციან, რომ ბექჰემს ნაკრებში თამაში სურს, ოუენი მშრალი სერიის დასრულებას აპირებს, ტერი მწყობრშია...

ფლორენციული ტრანსფერები

"ფიორენტინამ" "ანდერლეხტის" 20 წლის მცველი **ანტონი ვანდენ ბორე** შეიძინა. ეს ბიჭი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიბადა, მაგრამ ბელგიის მოქალაქეა და 2004 წლიდან ამავე ქვეყნის ნაკრებში თამაშობს. ვანდენ ბორეს მარჯვენა ფლანგზე და დაცვის ცენტრში შეუძლია თამაში. მას "ბაიერნი", "ინტერი", "იუვენტუსი" და "ტოტენჰემი" აკვირდებოდნენ. ფლორენციელები შემადგენლობის გაახალგაზრდავებას განაგრძობენ. მათ "დერბი ქაუნთის" იტალიელი თავდამსხმელი **არტურო ლუპოლი** იყიდეს. უახლოეს დღეებში კი "კიევოს" გარემარბ ფრანკო სემიოლის გაუფორმებენ კონტრაქტს. "იუბმა" პალერმოელი **ანდრეა ბარძალის** ტრანსფერზეც დაინყეს მუშაობა. სიცილიელებმა 11 მილიონი ევრო მოითხოვეს. "ფიორენტინას" სურს, თანხის ნაწილი **ფაბიო ლივერანით** აანაზღაუროს. ბარძალის "იუვენტუსიც" ეპატიჟება. მას ოთხწლიან კონტრაქტს და ნლიურად 1.4 მილიონ ევროს სთავაზობენ.

ნიუკასლი ყიდის

"ტოტენჰემი" "ნიუკასლთან" მოლაპარაკებებს იწყებს. მამლებს ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი **კირონ დაიერი** სურთ. ლონდონელებს ჯორდების კაპიტნის, სკოტ პარკერის ყიდვაც უნდოდათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა, **ალან კერბიშლის** ხათრით (მისი ყოფილი მწვრთნელი "ჩარლტონში"), "ვესტ ჰემს" მიაშურა. და აი, "ტოტენჰემის" მორიგი სამიზნეა დაიერი. ნიუკასლელთა ახალი დამრიგებელი სემ ელერდაისი კირონ რამდენიმე დღის წინ შეხვდა. მას ფეხბურთელის შენარჩუნება სურს, მაგრამ ჯორდებს კონტრაქტის გადახედვა და ხელფასის გაზრდა არ სურთ. "ტოტენჰემს", პირიქით, უფრო სარფიანი ხელშეკრულება აქვს გამზადებული.

ამასობაში, "ნიუკასლის" მცველმა **ტიტუს ბრემბლმა** "ვიგანს" მიაშურა. 25 წლის ფეხბურთელი ვიგანელთა ახალი დამრიგებლის, **კრის ჰაჩინგსის** პირველი შენაძენია. მან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბრემბლი "სენტ ჯეიმს პარკზე" 2002 წელს, "იფსვიჩიდან" გადავიდა და განვლილ ხუთ სეზონში 105 მატჩი ჩაატარა. მას ხელშეკრულება 30 ივნისს უმთავრდება. ვიგანელები, რომლებიც პრემიერლიგიდან გავარდნას ბენვზე გადაურჩნენ, ერთ პენსსაც არ გადაიხდიან.

მორიგი ოპერაცია სოლსკიაერს

ოლე გუნარ სოლსკიაერმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ამიტომ ხვალ უნგრეთთან საკვალიფიკაციო მატჩში ვერ ითამაშებს. 34 წლის თავდამსხმელმა შაბათს მალტასთან ვერ ითამაშა, რადგან ფეხი ჰქონდა გასიებული. ექიმები სწრაფად განკურნების იმედს აძლევდნენ, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ სასწრაფოდ ოპერაციის გაკეთება გადაწყდა. ქირურგთა განცხადებით, ყველაფერმა გართულებების გარეშე ჩაიარა. სოლსკიაერი ახალი სეზონისათვის მწყობრში იქნება და იძულებითი შვებულების აღება აღარ მოუწევს.

გერმანიის ნაკრები

ლიოვის პარადოქსი

კლოზე გოლებს ვერ იტანს და მაინც თამაშობს, გომესი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, მაგრამ სლოვაკეთთან სკამზე იქნება. რატომ?

იოახიმ ლიოვი და მიროსლავ კლოზე

ხვალ, გერმანიის ნაკრები სლოვაკეთს მასპინძლობს. ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** გადაწყვეტილი აქვს, რომ ზუსტად ისე, როგორც შაბათს სან მარინოსთან, სლოვაკეთთანაც **მიროსლავ კლოზე** ათამაშოს. არადა, "ვერდერის" თავდამსხმელმა უსუსტეს სან მარინოს ერთი გოლიც ვერ გაუტანა - მიუხედავად იმისა, რომ 90 წუთი ითამაშა და არაერთი მომენტი ჰქონდა. შეცვლაზე შესულმა **მარიო გომესმა** კი ორ წუთში ორი გოლის გატანა შეძლო და მიუხედავად ამისა, სლოვაკეთთან მაინც სათადარიგოთა სკამი უნდა ხეხოს. შესაბამისად, ჩვენი გერმანელი კოლეგები იოგის ამ გადაწყვეტილების გამო მაგრად აკრიტიკებენ.

"ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ორივე შეხვედრაში კლოზემ ითამაშოს - სან მარინოსთანაც და სლოვაკეთთანაც. გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებ!" - ამბობს ლიოვი და ამ სიტყვებით გულშემატკივრებს კიდევ უფრო აღიზიანებს.

კლოზეს ბუნდესგუნდში 271- წუთიანი უგოლო სერია აქვს. თანაც, ყველა ხედავს, რომ მიროს კრიზისული პერიოდი უდგას. გომესი კი პირიქით, მოედანს უგოლოდ არც ბუნდესლიგაში ტოვებდა და სან მარინოსთანაც ორ წუთში დუბლი შეასრულა. ცხადია, უფრო ლოგიკური იქნებოდა, ლიოვს სლოვაკეთთან **კევინ კურანის** მეწყვილედ გომესი რომ გაემწესებინა, კლოზე კი სკამზე დაეტოვებინა, მაგრამ ბუნდესმწვრთნელი მიროს ბრმად ენდობა. ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ კლოზე გომესზე კარგი თავდამსხმელია, მაგრამ ამ შემთხვევაში თამაშს შტუტგარტელი უფრო იმსახურებს. *"მიროს ვენდობი. ახლა მას უბრალოდ წარუმატებელი ფაზა აქვს,"* - ამბობს იოგი და თუკი აღიარებს, რომ კლოზე ფორმაში არაა, მით უმეტეს - გომესი ხომ საუკეთესო ფორმაშია.

"რა თქმა უნდა, ვხვდები, რომ ფანებს იმედები გავუცრუე, სან მარინოსთან ერთი გოლიც რომ ვერ გავიტანე. როცა გუნდი 6:0-ს იგებს, თავდამსხმელს კი არცერთი გოლი არ გააქვს, ეს, რა თქმა უნდა, ცუდია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სლოვაკეთს აუცილებლად გავუტანთ!" - აცხადებს კლოზე.

"ბილდი" იტყობინება, რომ ამ ფაქტის გამო ბუნდესგუნდში ლიოვის მიმართ უკმაყოფილება გაიზარდა. გერმანიის ნაკრების სხვა ფეხბურთელებიც მიიჩნევენ, რომ ძირითადში თამაშს ამ შემთხვევაში გომესი უფრო იმსახურებს. ამას ემატება კლოზეს საიდუმლო მოლაპარაკებები "ბაიერნთან" და ჩვენი გერმანელი კოლეგები ამტკიცებენ, თანაგუნდელებს მირო თვალში აღარ მოსდითო. "ბილდის" კორესპონდენტებმა ამ საკითხთან დაკავშირებით ბუნდესგუნდის ლეგენდარულ ფორვარდებს კომენტარი სთხოვეს. **გერდ მიულერის** თქმით, ლიოვის გადაწყვეტილება მართებულია. **უვე ზეელერი** ამბობს, კლოზეს ახლა სიმშვიდე და გოლები სჭირდება, ამიტომაც, ლიოვს ვეთანხმებიო. **რუდი ფიოლერის** აზრით, მხოლოდ ის, რომ კლოზემ სან მარინოსთან ვერ იხეირა, მისი ძირითადიდან ამოგდების მიზეზი არ უნდა გახდეს. **ულფ კირსტენი** კი კლოზეს ძველ დამსახურებებს უსვამს ხაზს და მიიჩნევს, რომ გომესს მირომდე ჯერ ძალიან ბევრი უკლია. ერთადერთი, ვინც გომესის მხარე დაიჭირა, **ფრედი ბობიჩია**, რომელიც ამბობს: *"ჩემი აზრით, უმჯობესია, რომ სლოვაკეთთან გომესი-კურანის დუეტმა ითამაშოს."* იდეა, საკმაოდ საინტერესოა, მაგრამ არა ლიოვისთვის.

აქვე გეტყვით, რომ მიუხედავად ტრავმისა, გუნდთან ერთადაა კაპიტანი **მიხაელ ბალაკი**...

გოტფრიდ ლენცი

ჟიული ველოდრომზე?

ფრანგული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, "მარსელის "ოლიმპიკი" **ლუდოვიკ ჟიულის** გადაბირებას გეგმავს "ბარსელონის" ფორვარდს **ფრანკ რიბერის** შემცვლელად შოიტრებს. აღსანიშნავია, რომ კატალონიური გრანდის მესვეურები კოლეგების ინიციატივას გაგებით შეხვდნენ. **ჩიკი ბეგირისტაინმა** "მარსელის" პრეზიდენტი **ჰეპე დიუფი** მოსალაპარაკებლად ბარსელონაში დაპატიჟა.

ანდალუსიელები დუდეკს უმიზნებენ

"დიარიო მარკას" კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა, რომ "ბეტისისა" და "ლივერპულის" მესვეურები **ირჟი დუდეკის** ტრანსფერთან დაკავშირებით ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ანდალუსიელებს დიდი იმედი აქვთ, რომ პოლონელ მეკარეს უახლოეს დღეებში გადაიბირებენ. ამისთვის ისინი 12 მილიონ ევროს ამზადებენ. ექსპერტთა ვარაუდით, ინგლისელები ამ თანხას სიამოვნებით დათანხმდებიან. მთავარია, კლუბის გამოცვლა თავად ფეხბურთელმა ისურვოს. დუდეკის პოზიცია ჯერჯერობით, უცნობია.

რეკრეატივო

ახალი დეკუ უელვაში

"რეკრეატივო" მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. ანდალუსიურმა კლუბმა ამ გზაზე დიდი ნაბიჯი გადადგა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მათ ლისაბონის "სპორტინგიდან" **კარლოს მარტინსი** გადაიბირეს. 25 წლის ნახევარმცველს სამშობლოში ახალ **დეკუდ** ნათლავენ. ასაკიდან გამომდინარე, მას ბავშვი ნამდვილად აღარ ეთქმის, მაგრამ პორტუგალიელი სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, კარლოსს კარიერის საუკეთესო წლები ელის. აღსანიშნავია, რომ მარტინსი პორტუგალიის ნაკრებში ასპარეზობს და **ლუიშ ფელიპე სკოლარის** სიმპათიითაც სარგებლობს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობების მქონე "რეკრეატივომ" სერიოზულ სატრანსფერო წინადადებას მიაღწია. აქვე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, უელველები კარლოს მარტინსს დიდ ხანს ვერ შეინარჩუნებენ. მათი აზრით, პორტუგალიელს მაქსიმუმ ერთი წლის შემდეგ რომელიმე გრანდი წაიყვანს. სამწუხაროდ, გარიგების ფინანსური დეტალები ჯერჯერობით, არ ხმაურდება. ამ ეტაპზე მხოლოდ არაოფიციალური ინფორმაცია ვრცელდება იმასთან დაკავშირებით, რომ მარტინსის გადაბირება "რეკრეს" 12 მილიონი ევრო დაუჯდა.

ინტერვიუ ლუის არაგონესთან

გაგვიმართლა, რომ ორი გოლი გავიტანეთ

სელექსიონის თავკაცი აღიარებს, რომ სანახაობრივი თვალსაზრისით, ლატვიასთან მატჩში ოდნავ მოიკოჭლებდნენ, მაგრამ ის მთავარ ამოცანად შედეგს მიიჩნევს

ლუის არაგონესი

გასულ შაბათს ესპანეთის ნაკრებმა ლატვიის ეროვნულ გუნდს გასვლითი შეხვედრა ყოველგვარი პრობლემების გარეშე მოუგო. მოგეხსენებათ, საკვალიფიკაციო ეტაპის საწყის სტადიაზე "სელექსიონმა" მრავალი ქულა დაკარგა. ამიტომ, პირნეელებს წაფორხილების უფლება აღარ დარჩათ. იმისთვის, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე იასპარეზონ, დარჩენილ ორთაბრძოლებში ქულათა მაქსიმალურ რაოდენობას უნდა მოუყარონ თავი. ლატვიის ბარიერი გადალახულია. ესპანელებს ახლა ლიხტენშტეინის დამარცხება მართებთ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ისინი ამ თამაშშიც ფავორიტები იქნებიან. მერე რა, რომ გასვლითი პაექრობა ელით. "სელექსიონი" ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ, სამი ქულისთვის იბრძოლებს. მნიშვნელოვან მატჩამდე ორი დღით ადრე ესპანეთის ეროვნული გუნდის თავკაცმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ლუის არაგონესმა ჟურნალისტების კითხვებს ამომწურავად უპასუხა.

- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ლატვიის ეროვნულ გუნდთან უსახური ფეხბურთით გავიმარჯვეთ?

- ვერ ვიტყვი, რომ უსახური ფეხბურთი ვაჩვენეთ, თუმცა ვაღიარებ, ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო მატჩი. რამდენიმე თვეა, ბიჭებს ერთად არ უთამაშიათ. როგორც ყოველთვის, მოსამზადებლად საკმარისი დრო ამჯერადაც არ გვქონდა. სხვადასხვა მიზეზის გამო, პირველ ტაიმში გოლის გატანა საკმაოდ გაგვიჭირდა. ლატვიელებმა თამაში დაგვიხურეს, ისინი ფაქტობრივად, 11 კაცით იკეტებოდნენ დაცვაში. ასეთი გუნდის წინააღმდეგობის გადალახვა კი ყოველთვის ძნელია. საბედნიეროდ, ჩვენი მასპინძლები მეორე ტაიმში დაიღალნენ. ამის შემდეგ მოქმედებისთვის მეტი თავისუფლება მოგვეცა. მოკლედ, შეხვედრა გაიხსნა და გაცილებით უკეთ ავთამაშდით.

- გასაგებია თქვენი პოზიცია, მაგრამ მოდით ნუ ვიდავებთ, ესპანეთის ნაკრები უბრალოდ, ვალდებული იყო, გაცილებით დაბალი კლასის ლატვია უფრო შთამბეჭდავი ფეხბურთით დაემარცხებინა. მესმის, მასპინძლებს ჩვენთვის სერიოზული პრობლემები არ შეუქმნიათ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვერც ჩვენ ვაჩვენეთ დასამახსოვრებელი მატჩი...

- მე ორ უდავო ფაქტზე შემიძლია გავამახვილო ყურადღება. გაგვიმართლა, რომ ორი გოლი გავიტანეთ. მეორე უტყუარი ფაქტი კი ის არის, რომ ესპანეთის ნაკრები ლატვიის ეროვნულ გუნდზე მართლაც გაცილებით ძლიერი და მაღალი კლასის კოლექტივია.

- რატომ არ ვიყენებდით ფლანგებს? ყოველ შემთხვევაში, ვერავინ იტყვის, რომ ხოაკინის გამოსვლამდე ვერც ერთ ფრთაზე ვერ ვბრწყინავდით...

- ამჯერად ვერ დაგეთანხმებით. იყო შემთხვევები, როცა ფლანგზე ერთბაშად ორი გარემარბი მოქმედებდა. ხოაკინის გამოსვლის შემდეგ კი კიდევ უფრო გავაქტიურდით. შესაძლოა, ის გაწუხებთ, რომ ეფექტური და სწრაფი იერიშები ვერ მოვაწყვეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საკმაოდ სოლიდური და ძლიერი დაცვის წინააღმდეგ გვიწევდა თამაში. ვიმეორებ, ლატვიელებმა მთელი ყურადღება საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გადაიტანეს. სასიხარულოა, რომ ყველაფერი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა. აუცილებლად უნდა მოგვეგო, მოვიგეთ კიდეც. ამაზე კარგი რა უნდა იყოს?

- როგორ ფიქრობთ, ყველაზე სერიოზულ პრობლემებს რომელ რგოლში გადავეყარეთ?

- ჩემი აზრით, მეტი აგრესიულობა გვმართებდა. შეტევებს ფანტაზია აკლდა. პირველ ტაიმში რგოლებს შორის დიდი დაშორება გვქონდა. არ ვარ მხდალი, პრობლემების არსებობას არ უარვყოფ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მოვიგეთ. სერიოზული ამოცანა გვაქვს გადასაჭრელი. რიგაში მიღწეული წარმატების წყალობით, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი გავიუმჯობესეთ.

- ჩავი ერნანდესმა დაუფარავად და ღიად განაცხადა, რომ მატჩის ბოლო წუთებზე ყვითელი ბარათი გამიზნულად მიიღო. მისი თქმით, ის ახლა "ბარსელონას" უფრო სჭირდება...

- ჩავიმ ასე გადაწყვიტა. როგორც ჩანს, მან ეს წინასწარ დაგეგმა და ყველაფერი ბრწინვალედ შეასრულა.

- რამდენად გამართლებული და ზნეობრივია მისი გადაწყვეტილება?

- ეს მას ჰკითხეთ. ჩავიმ ჩათვალა, რომ ლიხტენშტეინს მის გარეშეც მოვუგებთ. კაცმა რომ თქვას, არ არის მცდარი შეხედულება. ერნანდესი ძლიერი ნახევარმცველია, თუმცა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ბარსელონელს ღირსეულად შევცვლით. არ დავმალავ, ჩავის ნაცვლად სესკ ფაბრეგასის გამოყვანას ვგეგმავ.

- მიუხედავად იმისა, რომ თქვენ კატეგორიულად არ აღიარებთ, საზოგადოებაში ხმები დადის, ჩავის ყვითელი ბარათის მიღება ლუის არაგონესმა ურჩიაო...

- ამ თემაზე უკვე ვისაუბრე. მოგახსენეთ, რომ მსგავსი ბრძანება ერთადერთხელ გავეცი და მაშინ ის ფეხბურთელი მსაჯმა წითელი ბარათით დასაჯა. საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ არანაირი ტაქტიკური ჩანაფიქრის გამო აღარ გავაკეთებდი იგივეს. ჩავისთვის რატომ უნდა მერჩია, ყვითელი ბარათი მიეღო?! ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ვარ და არა "ბარსელონის"? ერნანდესმა გარკვევით თქვა, ეს გადაწყვეტილება ჩემი კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე მივიღეო.

- რატომ, თქვენთვისაც "სასარგებლოა" ყვითელი ბარათის ახლა მიღება. ჩავი ლიხტენშტეინთან მატჩს გამოტოვებს და სექტემბერში ისლანდიასთან თავისუფლად ითამაშებს. მოკლედ, პრინციპული და რთული შეხვედრების წინ ბარსელონელს შიში არ ექნება, რომ დისკვალიფიკაციას მიუსჯიან...

- რა თქმა უნდა, ამაში არის ლოგიკის მარცვალი, მაგრამ უნდა მერწმუნოთ, რომ მისთვის არაფერი მირჩევია. მოდით, ეს თემა დავხუროთ.

- თუ თქვენ არაფერ შუაში ხართ, გამოდის ფეხბურთელმა მწვრთნელის გარეშე საკმაოდ უხერხული გადაწყვეტილება მიიღო. საინტერესოა, ჩავის სანაკრებო კარიერას საფრთხე ხომ არ დაემუქრება?

- ჩავი პატრიოტი ადამიანია. ნურავინ იფიქრებს, რომ მან ესპანეთის ნაკრები ფეხებზე დაიკიდა. მერწმუნეთ, ლიხტენშტეინის ნაცვლად იტალია რომ ყოფილიყო ჩვენი მონინააღმდეგე, ყვითელ ბარათს ცოცხალი თავით არ მიიღებდა. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ერნანდესი ახლა "ბარსელონას" ბევრად მეტად სჭირდება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩავის სანაკრებო კარიერას საფრთხე არავითარ შემთხვევაში არ დაემუქრება.

- ლიხტენშტეინთან იგივე შემადგენლობას ვიხილავთ? ვიცით, რომ ფაბრეგასი ითამაშებს. სხვა სიახლეებსაც ხომ არ უნდა ველოდოთ?

- გარკვეულ კორექტივებს აუცილებლად შევიტან. სხვებსაც მივცემ შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას... თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სრულიად ახალ შემადგენლობას გამოვიყვან. ვნახოთ, ჯერ კიდევ ორი დღე გვაქვს. ბევრი რამ ვარჯიშებზე ნაჩვენებ მონდომებაზე იქნება დამოკიდებული. მოკლედ, ვინც დაიმსახურებს, ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს.

- დანიისა და შვედეთის ნაკრებების შეხვედრაში მომხდარ ინცინდენტზე რას გვეტყვით?

- ძალადობა ნებისმიერ შემთხვევაში უპირობოდ უნდა დაიგმოს. აქ ორი აზრი, უბრალოდ, არ არსებობს. დაუშვებელია, ძალადობა ცხოვრების ჩვეულ მოვლენად ვაქციოთ. მჯერა, ფიფა და უეფა ამ მიმართულებით ყოველთვის დაუნდობლები და შეუწყნარებლები იქნებიან.

ილია ნიკოლაიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალჩაჯი

ინტერვიუ ნინო გურიელთან

დაგვიდექით მხარში და დავიბრუნოთ ჩემპიონობა!

საქართველოს ქალთა ნაკრები ორი დღის წინათ დაბრუნდა ეკატერინბურგიდან. 23-საათიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, გუნდის კაპიტანს, ნინო გურიელს დასვენება არ ვაცალეთ და იქაურ ამბებზე დავეკითხეთ. გეხსომებათ, გურიელს გამგზავრებამდეც გავესაუბრეთ და საკმაოდ ოპტიმისტურად იყო განწყობილი, - ჩემპიონობაზე არა, მაგრამ სამეულზე კი აკეთებდა აქცენტს. სამწუხაროდ, გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

- ნამდვილად ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი და ვთვლიდი, რომ კარგ შედეგს ვაჩვენებდით. ოპტიმიზმის საფუძველს ისიც მაძლევდა, რომ გამგზავრების წინ სპორტისა და კულტურის მინისტრთან გვქონდა შეხვედრა მე, ნანა ალექსანდრიას, მაია ჩიბურდანიძესა და ფედერაციის პრეზიდენტ რომან სიჭინავას. მინისტრმა, გიორგი გაბაშვილმა დიდი თანადგომა აღგვითქვა და დაგვპირდა სპეციალური საჭადრაკო პროგრამის მხარდაჭერას. მოგეხსენებათ, ჭადრაკი არ არის ოლიმპიური სახეობა და დაფინანსება დიდი არ აქვს, მაგრამ საქართველოში მუდამ დიდი ყურადღება ექცეოდა და ადრეულ წლებში სახელმწიფო სპეციალურ დადგენილებას იღებდა ჭადრაკის დაფინანსების გზების მოსაძიებლად. რაღაც ამდაგვარი უნდა მოხდეს ახლაც. რაც მთავარია, ეს არ იქნება რომელიმე ერთი ტურნირისთვის - მხარდაჭერა იქნება ყველა შეჯიბრისთვის და მათ შორის უმთავრესი ტურნირისთვის - საჭადრაკო ოლიმპიადისთვის. ეს ინფორმაცია, ცხადია, დიდი სტიმული იყო ჩვენთვის. ამასთანავე ძალიან მეგობრული და ერთ მუშტად შეკრული გუნდი ვართ და კარგ შედეგს ამიტომაც ველოდი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

მაია ჩიბურდანიძე და ნინო გურიელი ეკატერინბურგში

გამგზავრებამდე თქვენთან საუბარში აღვნიშნავდი, რომ არ ვეთანხმებოდი გუნდის დაკომპლექტების წესს, - არ შეიძლება საქართველოს ჩემპიონატიდან სამი პრიზიორი მოხვდეს ნაკრებში. ჩემი აზრით, ჩემპიონს ეკუთვნის და მაქსიმუმ მეორეადგილოსანს, თუმცა ახლა მეორეადგილოსნის შემთხვევაშიც თავს შევიკავებდი: არავის ეწყინოს, მაგრამ მეორე ადგილზე შეიძლება შემთხვევით გავიდეს ვინმე, ჩემპიონი კი შემთხვევით ვერ გახდები.

საქართველოს ნაკრების ისტორიაში ქვეყნის ჩემპიონი მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა ნაკრებში, - ეს იყო 1992 წელს და ეს ვიყავი მე. რა თქმა უნდა, ეროვნული ჩემპიონატი პრიორიტეტული უნდა იყოს, მაგრამ აქ ნაჩვენები შედეგი უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვა ტურნირებში ნაჩვენებ შედეგებთან ერთად.

სამწუხაროდ, დებიუტანტებმა ვერ გაამართლეს და წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ეს არის. კონკრეტულად თუ ვიტყვით, სოფიო გვეტაძეს ნერვებმა უმტყუნა, დაძაბულობას ვერ გაუძლო, თორემ საჭადრაკო ხედვა, თამაშის გაგება კარგი აქვს; სოფიკო ხუხაშვილს კი წმინდა საჭადრაკო პრობლემები აქვს - ეს ნათლად გამოჩნდა. მას პოზიციურ ხედვას დავუწუნებ და კიდევ შეიძლება ჩამოთვლა, თუმცა არ ღირს, მით უფრო, რომ პრობლემები სხვებსაც აქვთ. მე მთავარი გამოკვეთე. ხუხაშვილს ბევრი აქვს სამუშაო საკუთარ თავზე, თუკი უნდა, რომ კვლავ ითამაშოს ნაკრებში.

ძალიან მონდომებული იყო და ბოლომდე იბრძოდა ნინო ხურციძე, მაგრამ ის პირველივე დღიდან ავად იყო და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა, გადამწყვეტ მომენტებში ძალა აღარ ეყო. როცა გუნდში მესამე და მეოთხე დაფებზე პრობლემები გაქვს და ქულებს ვერ იღებ, იქ დიდ შედეგზე საუბარი წარმოუდგენელია. თუ არ ჩავთვლი ბოტსვანას ნაკრებთან მატჩს, მეოთხე დაფაზე - 4-ით დავასრულეთ ტურნირი - ეს კატასტროფაა!

სანაცვლოდ, აღფრთოვანებული ვარ ლელა ჯავახიშვილის თამაშით და ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ლელას სახით საქართველოს ქალთა ჭადრაკს ჰყავს ლიდერი, რომელიც ხვალ შეცვლის მაია ჩიბურდანიძეს. ჯავახიშვილი რამდენჯერმე ვნახე საქმეში - მალიორკაზე, ოლიმპიადაზე, ტურინის ოლიმპიადაზეც გამოჩნდა მისი ძალა, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზეც ვიხილე და დავრწმუნდი, რომ მასზე დაყრდნობა შესაძლებელია. ჩემი აზრით, ლელა ჯავახიშვილი გუნდში ყოველგვარი შერჩევის გარეშე უნდა ხვდებოდეს - ის და მაია ჩიბურდანიძე იმსახურებენ ასეთ პატივს.

- როგორ ფიქრობთ, ძაგნიძე-ლომინეიშვილის ყოფნა ბევრად შეცვლიდა სურათს?

- პირველ რიგში, აღვნიშნავ იმას, რომ თუ გუნდში რაიმეს შეცვლაზე ვსაუბრობთ, ეს მხოლოდ ერთ დაფას ეხებოდა - გვეტაძის ნაცვლად ლომინეიშვილი მსურდა. არგუმენტები ასეთი იყო: გვეტაძემ ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჩააგდო და ამას არ შეიძლება ცუდად არ ემოქმედა მასზე, ლომინეიშვილი კი პირიქით - კარგ ფორმაში იყო; თანაც გამოცდილება მეტი აქვს და მეოთხე დაფას დაიჭერდა. ღრმად მწამს, რომ მაიას რომ ეთამაშა, მესამე ადგილს შევწვდებოდით, მეტს - ვერა. ხუხაშვილის შეცვლას ვერაფრით მოვითხოვდი, რადგანაც ის ყველანაირი კრიტერიუმით ხვდებოდა ნაკრებში - საქართველოს ჩემპიონატში ვერცხლი მოიპოვა და ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზეც კარგად ითამაშა. თანაც, ნანა ძაგნიძემ არავითარი ხელმოსაჭიდი არ დაგვიტოვა - მან ყველა ტურნირი ჩააგდო, სადაც კი ითამაშა. მიუხედავად ამისა, მჯეროდა, რომ ნანას შეეძლო გუნდში კარგად თამაში. არსებობს სატურნირო სპეციფიკა, გარეშე თვალთაგან შეუმჩნეველი ფაქტორები, რისი გათვალისწინებითაც შეიძლება ძაგნიძეს შანსი მისცემოდა. კანონმორჩილი გახლავართ და რახან წესი ასეთი იყო, ვერ შევეწინააღმდეგებოდი, მაგრამ არსებობს მაგალითები, რომ კანონის შეცვლა ანაც დარღვევა უპრიანია - თუკი მოვილაპარაკებდით ფედერაციასთან, გამგეობასთან და ნანას გუნდში ვთამაშებდით. ნაკრებისთვის შეიძლება დათმობებზე წასვლა, თუმცა არ ვამტკიცებ, რომ ასეთ შემთხვევაში წარმატება გარანტირებულია - შესაძლოა კარპოვ-კასპაროვი გყავდეს გუნდში და ვერ ითამაშონ.

- ოთხ თვეში ევროპის ჩემპიონატი გველის. თქვენ, ალბათ, დარჩებით კაპიტნად და, თქმა არ უნდა, ნაკრების დაკომპლექტების თქვენეულ ვარიანტზე ეცდებით დაითანხმოთ ფედერაციის ხელმძღვანელობა...

- გუნდს რომ გადახალისება სჭირდება, ორი აზრი არ არის. ოთხი თვე არც ისე დიდი დროა, მაგრამ ბევრი რამეც შეიძლება მოხდეს. მთავარია, სწორად შევარჩიოთ და გუნდში ობიექტურად ძლიერი, იმ დროისთვის კარგ სპორტულ ფორმაში მყოფები მოვიწვიოთ. ჩიბურდანიძესა და ჯავახიშვილზე არ ვსაუბრობ - მათ ადგილი გარანტირებული აქვთ. სხვებმე კი თავი უნდა გამოიჩინონ.

თუმცა, ევროპის ჩემპიონატსაც და ყველა სხვა ტურნირს მომავალი წლის საჭადრაკო ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად განვიხილავ. ვთვლი, რომ თუკი გვსურს ოლიმპიადაზე წარმატების მიღწევა, მზადება დღესვე უნდა დაიწყოთ და არა ათი დღით ადრე. თუ ათი დღით ადრე გაგვიშვეს შეკრებაზე, შემიძლია გითხრათ, რომ აზრი არ ექნება. ხომ არსებობს ოლიმპიური, ოთხწლიანი ციკლი - დასრულდა ოლიმპიადა და შემდეგისთვის მზადება მეორე დღესვე იწყება. ჭადრაკში ორწლიანი ციკლია და აქაც იგივე პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამას გარდა, მე მაქვს ჩემი ხედვა, გეგმა თუ როგორ მოემზადოს ნაკრები. თუ ფედერაცია მხარს დამიჭერს და სახელმწიფოც გვერდში დაგვიდგება, წარმატებაც მოვა. ძალიან მინდა, რომ გუნდში ორი მწვრთნელი მაინც იყოს. ძალიან ბევრი სამუშაოა და ერთი კაცი ყველა პრობლემას ვერ აუდის. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩინეთის ნაკრებს ეკატერინბურგში ოთხი მწვრთნელი ახლდა, აქედან სამი ჩინეთის კაცთა ნაკრების ლიდერი იყო; რუსეთის ნაკრებს კი ოთხი მწვრთნელი ჰყავდა. ჩვენ მხოლოდ ერთი - ზურაბ სტურუა გვახლდა, რაც საკმარისი არაა. თანაც არსებობს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: მოჭადრაკე, გარკვეულწილად, მზად უნდა იყოს პარტიის წინ - ანუ სადებიუტო რეპერტუარი შეთვისებული უნდა ჰქონდეს და არა ადგილზე სწავლობდნენ. ხშირად ჩვენი გოგონები ახალ სქემებს პარტიის წინ ეცნობიან, რაც არასწორია. ლელა ჯავახიშვილის დიდი უპირატესობა ისიც არის, რომ ამ მხრივ წელგამართულია და მწვრთნელთან კონკრეტულ საკითხს სვამს - ანუ ამა თუ იმ დებიუტში მცირე ცვლილებების შემთხვევაში რა შეიძლება მოიმოქმედოს. ასე რომ მოხდეს, მწვრთნელებიც ახლავე უნდა დანიშნოს და გუნდის წევრებთან და კანდიდატებთან დღეიდანვე შეუდგნენ მუშაობას.

- ერთ პრობლემაზე მსურს გკითხოთ: ჩემი აზრით, ქართველ მოჭადრაკეებს არ სჩვევიათ ყველა პარტიის მოსაგებად თამაში და ძალიან იოლად თანხმდებიან ყაიმზე. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ასეთ სტრატეგიას ისინი მიჩვეულნი არიან, რადგან ქართული მწვრთნელ-სეკუნდანტებიც უმეტეს შემთხვევაში ასეთ გზას ურჩევენ. ერთგვარი "სკოლა" ჩამოყალიბდა, რაც ძალიან ცუდი უნდა იყოს. მე უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია და მათ შორის ოლიმპიადებიდან, სადაც გუნდური სტრატეგიაც კი ამგვარად აიგო. თქვენ როგორ ფიქრობთ, შესაცვლელია თუ არა ასეთი მიდგომა?

- აბსოლუტურად გეთანხმებით და აღვნიშნავ, რომ ევროპის ჩემპიონატზეც და ოლიმპიადაზეც მხოლოდ ოქროს მედლებისთვის ვიბრძოლებთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დასრულდს ჩინელთა ჰეგემონია?! მე გოგონებს ვუთხარი - ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, მოვიგებთ, ხომ კარგი, თუ არადა, თუგინდ მეორე ადგილზე გავსულვართ - ერთი ფასი ექნება ყველას-მეთქი. ნამდვილად დამღალა იმაზე ოცნებამ, მოვხვდებით თუ არა სამეულში. სამეულს კი არა, სტამბოლის ოლიმპიადაზე 2000 წელს მეორე ადგილზე რომ გავედით, ტრაგედია გვქონდა. რატომ უნდა მიხაროდეს მესამე ადგილი, გაუგებარია. მონდომებით და სათანადო მხარდაჭერით პირველობის დაბრუნება ნამდვილად შესაძლებელია.

- ღმერთმა გისმინოთ. ქალბატონო ნინო, ხვალ მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი იწყება. ტურნირის გამართვის იდეა თქვენია. როგორ მიმდინარეობს მზადება და რამდენ სტუმარს ელით?

- საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია მხარში მიდგას და მათი დახმარებით ყველა პრობლემას ვევლება: შესაძენი იყო და შევიძინეთ სკამები და მაგიდები; დაფები და უამრავი რამ, რაც კი საერთაშორისო ტურნირის მაღალ დონეზე გამართვას სჭირდება. სტუმართა ზუსტ რიცხვს ვერ გეტყვით, მაგრამ მონაწილეთა საერთო რაოდენობა რომ დიდი იქნება, დარწმუნებული ვარ: მარტო ქართველი მოჭადრაკე იქნება ორსამდე, 6-7 ქვეყნის წარმომადგენლებიც დაემატებიან და სოლიდური რაოდენობა გამოდის. ათი დღის განმავლობაში ჭადრაკის სასახლე სრულიად დაიტვირთება - ყველა ოთახში გაინწყობა დაფები; ლიდერები კი დარბაზში, სცენაზე დასხდებიან. იმედი მაქვს, რომ საჭადრაკო ზეიმი შედგება და ყველანი კმაყოფილები დავრჩებით.

- კიდევ უფრო შორეული გეგმები როგორი გაქვთ - როგორც გუნდის კაპიტანს, ისე გეკითხებით. თუმცა აქვე გკითხავთ, კაპიტნად რჩებით თუ არის შესაძლებლობა, რომ ფედერაციამ სხვა გადაწყვეტილება მიიღოს?!

- მე მგონი, გუნდის წევრები ჩემთან თანამშრომლობით უკმაყოფილოები არ არიან; თან გამოცდილებაც დიდი დამიგროვდა. როგორც წესი, ჩემი პოზიცია რეალურია და ფაქტებს ეყრდნობა და ამართლებს ხოლმე. ამაში ინტუიციაც მეხმარება. არა მგონია, ჩემი მუშაობით ფედერაციაში უკმაყოფილო იყვნენ, თუმცა თუ საპირისპირო გადაწყვეტილებას მიიღებენ, მე არავითარი პრობლემა არ მექნება - მშვიდად წავალ.

გეგმებზე კი მოგახსენებთ, ეკატერინბურგში ჩინეთის ქალთა ნაკრებთან მოვილაპარაკეთ და მატჩ-ტურნირებს გავმართავთ - ჯერ ჩინეთში, შემდეგ კი - საქართველოში. თარიღები არ გვაქვს დაზუსტებული. ვფიქრობ, ჩვენი ნაკრებისთვის ამაზე კარგ საწვრთნელ სპარინგ-პარტნიორს ვერ ვიპოვით. გეგმები სხვაც ბევრი მაქვს და იმედია, განვახორციელებ, თუმცა, კვლავ ვუსვამ ხაზს - სახელმწიფოს დახმარების გარეშე დიდი შედეგების ჩვენება და დაკარგულის დაბრუნება, შეუძლებელია.

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

ოქსანას პარიზული მარცხი

ოქსანა კალაშნიკოვამ საფრანგეთის ღია პირველობის ახალგაზრდული ტურნირის მეორე წრეში მარცხი განიცადა. "როლან გაროსის" მეოთხე კორტზე ოქსანა კალაშნიკოვა მე-4 ნომრად განთესილ რუმინელ **სორანა ჩირსტეას** შეხვდა, რომელიც დიდებში უკვე მსოფლიოს 169-ე ჩოგანია. თავიდან ყველაფერი ჩვენთვის კარგად დაიწყო, ოქსანამ 28 წუთში 6:3 მოუგო ფავორიტს პირველი სეტი, ოქსანამ ორი ბრეიკპოინტი მოიგო და ორი ეისიც ჩაუგდო რუმინელს. სამწუხაროდ, შემდეგ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. მეორე სეტში ჩირსტეა 4:1 დაწინაურდა, იქვე ოქსანამ მეტოქის მოწოდება მოიგო და, თითქოს, თამაშის შემოტრიალება შეძლო, მაგრამ სორანამ იქვე აართვა ქართველს მოწოდება, მესამე სეტში კი რუმინელის უპირატესობა აშკარა იყო - 6:3, 2:6, 2:6. ბრძოლა საათნახევარი გაგრძელდა.

მეორე ცდა უკრაინაში

უკრაინის ქალაქ ჩერკასში ვაუ ჩოგბურთელთა კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი დაიწყო 10-ათასიანი საპრიზო ფონდით. უკრაინაში კვლავ სამმა ჩვენებურმა სცადა ბედი: **ნოდარ ითონიშილმა** და ეროვნული ნაკრების წევრებმა **გიორგი ჭანტურიამ** და **გიორგი ხრიკაძემ**. წინა ცდაზე ძირითად ბადეში გასვლა კინალამ მოახერხა ითონიშვილმა, რომელიც ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა. ახლა პირველ საკვალიფიკაციო წრეში სამიდან ორმა ჩვენებურმა მოიგო, დამარცხდა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონი ჭანტურია, ვისაც მე-7 ნომრად განთესილმა მასპინძელმა **ვლადისლავ კლიმენკომ** აჯობა - 1:6, 1:6. ხრიკაძემ უკრაინელ **ივან კარასიოვს** მოუგო - 6:3, 6:2. ითონიშვილი საკვალიფიკაციო ბადეში მერვე ნომრად არის განთესილი, ქართველმა ძალზე იოლად დაამარცხა მასპინძელი **იური ჩერნიაკი** - 6:0, 6:1.

ჩაჩხუნაშვილიც დაბრუნდა

ამ კვირაში, საფრანგეთის ღია პირველობის ჩათვლით, მსოფლიოში ქალ ჩოგბურთელთა 13 დიდი თუ მცირე საერთაშორისო ტურნირი იმართება და ქართველთა მხრიდან უჩვეულო პასიურობის მომსწრენი ვართ. ერთადერთი ჩვენებური თამაშობს, ურეიტინგო **სალომე ჩაჩხუნაშვილი**. სალომე 18 წლისაა. ის ადრე საქართველოს ნაკრებშიც ირიცხებოდა და რეიტინგში 1107-ე პოზიციისთვის მიუღწევია (2005 წელს). თუმცა მას ბოლოს შარშან სექტემბერში ბათუმში უთამაშია. სალომე რუმინეთში პიტეშტის ტურნირის ("ტროფეულ ილიე ნასტასე", 10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება. პირველი წრიდან ქართველი თავისუფალი იყო, მეორე წრეში მან ძალზე იოლად აჯობა კანადელ **როქსანა ალექსანდრუს** - 6:1, 6:0. ჩაჩხუნაშვილი პიტეშტის ტურნირის ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში რუმინელ **დიანა ზაინეას** შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობური

ახალგაზრდული ნაკრები

კარი მოხურეთ, ოღონდ ნუ მოგვიჯახუნებთ

დავით უსტიაშვილი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

გუშინ, დილის 11 საათზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველი ვარჯიში გამართა. 20-წლამდელთა შეკრიბის პირველი დღე დახურული ყოფილა, ამიტომ ინტერვიუ-კომენტარებიანი, ვრცელი რეპორტაჟის მომზადება ვერ მოვახერხეთ. მაგრამ მწვრთნელებმა წვრთნაზე დასწრება და ფოტოების გადაღების უფლება მოგვცეს, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

გულახდილად გეტყვით, წინასწარ რომ მცოდნოდა - ვარჯიში მასმედიისთვის დახურული იყო, შეიძლება დარბაზში არც მივსულიყავი, მაგრამ რას მოვიფიქრებდი, რომ პირველივე დღეს კარი დაიხურებოდა. მცირე პარალელს მოვიყვან: 18 ივლისს საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში იკრიბება. პირველივე ვარჯიშის დახურვის შემთხვევაში ხომ მთელს მასმედიას მოიმდურებენ, რადგან ხალხს ოპერატიულად აინტერესებს ვინ ჩამოვიდა დროულად, ვინ რატომ დაიგვიანებს და ა.შ. ღია ავარჯიშის ერთი კვირის თავზე ჩატარება ნიშნავს იმის დაწერას, რომ ნაკრებს ვარჯიში თურმე შვიდი დღის წინათ დაუწყია...

ალოგიკურია ხომ? ასევე ალოგიკური იყო შარშან რუმინეთიდან დაბრუნების შემდეგ მასმედიის მოთხოვნის მიუხედავად **გორდონ ჰერბერტის** პრეს-კონფერენციის არმოწყობა.

კალათბურთის გულშემატკივარს შეიძლება ეროვნულზე ოდნავ ნაკლებად, მაგრამ ახალგაზრდული ნაკრების ამბები მაინც აინტერესებს... ამ შესავალში მცირე გულისტკივილი იმიტომ ჩავურთე, რომ სანაკრებო ბატალიების მსვლელობისას მედიელთა არსებობა, მოკრძალებული მოთხოვნები არავის დაავიწყდეს და ჯანსაღი ურთიერთობა შენარჩუნდეს.

20-წლამდელებში გამოძახებული 15 მოთამაშიდან პირველ ვარჯიშზე 14 გამოცხადდა. არსად ჩანდა **ლაშა ფარლალავა**. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, "პენსაკოლას" კოლეჯის კალათბურთელს 20 ივნისს ამერიკაში სერიოზული გამოცდა აქვს და მანამდე თბილისში ვერ ჩამოვა. ლაშა იმედოვნებს, რომ ახალგაზარდულ ნაკრებს 21 ივნისს შეუერთდება და მოსამზადებლად ორი კვირა დარჩება. აქვე თემას გადავუხვევთ და ახალ ამბავს გამცნობთ - "პენსაკოლაში" ფარლალავას გვერდით გაისად **დავით ერქვანია** ითამაშებს.

კოლეჯების თემას განვაგრძობთ და გეტყვით, რომ ახალგაზრდულში გამოძახებულ **დიმიტრი ფაცაციას** მიმდინარე სეზონში არსად უთამაშია. "ბარსელონადან" წამოსვლის შემდეგ იგი ამერიკის კოლეჯის მიწვევას ელოდა, მაგრამ საქმე ძალიან გაეწელა. თუმცა, საბოლოოდ მაინც გადაწყდა, რომ ამ ზაფხულს დიმა არკანზასის უნივერსიტეტში ჩაირიცხება.

20-წლამდელთა ნაკრებში ჯერჯერობით, ორი ლეგიონერია - **გიორგი გარინდაშვილი** და **ბექა წივწივაძე**. პირველი ლატვიის ასკ-ს მაისურით უმაღლეს ლიგაში საშუალოდ 30 წუთს თამაშობდა, ხოლო წივწივაძე ლიტვაში საბონისის სკოლაში ემზადებოდა. მათ აშკარად ეტყობათ, რომ კარგი სეზონი ჰქონდათ და ფიზიკურადაც მომძლავრებულები არიან.

ასევე ფორმაში ჩანან რუსთაველები - **მიხეილ ჭოჭუა, გიორგი ცეკვავა** და **რეზო დიდია**. ამ უკანასკნელმა "აზოტის" გაჩემპიონებაში შეიტანა დიდი წვლილი, ხოლო ცეკვავა და ჭოჭუა უმაღლეს ლიგაში შედარებით ცოტას თამაშობდნენ. სამაგიეროდ "აზოტის" დუბლებს ოქროს მედლები მოაპოვებინეს. მათ ფინალში "მაკაბის" სძლიეს...

რუსთაველთა მსგავსად ახალგაზრდულ ნაკრებში "მაკაბისაც" წარმომადგენლობითი დელეგაცია ჰყავს - ცენტრი **გიორგი შერმადინი** და ფორვარდები - **გიორგი პირველაშვილი** და **ირაკლი ჯგერენაია**. შერმადინსა და პირველაშვილს საერთაშორისო გამოცდილება კადეტთა ნაკრებიდან აქვთ, ჯგერენაია კი პირველად მოხვდა ნარჩევ ქართველთა შორის. გეხსომებათ, რომ გიორგი შერმადინმა ამერიკაში მუხლის ტრავმა მიიღო და ოპერაცია დასჭირდა. თუმცა, ვარჯიში დროულად განაახლა, ნელ-ნელა დატვირთვასაც მოუმატა და ახლა ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად იმ რიტმში ვარჯიშობს, როგორშიც მისი თანაგუნდელები.

ზემოთ ბალტიისპირეთიდან დაბრუნებულების ფიზიკურ მომზადებას გავუსვი ხაზი. იგივე შეიძლება ითქვას დინამოელებზე - **ირაკლი გულისაბედაშვილსა** და **ლექსო ლაფანაშვილზე**. მათ ამ სეზონში სერიოზული პროგრესი განიცადეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე სერიოზული ფუნქციები დაეკისრებათ. გულისაბედაშვილმა ორი წლის წინაც ითამაშა ევროპის პირველობაზე, ოღონდ მაშინ კადეტთა შორის. ლექსო 20-წლამდელებში შარშანწინაც გამოიძახეს, მაგრამ სერიოზული კონკურენციის გამო შესარჩევ ტურნირზე არ წასულა.

სტუდენტური კლუბებიდან გუშინ სამმა კალათბურთელმა ივარჯიშა. თსუ-დან **რიჩარდ მათიაშვილმა** და **მიხეილ ბერიშვილმა**, სტუ-დან **ლუკა ნოზაძემ**. მართალია, ეს სამეული თითქმის თანაბარი სიმაღლისაა, მაგრამ ამპლუებით განსხვავდებიან: ბერიშვილი მსუბუქი ფორვარდია, ნოზაძე მძიმე ფორვარდი, ხოლო მათიაშვილი - ცენტრი. მათ თუ გიორგი შერმადინსაც დავუმატებთ, ძლიერ წინა ხაზს მივიღებთ.

უკანა ხაზში სამი ლეგიონერი გვყავს - წივწივაძე, გაფრინდაშვილი და ფარლალავა, ფორვარდებში კი არასოდეს გვიჭირდა. ასე რომ, შემადგენლობა ცუდი არ არის, მთავარია, გუნდის ერთ მუშტად შეკვრა 6 ივლისამდე მოხერხდეს, უმეტესობას ხომ გვერდიგვერდ ერთხელაც არ უთამაშია.

ვაჟა სიმონიშვილი

კოკა ტომარაძე (ზის, მარჯვნივ)

ლეგიონერი

ოთხწლიანი კონტრაქტი ბარსასთან

საქართველოს კადეტთა ნაკრების ყოფილი წევრი **კოკა ტომარაძე** ესპანურ "ბარსელონასთან" ოთხწლიან კონტრაქტს დღე-დღეზე გააფორმებს.

ევროპის მთავარ საკალათბურთო საიტ "ევრობასკეტზე" "ბარსას" განაცხადში კოკა უკვე მოხვდა, ახლა ჯერი მასზეა, ჯერ ახალგაზრდულ გუნდში ითამაშებს და იმედია, მალე კატალონურ გრანდში ნამდვილ ქართველსაც ვიხილავთ. შეგახსენებთ, რომ "ბარსელონაში" შარშანწინ საქართველოს ნაკრების წევრი **შემონდ უილიამსი** თამაშობდა.

შეიძლება გაგიკვირდეთ, კოკა აქამდე უკონტრაქტოდ თამაშობდაო? საქმე ისაა, რომ ასაკის გამო შეთანხმება კლუბსა და კალათბურთელის მამას, **ზურაბ ტომარაძეს** შორის შედგა და ახალგაზრდა მხოლოდ სტიპენდიით კმაყოფილდებოდა. ოთხწლიან კონტრაქტში კი ყველა ნიუანსი ზედმინევნითაა განსაზღვრული და კოკა არა სტიპენდიანტი, არამედ რიგითი ბარსელონელი იქნება.

კიდევ ერთი ახალი ამბავი კატალონიიდან - "ბარსელონამ" ესპანეთის ჭაბუკთა ჩემპიონატი მოიგო.

ჯგუფურ ტურნირში კოკას თანაგუნდელებმა ორი მატჩი გამართეს. ჯერ "ვალიადოლიდს" სძლიეს (76:69), შემდეგ "ევრომარინას" (81:54).

მეოთხედფინალში კატალონიელებმა **ვიქტორ სანიკიძეს** უმცროსი მეგობრები, "ესტუდიანტესის" ჭაბუკები 93:73 დაამარცხეს, ნახევარფინალში კი - "უნიკახა" (61:48). ამ შეხვედრაში კოკა ტომარაძემ 11 წუთი ითამაშა, ორი სამქულიანი, ერთი ორქულიანი ააცილა და მონაგარი 5 მოხსნით შეივსო. ფინალში ჩვენიანი გაცილებით ნაყოფიერი იყო. სულ რაღაც 4 წუთში თითო ორი და სამქულიანი ჩააგდო და 5 ქულას მოუყარა თავი, რასაც თითო მოხსნა-ჩაჭრა მიამატა. "ბარსას" ყველაზე მეტად სწორედ ფინალში გაუჭირდა და "კახა სან ფერნანდო" 7 ქულის სხვაობით დაამარცხა - 68:61.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ფედერაციის გამგეობის წევრს, კახა ნუცუბიძეს, დედის გარდაცვალების გამო

ძიუდო

4 მედალი ათენიდან

ამ უქმეებზე ათენში დამთავრდა „აკროპოლის თასის“ ტრადიციული გათამაშება, რომელშიც ჩვენებმა 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ვერცხლი **გურამ გოგიძემ** (81) მოიხვეჭა, დანარჩენი პრიზიორები კი **თენგიზ პაპოშვილი** (73), **დავით ლორიაშვილი** (90) და **გიორგი დუღაშვილი** (100) გახდნენ.

ეს ტურნირი დიდი სიძლიერით არასოდეს გამოირჩეოდა. იგი არც სალიცენზიოა, არც ევროპა-მსოფლიოსთვის მოსამზადებელი - ევროპირველობა უკვე ჩავლილია, მსოფლიოსთვის მზადებას კი გუნდები ახლა იწყებენ. ტურნირს ძირითადად ახალბედების გამოსაცდელად იყენებენ. უძლიერესი შემადგენლობით მხოლოდ მასპინძლები გამოდიოდნენ.

გოგიძემ პირველ შეხვედრაში ლიტველი ერნესტ რაშმანგულოვი დაჯაბნა, მერე კი სერბ მიხალის კაკოულისს აჯობა. გოგიძემ დარჩენილი ორივე ბრძოლა ლიტველებთან გამართა. ნახევარფინალში მანტას მაროზასს კი მოუგო, მაგრამ ფინალში მაციუკას რადვილასმა თანამემამულეთა ჯავრი იყარა. ჩვენებური მეორეზე დარჩა.

პაპოშვილმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა რუსი მარატ კასუმოვი და სერბი ნემანია სტანკოვიჩი. ნახევარფინალში მოლდოვის ნაკრების წევრთან, მარსელ ტრუდოვთან წააგო, სანუგეშოს ფინალში კი შვეიცარიელ სიმონ ნეესენსონს აჯობა.

ლორიაშვილმა სერბი სტევან სტამენკოვიჩი დაამარცხა და ამით ნახევარფინალში გავიდა, იქ კი ოლიმპიურ ჩემპიონთან და „აკროპოლის“ მომავალ გამარჯვებულ **ილიას ილიადისთან** წააგო. სანუგეშოში მან ჯერ თურქ მუსტაფა იუკანს აჯობა, მერე - ტენტორე მასმანიდისს (თედორე ებელაშვილი) და მესამეზე გავიდა.

დაბოლოს, დუღაშვილი, რომელმაც სულ სამი ბრძოლა გამართა. მასპინძელ გეორგიოს ბუნიასთან მოგების შემდეგ ნახევარფინალში ეპანელ სანტიაგო დიასთან წააგო და სანუგეშოს ფინალში გადავიდა, სადაც ასევე ბერძენ პერიკლის პლასიდასს მოუგო.

ირაკლი თავაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

IRB. ერთა თასი

გაიცანით ნამიბია

ილია ზედგინიძე ამჯერად ნაკრების მენეჯერია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დღეს თბილისის დროით 18 საათზე, რუმინეთში IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში თავის პირველ შეხვედრას გამართავს ნამიბიის ნაკრებთან. შეგახსენებთ, რომ ეს აფრიკული ქვეყნის ნაკრები საფრანგეთში გასამართ მსოფლიოს თასზეც ჯგუფურ ტურნირში ბორჯღალოსნების მეტოქე იქნება.

საქართველოს ნაკრები უკვე ორი დღეა, ბუქარესტში იმყოფება და ტურნირისთვის ინტენსიურად ემზადება. მანამდე გუნდმა ერთკვირიანი შეკრება პარიზთან ახლოს, მასიში გაიარა. IRB-ის ფინანსური მეოხების წყალობით ბორჯღალოსნები რუმინეთის ნაკრებთან ერთად ოთხვარსკვლავიან სასტუმრო "ბესტ ვესტერნ პარკში" დაბინავდნენ, რომელიც ბუქარესტში განახლებულ სარაგბო სტადიონ "ტინერეტულუისთან" ახლოს მდებარეობს. თამაშებიც სწორედ ამ სტადიონზე გაიმართება.

რუმინეთის ტურნირი ჩვენი ნაკრებისთვის მსოფლიო თასისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია, თუმცა იქ მოთამაშე ნაკრების შემადგენლობა ოპტიმალურისგან საკმაოდ შორსაა. სხვადასხვა მიზეზის გამო ათამდე მორაგბე გვაკლია. ერთერთი მათგანი ნაკრების კაპიტანი **ილია ზედგინიძეა**, რომელიც ახლაც ტრავმას იშუშებს. თუმცა ამჟამად გუნდთან ერთად იმყოფება და ნაკრები მენეჯერის ფუნქციას ასრულებს. ბუქარესტში გუშინ, სწორედ მას ვესაუბრეთ:

- გუნდს ძალიან კარგ პირობები აქვს შექმნილი. მასიში საკმაოდ ნაყოფიერად ვივარჯიშეთ. გუნდთან ერთად იმყოფება ფიზმომზადების მწვრთნელი ნიკოლა ფულკიე, რომელმაც უკვე გარკვეული სამუშაო ჩაატარა ბიჭებთან. ჯერჯერობით ყველაფერი წინასწარ გაწერილი გეგმით მიმდინარეობს და რაიმე დაბრკოლება არ შეგვხვედრია.

- წესით, გუნდთან ერთად უნდა იყოს კონსულტანტი ანრი ბრონკანიც. რატომ არ იმყოფება ის სამწვრთნელო შტაბში?

- ბრონკანი ბუქარესტში 9 ივნისს ჩამოვა. ალბათ იცით, რომ მისმა ახალმა გუნდმა "აჟენმა" მოულოდნელად ფიასკო განიცადა და პირველი დივიზიონიდან გავარდა. ამან, ცხადია, გარკვეული პრობლემები წარმოშვა და ჯერჯერობით მას აგვარებს.

IRB NATIONS CUP ROMANIA 2007

- ჩვენი მეტოქეები ნამიბიის გარდა, სამხრეთი აფრიკისა და იტალიის A ნაკრებები იქნებიან. მათი შემადგენლობა უკვე გეცოდინებათ და თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ რა დონის გუნდები არიან ისინი?

- სამივე გუნდში საკმაოდ გამოცდილი და მაღალი დონის მორაგბეებია თავმოყრილი. სამხრეთ აფრიკაშიც საკმაოდ ბევრი ასაკოვანი და ძლიერი მოთამაშეა. თითქმის ყველა ზე-14ის გუნდებში თამაშობს. კარგი გუნდი ჰყავთ ჩამოყვანილი იტალიელებსაც. თითოეული მათგანი რეალურ პრეტენზიას აცხადებს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე. მათთვის, ისევე როგორც ჩვენი გუნდის რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბისთვის, ეს შეჯიბრება კარგი შანსია თავი გამოიჩინოს და ძირითად გუნდში მოხვდეს. ამიტომ, გარწმუნებთ, ყველა მატჩში უშელავათო ბრძოლა გველის.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველო: 15. **ოთარ ბარკალაია** (ფიუაკი), 14. **გიორგი შკინინი** (ბლუა), 13. **რევაზ გიგაური** (მონლუსონი), 12. **დავით კაჭარავა** (ნანტი), 11. **ოთარ ელოშვილი** (არასი), 10.**მერაბ კვირიკაშვილი** (პო), 9.**ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი); 1. **მამუკა მაგრაქველიძე** (მეტრო რასინგი), 2. **დავით დადუნაშვილი** (მასი), 3. **დავით ხინჩაგიშვილი** (ბურგუენი), 4. **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), 5. **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი), 6. **შალვა სუთიაშვილი** (ანდორა), 7. **რატი ურუშაძე** (ნიცი), 8. **გიორგი ჩხაიძე** (მასი).

16. **ირაკლი ჭყონია** (კლერმონი), 17. **გიორგი ულენტი** (ბიარიცი), 18. **ელიზბარ ყუფარაძე** (ობენა), 19. **ზურაბ მჭედლიშვილი** (დომონი), 20. **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი), 21. **მალხაზ ურჯუკაშვილი** (კანი), 22. **დავით გურგენიძე** (ბლუა), 23. **ბიძინა სამხარაძე** (ფარული), 24. **ილია მაისურაძე** (ნანტი), 25. **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული), 26. **ბესიკ ხამაშურიძე** (აია)

ნამიბია: 15. **ტერტიუს ლოსპერი** 14. **რაიან ვიტბუი** 13. **ლუ-ვეინ ბოუტსი** 12. **კორნე პაუელი** 11. **მელრიკ აფრიკა** 10. **იუსტინუს ფანდერვესტჰოიზენი** 9. **იუჯინ იანჩისი;** 1. **ჯონი რედელინგჰუისი** 2. **ჰუგო ჰორნი** 3. **მარიუს ფისერი** 5. **ჰაინო სენეკალი** 5. **ნიკო ესტერჰუისი** 6. **ჟაკ ნიუვენჰუისი** 7. **თინუს დუპლესი** 8. **ჟაკ ბურხერი**

16. **შეპერს ბარდენჰორსტი** 17. **იანე დიუტუა** 18. **კეეს ლენსინხი** 19. **იურგენს ფანლილი** 20. **იუკაზუვაკა კაზომბიაზე** 21. **პიტერ როსუ** 22. **ჰაინი ბოკი** 23. **სტეფან დურანი** 24. **იან ჰენდრიკ დუვენჰახე** 25. **ჰერმან ლინდფელტი** 26. **ხრობლერ დუპრეზი**

IRB-ის ერთა თასი

5 ივნისი. **საქართველო-ნამიბია, რუმინეთი-სამ. აფრიკა A, არგენტინა A- იტალია A**

10 ივნისი. **საქართველო- სამ. აფრიკა A, არგენტინა A-ნამიბია, რუმინეთი- იტალია A**

16 ივნისი. **საქართველო- იტალია A, სამ. აფრიკა A - არგენტინა A, რუმინეთი- ნამიბია**

ცხენოსნობა



მსოფლიო ეტაპის წინ

საქართველოს მხედრებს დაოსტატებისკენ სწრაფვის ისეთი მოტივაცია არასდროს ჰქონიათ, როგორც ეს ბოლო წლებში გაუჩნდათ. ერთი მხრივ, ეს განაპირობა საერთაშორისო სარბიელზე გასვლამ და მეორე მხრივ საუკეთესო ცხენების შეძენაში კერძო მფლობელთა დაინტერესებამ. კარგი ცხენი თავისთავადაა წარმატების გარანტი, მაგრამ ასევე კარგ მხედართან ერთად. საქართველოში, ძირითადად თბილისში, ახლა, შეიძლება ითქვას, ადრინდელთან შედარებით, მერნებიც კარგი ჰყავთ და მხედრებიც, თუმცა საერთაშორისო მაღალი დონის მოთხოვნებიდან ჯერ მათი ოსტატობა საკმაოდ შორსაა.

დღეს ყველა კარგად ხედავს, რომ თუ მონდომება და ხელშეწყობა იქნება, სასურველი შედეგებიც აუცილებლად მოვა. ადრე შეიმჩნეოდა ერთგვარი შეღავათები საშეჯიბრო მოთხოვნებში. ახლა ასე აღარ არის. დაბრკოლებათა სირთულეს ხელოვნურად აღარ აიოლებენ, პირიქით, მაქსიმალურად აახლოებენ საერთაშორისო ნორმებს.

დღეს, ალმა-ატაში საქართველოს ნაკრები მსოფილო თასის ეტაპზე საასპარეზოდ მიემგზავრება. ამ დიდ ტურნირს წინ უსწრებდა დაბრკოლებათა გადალახვაში საქართველოს თასის გათამაშება, თბილისის იპოდრომზე, სადაც დამატებით უნდა გამოვლენილიყო ყაზახეთში გასაგზავნი ჩვენი ნაკრების კიდევ ორი წევრი.

ახალი მოთხოვნები ვახსენეთ. გარკვეულწილად ეს საქართველოს თასის წლევანდელ გათამაშებასაც შეეხო. მაგალითად, თითოეულ კონკურსში შეჯიბრება ორფაზიანი იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მხედარი 6 წინაღობას სასტარტო ფაზაში უჯარიმოდ დაძლევს, მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მეორე ფაზაში შეჯიბრების გაგრძელების უფლება. ანუ, თუ ერთხელ მაინც დაჯარიმდი, მორჩა... მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ვერც ერთი მონაწილე ვერ გაივლის ტრასას უჯარიმოდ, მეორე ფაზა აღარ შედგება და ადგილები პირველი ფაზის შედეგებით ნაწილდება. საქართველოს თასის გათამაშება უფროსი ასაკის ცხენებისთვის პირველი ფაზის შემდეგ დასრულდა. ახალგაზრდა ცხენებით მოასპარეზეებმა კი ორივე ფაზაში იბრძოლეს ჯილდოსთვის.

გამარჯვებულები და პრიზიორები. კონკური №1, ძირითადი ცხენებით: 1. **ივანე ნორაკიძე** (ცხენი "ფლოქვი"), 2. **შალვა გაჩეჩილაძე** ("ასპარეზი") - ორივე "ჟოკეი კლუბი", 3. **როინ მარგიანი** ("ხედი") - განათლების სპორტსკოლა; კონკური №2, ახალგაზრდა ცხენებით: 1. **ნორაკიძე** ("ეროსი"), 2. **ცოტნე ლაბაშია** ("სიგელი"), 3. **გიორგი აფციაური** ("გედი") - სამივე "ჟოკეი კლუბი"; კონკური №3, ძირითადი ცხენებით: 1. **ნორაკიძე** ("ფლოქვი"), 2. **მარგიანი** ("ხედი"), 3. **გიორგი დათუნაშვილი** ("ლამბადა"); კონკური №4, ახალგაზრდა ცხენებით: 1. **მარგიანი** ("ზეცა", საცხენოსნო ესკადრონიდან), 2. **ნორაკიძე** ("ეროსი"), 3. **დენის ციგანკოვი** ("ზღვა", ფოთი) და **ლაბაშია** ("სიგელი"); ჭაბუკები: 1. **გიორგი თოხაძე** ("სულგრძელი"), 2. **გიორგი ჩუგუაშვილი** ("სადაფი") - ორივე "ჟოკეი კლუბი". მესამეადგილოსანი არ გამოვლინდა.

საქართველოს ნაკრები ალმა-ატაში ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება: **ივანე ნორაკიძე, შალვა გაჩეჩილაძე, როინ მარგიანი, ზაზა ჩიტრეკაშვილი.**

თორნიკე გაჩეჩილაძე

თავისუფალი ჭიდაობა

ჭურნირი საჩხერეში

იმერეთის ქალაქების და რაიონების თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, ამ დღეებში, საჩხერის ღია პირველობაში იასპარეზეს. ცხადია, ყველაზე მეტი მონაწილე ტურნირის მასპინძლებმა გამოიყვანეს სარბიელზე. მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა აგრეთვე ქუთაისის, სამტრედიისა და ჭიათურის გუნდები. მონაწილეთა საერთო რაოდენობამ კი 150-ს გადააჭარბა. ასაკის ქვედა ზღვარი იყო 13 წელი. გაგაცნობთ გამარჯვებულებს. საჩხერლები - **გენო კაპანაძე** (20 კგ), **მირა მაკასარაშვილი** (50), **გიორგი მოდებაძე** (54), **გოგა ნადირაძე** (66); ქუთაისელები - **საბა შარაშენიძე** (23), **ბექა კვირიკაშვილი** (32), **გიორგი ბრეგვაძე** (35), **ომარ გურჯიძე** (38), **გოგა ადეიშვილი** (42), **თორნიკე ხურციძე** (47); სამტრედიელები - **შმაგი თოდუა** (26), **გიორგი ლეჟავა** (29), **კახა თავაძე** (58), **ლაშა ნემსაძე** (73); ხონიდან - **გიორგი კაკაურიძე** (73).

ტურნირის ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა რაიონის საკრებულომ და გამგეობამ. მათ ფასიანი საჩუქრებიც გამოყვეს გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. მედლები და დიპლომები გადაეცათ აგრეთვე პრიზიორებს. საუკეთესო ტექნიკის მოჭიდავედ დასახელდა საჩხერელი გოგა ნადირაძე, რომელსაც სპეციალური პრიზი - ბესიკ ქუთათელაძის სახელობის თასიც გადაეცა.

თამაზ ლაშხი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საჩხერე

მარცხნივ ტურნირის საუკეთესო მოჭიდავე გოგა ნადირაძე

NBA. ᲘᲣᲢᲐ ᲯᲐᲖᲘ

ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲛᲔᲚᲝᲣᲜᲘ

ᲯᲐᲖᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ



კარლოს ბუზერი და დერონ უილიამსი

ტიმ დანკანი ასაკის მატებასთან ერთად, უფრო სწრაფი და გამძლე ვერანაირად ვერ გახდება, **კევინ გარნეტი** იქნებ ტიმზე ნიჭიერიც იყოს, მაგრამ ის ეგოიზმით შეპყრობილი ინდივიდუალისტია და მხოლოდ დიდების დარბაზში მოხვედრის პერსპექტივა თუ გააჩნია. **დირკ ნოვიცკი** კლასიკური მძიმე ფორვარდი არ არის, **ამარე სტაუდმაიერი** კი **სტივ ნეშის** გარეშე იმის ნახევარსაც არ წარმოადგენს, რაც დღეს არის.

მაშინ, ვინ უნდა ჩაიბაროს ესტაფეტა, დანკანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ? **კარლოს ბუზერმა**.

სოლტ ლეიკ სიტიში **კარლ მელოუნისა** და **ჯონ სტოქტონის** ეპოქა რომ დასრულდა, **ჯერი სლოუნს** ახალი, ბრძოლისუნარიანი გუნდის ასაშენებლად სამი წელიწადი დასჭირდა. სლოუნი თავის სქელ და გაცვეთილ წიგნაკში, წინა პლანზე ყოველთვის ჯანიანი, მაგრამ მოძრავი მაღალი მოთამაშის ირგვლივ აგებულ სქემებს აყენებდა. 2004 წლის ივლისში, გამოცდილი სპეციალისტის დაჟინებული თხოვნით, "იუტამ" კარლოს ბუზერს 6-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რომლის მიხედვითაც მოთამაშეს ამ დროში 68 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

ახალი ვარსკვლავის დაბადება წლეულს შედგა, მანამდე კი ბუზერი ტრავმიანობამ დატანჯა და თავისი უდიდესი პოტენციალის გამოვლენა ვერ მოახერხა.

მელოუნი კარლოსის კერპი და მეგობარია. ასაკში სოლიდური სხვაობის მიუხედავად, ბუზერსა და მელოუნს ურთიერთობა არ უჭირთ და ლეგენდარული ფოსტალიონის თქმით, ეს მისთვის განტვირთვისა და ცხოვრების ახალი ჭრილიდან დანახვის ძალიან კარგი, სასურველი საშუალებაა.

"ბუზერს რომ ვუყურებ, მის ასაკში საკუთარი თავი მახსენდება. პირველ სეზონში საშუალო მანძილიდან ბურთის სროლა მეშინოდა და მწვრთნელიც ბოლო მეოთხედში სულ უფრო ნაკლებად მენდობოდა. მერე და მერე საკუთარი თავი შთავაგონე, რომ ჩემზე უკეთ კარლ მელოუნის წინსვლას ხელს ვერავინ შეუწყობდა. დარბაზში პირველი შევდიოდი და ყოფილა შემთხვევები, როდესაც "დელტა სენტრი" დარაჯის მაგივრად მე დამიკეტავს. კარლოს ბუზერი უკვე ვარსკვლავია, თუმცა გამიხარდება, თუ იგი, ჩემგან განსხვავებით, "იუტას" ჩემპიონობას მოაპოვებინებს", - მიაჩნია კარლ მელოუნს, რომლის ფენომენალური კარიერისას, "ჯაზი" ზედიზედ ორჯერ (1997-98) სუპერფინალში გავიდა, მაგრამ ორივეჯერ ერთნაირი ანგარიშით (2:4) **მაიკლ ჯორდანის** "ჩიკაგოსთან" დამარცხდა.

სოლტ ლეიკ სიტიში დღეს მხოლოდ კარლოსისა და კარლის პიროვნულ-სათამაშო მსგავსებაზე არ საუბრობენ. ჯერი სლოუნს მძიმე ფორვარდისა და დომინანტის ვაკანსიის შევსებასთან ერთად, ჯონ სტოქტონის საკმაოდ რეალური შემცვლელიც გამოუჩნდა.

ახალგაზრდა ფლეიმეიკერი - **დერონ უილიამსი** სტოქტონზე ჯანიანია და მიუხედავად იმისა, რომ საკალათბურთო ინტელექტით, ჯონი დერონს კი არა, ბარე **ჯეისონ კიდსა** და **გარი პეიტონს** ჩაისვამს ჯიბეში, უილიამსი სტოქტონზე ძლიერი შემტევია და ფიზიკურადაც თავის ლეგენდარულ წინამორბედზე ძლიერად გამოიყურება.

ბუზერს დავუბრუნდეთ. კარლოსი მელოუნის მონანილეობით გამართული ყველა სუპერფინალური მატჩის ჩანაწერს ფლობს და, ამასთან ერთად, "ჯაზის" დღევანდელ ვარსკვლავს "ფოსტალიონის" კიდევ 32 მატჩის ფირი აქვს სახლში. ყოველდღე თუ არა, საკმაოდ ხშირად, მის ფლეიერში ახალი ბლოკბასტერების ნაცვლად, სწორედ კარლ მელოუნის მონანილეობით გამართული მატჩების დისკები ტრიალებს.

თავის პირველ სეზონში, ბუზერმა "იუტაში" ტრავმების გამო მხოლოდ 51 შეხვედრა ჩაატარა, ერთი წლის მერე კი კარლოსმა ფეხი მოიტეხა და მხოლოდ 33 მატჩში მოუხდა მონანილეობის მიღება. "ჯაზის" მომთმენმა, მაგრამ პრეტენზიულმა ფანობამ ნიჭიერი მოთამაშის გაცვლა მოითხოვა, სლოუნი კი ყველას მოთმენისკენ მოუწოდებდა.

ბუზერი წელს გაიხსნა და კარიერაში საუკეთესო - 20.9 ქულა და 11.7 მოხსნაც მოიმკო. მან "ყველა ვარსკვლავის" მატჩში მონანილეობის უფლებაც მოიპოვა, თუმცა ვარსკვლავურ უიქენდამდე ფეხი მოიტეხა და ამ მატჩთან ერთად რეგულარულის კიდევ რვა შეხვედრის გამოტოვება მოუხდა.

ბუზერმა ფლეი ოფში კიდევ უფრო მოუმატა და "ჰიუსტონთან" საპირველწრეო სერიაში, მისი საშუალო მონაგარი 24.6 ქულასა და 11.1 მოხსნას შეადგენდა. თითქმის იდენტური იყო მისი მაჩვენებელი მეორე წრეში "გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ (24.2 ქულა, 14.2 მოხსნა), რის მერეც, "სან ანტონიო სპურსისა" და დანკანის ჯერი დადგა. აღნიშნულ სერიაში რაც მოხდა, ყველამ კარგად იცით. უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ კარლოსმა ყველა დროის უძლიერეს მძიმე ფორვარდად აღიარებულ დანკანთან და მის დაუნდობელ "სან ანტონიოსთან" სერიაში, 25.3 ქულასა და 12.4 მოხსნას მოუყარა თავი.

"სლოუნი იღბლიანი მწვრთნელია. მას მელოუნი და სტოქტონი ჰყავდა, ახლა კი... კვლავ მელოუნი და სტოქტონი ჰყავს", - აღნიშნა "იუტასთან" სერიის მეხუთე, უკანასკნელი მატჩის ნაგების შემდეგ, "გოლდენ სტეიტის" მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა **დონ ნელსონმა.**

შემდეგ სეზონში ბუზერის, დერონისა და სლოუნის გუნდისთვის ფლეი ოფი უკვე პროგრამა-მინიმუმი უნდა იყოს, მაქსიმუმი კი იქნება ის, რაც კარლისა და სტოქტონისთვის მხოლოდ ოცნებად დარჩა.

სოლტ ლეიკ სიტის ახალი ფოსტალიონი ჰყავს.

ზურაბ თალაკვაძე

ᲰᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲓᲝᲠᲘᲜᲒᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲠᲘᲘᲡᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲕᲔᲑᲘᲜᲔᲡ

ბიარნე რიისს

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ სპორტულმა სამყარომ, ქვეყნის სპორტული დიდების დარბაზი დაატოვებინა ტურ დე ფრანსის ყოფილ ჩემპიონ **ბიარნე რიისს**, ვინც რამდენიმე დღის წინათ აღიარა, რომ 1996 წლის ტურ დე ფრანსის დროს, რომელიც მან მოიგო, აკრძალულ პრეპარატ ერითროპოიეტინს (EPO) იყენებდა.

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ როცა დოპინგს იყენებდა, რიისი თაღლითობდა: აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ის ჩვენი ქვეყნის სპორტული დიდების დარბაზის წევრი იყოს", - განაცხადა დანიის სპორტის დიდების დარბაზის კომიტეტის ხელმძღვანელმა **ელსე ტრანგბაკმა**.

მას შემდეგ, რაც მისი ყოფილი გუნდის, გერმანული "დოიჩე ტელეკომის" რამდენიმე ყოფილმა წევრმა აღიარა, რომ დოპინგს იყენებდა, მსგავსი აღიარებითი განცხადება რიისმაც გააკეთა. მან განაცხადა, რომ 1993-1998 წლებში რეგულარულად იყენებდა EPO-ს. მაშინვე მან განაცხადა, რომ აღარ მიიჩნევს საკუთარ თავს ტურის ჩემპიონად და მზადყოფნა გამოთქვა, პირველივე მოთხოვნისთანავე, უკან დააბრუნოს ტურის ჩემპიონის ყვითელი მაისურა.

არადა, რიისი დანიური სპორტის დიდების დარბაზის იშვიათი წევრთაგანი იყო. ცნობისთვის, ამ დარბაზში მის გარდა, "ბინადრობენ" ისეთი სახელები, როგორებიც არიან ყოფილი ფეხბურთელი **მიქაელ ლაუდრუპი**, ლეგენდარული დანიელი აფროსანი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1948-1960 წლებში) **პაულ ელვსტრიომი** და 800 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ჩემპიონი, კენიური წარმოშობის **ვილსონ კიპკეტერი**.

შეგახსენებთ, რომ რიისი ამჟამად სათავეში უდგას დანიურ ველოგუნდ "CSC-ს", რომელმაც შარშან ესპანურ დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოში გარევის გამო, კონტრაქტი აღარ გაუგრძელა ჯიროს შარშანდელ ჩემპიონს, იტალიელ **ივან ბასოს**, რომელმაც ასევე აღიარა, დოპინგის გამოყენებას ვაპირებდი, მაგრამ ეს არ მიქნიაო. ამ აღიარების გამო, მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲛᲐ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲓᲐᲬᲧᲝ

ᲙᲝᲑᲘ ᲑᲠᲐᲘᲐᲜᲢᲘᲡ მკაცრი განცხადებებისა და კლუბიდან ნასვლის მუქარის შემდეგ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ "დენვერ ნაგეტსთან" დაიწყო მოლაპარაკებები **მარკუს კემბის** გადაბირების თაობაზე.

როგორც იცით, ბრაიანტის განაწყენების მიზეზი ის გახლდათ, რომ "ლეიკერსის" შეფობა არაფერს აკეთებდა გუნდის გასაძლიერებლად. ახლა კი, როგორც ჩანს, კობის მუქარამ გაჭრა და მისი გუნდი, ამ სეზონში საუკეთესო დამცველად აღიარებულ მარკუს კემბის უმიზნებს. 33 წლის ცენტრმა გასულ რეგულარულში, საშუალოდ მატჩში 11.2 ქულა, 11.7 მოხსნა და 3.3 დაფარება გააკეთა.

სავარაუდოდ, კემბი "ლეიკერსში" ცენტრალური თავდამსხმელის - **კვამე ბრაუნის** ნაცვლად უნდა გადავიდეს. კონტრაქტის მიხედვით, მარკუსს "დენვერთან" კიდევ სამწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს და ამ დროის განმავლობაში, 26 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. რაც შეეხება ბრაუნს, მისი კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წელიწადი დარჩა. კვამეს წლიური ხელფასი 9.1 მილიონ დოლარს შეადგენს.

■ ■ ■

გარდა ამისა, "ლეიკერსმა" "ინდიანა პეისერსის" ლიდერს - **ჯერმეინ ო'ნილსაც** დაადგა თვალი. მის სანაცვლოდ, **ფილ ჯექსონის** გუნდი მზადაა **ენდრიუ ბინუმი** და **ლამარ ოდომი** დათმოს.

გასულ სეზონში, ო'ნილი საშუალოდ მატჩში 19.4 ქულას, 9.6 მოხსნასა და 2.5 დაფარებას აგროვებდა. კონტრაქტის მიხედვით, მასაც სამი წელიწადი უწევს თავის ამჟამინდელ კლუბში თამაში და დარჩენილ დროში 64.1 მილიონი დოლარი ეკუთვნის.

ᲓᲝᲜᲝᲕᲐᲜᲡ ᲛᲔᲯᲘᲥᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲠᲗᲜᲐ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვიტყობინებოდით, "ორლანდო მეჯიქის" მთავარ მწვრთნელად 42 წლის სპეციალისტი - **ბილი დონოვანი** დაინიშნა. მან უკვე გააფორმა კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, ამ დროის განმავლობაში 27.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

მაგრამ, დონოვანმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. მას სურს, გააუქმოს "ორლანდოსთან" ხელშეკრულება და კონტრაქტი გააგრძელოს ფლორიდის უნივერსიტეტის გუნდთან. შეგახსენებთ, რომ დონოვანმა ეს კოლექტივი ზედიზედ ორჯერ გახადა NCAA-ს სტუდენტური ლიგის ჩემპიონი.

ამ მომენტისთვის, "ორლანდოს" ხელმძღვანელები ფიქრობენ, მისცენ თუ არა მწვრთნელს კონტრაქტის გაწყვეტის უფლება.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲑᲐᲠᲑᲝᲖᲐᲒ ᲒᲐᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ბოლოს, ლას ვეგასში გასამართ ამერიკის ჩემპიონატს თითქმის ყოველდღე აკლდება ვარსკვლავები. ამჯერად, ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე თამაში იუარა ბრაზილიის ნაკრების ლიდერმა - **ლანდრო ბარბოზამ**.

"ფინიქს სანზის" მცველი წლეულს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში "საუკეთესო მეექვსე მოთამაშის" პრიზის მფლობელი გახდა. ფლეი ოფში, "სან ანტონიოსთან" წაგებული სერიის შემდეგ, ბარბოზამ ხელის ოპერაცია გაიკეთა. მართალია, ამერიკის ჩემპიონატისთვის ის გამოჯანმრთელებას ასწრებს, მაგრამ ფინიქსელმა თავი დაიზღვია და ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა.

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲟᲘᲝᲢᲐᲟᲘᲐ

წლეულს , კონტინენტის პირველობა ევროპაშიც ჩატარდება. მას 3-16 სექტემბერს ესპანეთი უმასპინძლებს.

1 ივნისს, ამ ტურნირის მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია დაიწყო, რამაც ესპანეთში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. როგორც კი, ბილეთების გაყიდვა დაიწყო, ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში, პირველი 45 წუთის განმავლობაში, ინტერნეტის მეშვეობით 690 ათასი განაცხადი შევიდა, კიდევ 80 ათასმა მსურველმა ტელეფონით ისარგებლა.

ამგვარი აქტივობის შედეგად, უკვე აღარ არსებობს ბილეთები მეოთხედფინალურ მატჩებზე დასასწრებად. ამ ეტაპის შეხვედრები მადრიდის "პალასიო დე ლა კომუნიდადზე" გაიმართება.

გაყიდვაში ჯერ კიდევ რჩება ბილეთები პირველ და მეორე ჯგუფურ ტურნირებზე. ამ ორი ეტაპის მატჩებს მადრიდი, გრანადა, სევილია, მალიორკა და ალიკანტე უმასპინძლებენ.

ისევე, როგორც ამერიკის ჩემპიონატზე, ევროპის პირველობაზეც პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება.

ᲛᲐᲙᲐᲑᲘᲡ ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ

ᲗᲔᲚ-ᲐᲕᲘᲕᲘᲡ "მაკაბის" ხელმძღვანელობამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ხორვატ მწვრთნელ **ნევენ სპაჰიასთან** მიმართებაში. ეს სპეციალისტი ისრაელის ჩემპიონის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს.

კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ სპაჰიას ფულად კომპენსაციას გადაუხდიან, თუმცა, უცნობია, რა თანხაზეა საუბარი.

რაც შეეხება სპაჰიას შემცვლელს, სავარაუდოდ, "მაკაბის" სათავეში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი - **დევიდ ბლატი** ჩაუდგება.

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ, საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა - **კლოდ ბერჟომ** იმ 14 მოთამაშის სია გამოაქვეყნა, რომლებიც ესპანეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის დაიწყებენ მზადებას.

აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე 7 ფრანგიდან, ამ გუნდში სამი კალათბურთელისთვის ვერ მოიძებნა ადგილი. ესენი არიან, კონტინენტის წინა პირველობის ბრინჯაოს პრიზიორები - **მიკაელ პიეტრუსი** ("გოლდენ სტეიტ უორიორზი"), **მიკაელ ჟელაბალე** და **იოან პეტრო** (ორივე - "სიეტლ სუპერსონიქსი").

სამაგიეროდ, გუნდში მოხვდნენ NBA-ში მოთამაშე შემდეგი კალათბურთელები: მცველი **ტონი პარკერი** ("სან ანტონიო სპურსი"), ფორვარდები - **ბორის დიავი** ("ფინიქს სანზი") და **იაკუბა დიავარა** ("დენვერ ნაგეტსი") და ცენტრალური თაავდამსხმელი - **რონი ტურიაფი** ("ლოს ანჯელეს ლეიკერსი").

ფრანგების სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მცველები: ტონი პარკერი (186 სმ, "სან ანტონიო სპურსი", NBA), აიმერიკ ჟანო (185 სმ, "ვილერბანი"), იოჰან სანგარე (192 სმ, "ვილერბანი"), ჟოზეფ გომისი (180 სმ, "ვალიადოლიდი", ესპანეთი), მიშელ მორანდესი (195 სმ, "ნაპოლი", იტალია), სედრიკ ფერშო (194 სმ, "პო-ორტეზი");

ფორვარდები: ბორის დიავი (203 სმ, "ფინიქს სანზი", NBA), ტარიკ კირკსეი (198 სმ, "ნანსი"), იაკუბა დიავარა (201 სმ, "დენვერ ნაგეტსი", NBA), ფლორან პიეტრუსი (199 სმ, "უნიკახა", ესპანეთი), საშა ჟიფა (197 სმ, "სტრასბური");

ცენტრები: ფრედერიკ ვეისი (218 სმ, "ბილბაო", ესპანეთი), რონი ტურიაფი (206 სმ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსი", NBA), იან მაინმი (208 სმ, "პო-ორტეზი").



ნადალის შეჩერება ჯერჯერობით შეუძლებელია

საფრანგეთის ღია პირველობა

გადაულახავი ბარიერი

გუშინ საფრანგეთის ღია პირველობის მეოთხედფინალური ეტაპის ბოლო ოთხი საგზურის მფლობელიც გაირკვა. დიდი სლემის სათიხნარო ტურნირის მთავარი პრიზისთვის ბრძოლას გააგრძელებენ ესპანელები - **რაფაელ ნადალი** და **კარლოს მოია**, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და რუსი **იგორ ანდრეევი**.

გუშინდელი ოთხი მატჩიდან სამი სამ სეტში დასრულდა, ერთში კი ჩოგბურთელებმა ოთხი სეტი იმყოფინეს. ყველა მოუთმენლად ელოდა ნადალისა და ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტის** დაპირისპირებას, რომელშიც მოსალოდნელი იყო, რომ კარგ ფორმაში მყოფი ოზი მეჩოგნე ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევდა ტურნირის ორგზის ჩემპიონს, რომელმაც 21 წლის იუბილე შაბათს აღნიშნა, მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა.

ჰიუიტი მაშინღა ათამაშდა, როცა მესამე სეტის მე-11 გეიმში ნადალმა მისი მონოდება აიღო და თავის სერვისზე მატჩზე ანოდებდა. ამჯერად ჰიუიტმა ბრეიკი გაახერხა და სეტიც ტაიბრეიკზე გადაიყვანა, სადაც თავიდან მინიბრეიკით კი დაწინაურდა, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია - ესპანელმა თამაშის შემობრუნების საშუალება არ მისცა.

"ისე მეჩვენებოდა, თითქოს ბურთი ზედმეტად დიდხანს დაფრინავდა. ან იქნებ, ეს რაფაელის უბადლო თამაშის შედეგია? არ ვიცი. სამაგიეროდ, იმის თქმა შემიძლია, რომ აქ მისი დამარცხება ნებისმიერისთვის ძალიან ძნელი იქნება", - განაცხადა ნატმაჩევს ჰიუიტმა, ვინც ნადალთან ერთი თვის წინ, ჰამბურგის მასტერსის ნახევარფინალშიც წააგო.

ნადალმა კიდევ ერთი, სოლიდური ნაბიჯი გადადგა სანუკვარი მიზნისკენ - ის საფრანგეთის ღიას ზედიზედ მესამედ მოსაგებად იბრძვის და თუ ეს შეძლო, ამით ლეგენდარული შვედის, **ბიორნ ბორგის** მიღწევას გაიმეორებს. ბორგი აქამდე ერთადერთი ჩოგბურთელი კაცია, ვისაც როლან გაროსი ზედიზედ სამჯერ აქვს მოგებული.

აღსანიშნავია, რომ 26 წლის ავსტრალიელმა შარშანაც საფრანგეთის ღიას მეოთხე წრეში ნადალთან წააგო. სულ კი ესპანელთან შვიდჯერ უთამაშია და აქედან მხოლოდ მესამე წაგო. თანაც, ყველა წაგება მან თიხის კორტებზე იგემა, თავად კი ანალოგიურ კორტებზე მასთან არასოდეს მოუგია.

ნადალმა თამაშის დასაწყისშივე დაიწყო მეტოქის განადგურება. მან საწყის გეიმშივე მიაღწია ბრეიკს და ეს შედეგი მეტოქის მომდევნო სერვის-გეიმზეც გაიმეორა. 5:2-ზე, როცა ესპანელი სეტზე ანოდებდა, ჰიუიტმა სამი სეტ პოინტი მოიგერია და მერე ბრეიკიც კი "გაუბედა" ტურნირის მოქმედ ჩემპიონს. მაგრამ ამით საქმეს მაინც ვერ უშველა - მომდევნო გეიმშივე ნადალმა სამაგიერო მიუზღო უიმბლდონისა და აშშ-ის ღიას ყოფილ ჩემპიონს.

უფრო ცალმხრივი იყო მეორე სეტი, რომელშიც ოზმა ჩოგბურთელმა მხოლოდ ერთი გეიმის (თავის პირველ სერვისზე) მოგება შეძლო. ამ სეტში ნადალმა ორჯერ (მეოთხე და მეექვსე) გეიმებში მოიპოვა ბრეიკი და საქმე ნახევარ საათზე ოდნავ მეტში მოათავა. მესამე სეტის შესახებ კი უკვე მოგიყევით.

ნადალის მომდევნო მეტოქეა მისივე თანამემამულე და მეგობარი, როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი კარლოს მოია, რომელმაც შვედი **იონას ბიორკმანის** დასამარცხებლად სამი სეტი იმყოფინა.

"რაფაელთან ძნელი მატჩი მელის. ორივე ერთმანეთის სტილს კარგად ვიცნობთ. ყველაფერს ვიღონებ, რათა ჩემი ცოდნა და გამოცდილება გამოვიყენო, მაგრამ ისიც ვიცდ, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება. დიდი ხანია, დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში არ მითამაშია, ახლა კი ისევ აქ ვარ და ვეცდები, კიდევ უფრო შორს გავიდე", - განაცხადა მოიამ, ვინც ნადალს კარიერის დასაწყისში ძალიან დაეხმარა და ხშირად ამაყობს ამით. აღსანიშნავია, რომ მოიას დიდი სლემის ტურნირების მეოთხედფინალში 2004 წლის როლან გაროსის შემდეგ არ უთამაშია.

საფრანგეთის ღიაზე ბიორკმანის საუკეთესო შედეგი მეოთხე წრეში გასვლაა, რასაც მან პირველად და აქამდე უკანასკნელად, 11 წლის წინ მიღწია. მიმდინარე ტურნირის დასაწყისში, მან ორი ისეთი თამაში მოიგო, რომლებშიც პირველი ორი სეტი დათმო. ამგვარად, უიმბლდონის შარშანდელმა ნახევარფინალისტმა ყველას დაანახა, რომ თამაშის უბრძოლველად დამთმობი არაა.

შეხვედრა შვედმა უკეთ დაიწყო. პირველ სეტში ის 5:2 დაწინაურდა. მაგრამ წყვილების თამაშის სპეციალისტმა ვერ შეინარჩუნა ესოდენ სოლიდური უპირატესობა, რაც პირველ რიგში, მოიას დამსახურებაა. მან ხაზიდან უშეცდომო და გააზრებული თამაშის წყალობით, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი ტაიბრეიკი თავად მოიგო. მეორე სეტის უბრძოლველად წაგების შემდეგ, ბიორკმანმა კორტზე მასაჟისტს უხმო, რომელმაც დაღლილი მხრები დაუმუშავა, მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველა.

აღსანიშნავია, რომ ბიორკმანი და მოია მიმდინარე ტურნირის ყველაზე ხნიერი მოთამაშეები არიან, მათი ჯამური ასაკი კი 65 წელია. ამასთან, 35 წლის შვედი 1972 წლის შემდეგ როლან გაროსის ყველაზე ხნიერი მოთამაშეა. 1972 წელს ეს საპატიო წოდება ტურნირის ორგზის ჩემპიონს, იტალიელ **ნიკოლა პეტრანჯელის** ერგო, ვინც ბოლოს პარიზულ კორტზე 38 წლისამ ისაპარეზა.

მეოთხედფინალში კი ყველაზე ხნიერი მოთამაშე მოია იქნება. *"ვამაყობ იმით, რომ კორტზე ყველაზე ხნიერი მე ვიქნები. ახლაც მახსოვს ის დრო, როცა ტურნირზე ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ვიყავი. დრო ძალიან სწრაფად გადის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჯერაც შემიძლია დიდი მიზნების მიღწევა"*, - ამბობს მოია.

კიდევ ერთი ესპანელი, რომელსაც მეოთხედფინალში გასვლის შანსი ჰქონდა, **ფერნანდო ვერდასკო** იყო, მაგრამ მას ამაში ხელი სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** შეუშალა, ვინც ამ ეტაპზე, ტურნირს შემორჩენილი ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა. ბევრი მიიჩნევს, რომ სწორედ ოცი წლის ბელგრადელია ის ერთადერთი ჩოგბურთელი, ვისაც ნადალი-ფედერერის თითქმის გარანტირებული ფინალის ჩაშლა შეუძლია.

ჯოკოვიჩს საკმაოდ გაუჭირდა წინა სამი ეტაპის გავლა, მაგრამ როგორც ჩანს, მესამე წრეში ფრანგ **ოლივიე პატიენსთან** მოპოვებულმა ძნელმა გამარჯვებამ (იმ შეხვედრაში სერბს ორი ქულა აშორებდა ნაგებასთან) ის გამოაცოცხლა.

"ჯერჯერობით, ტურნირზე ჩემი გამოსვლით უკმაყოფილო ვარ. ჯერ ერთი, თამაშის ხარისხი არ მაკმაყოფილებს. მეორეც, რეიტინგში ჩემზე გაცილებით დაბლა მდგარი ჩოგბურთელების დამარცხება გამიჭირდა. მაგრამ ვერდასკოსთან მოპოვებული გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ პროგრესი მაქვს. ვერდასკო თიხის სპეციალისტია და ამ საფარზე ყოველთვის თავდაჯერებულად თამაშობს. ჰოდა, მე ის სეტის დაუთმობლად დავამარცხე, რაც მომდევნო ეტაპისთვის თავდაჯერებულობას შემმატებს", - განაცხადა ჯოკოვიჩმა, ვინც მომდევნო ეტაპზე რუს **იგორ ანდრეევს** დაუპირისპირდება.

ახლა სერბისთვის მთავარი გამძლეობაა. წინა ორ სეზონში, მას სწორედ გამძლეობამ უმტყუნა - შარშანწინ სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ გასცდა მეორე წრეს, შარშან კი, ნადალთან მეოთხედფინალური დაპირისპირება წელის ტრავმის გამო შეწყვიტა.

"შარშან მეოთხედფინალშიც კმაყოფილი ვიყავი. კორტზე რომ გავედი, ვიცოდი, რომ ნადალის დამარცხებას ვერ შევძლებდი, რადგან ფიზიკურად გამოფიტული ვიყავი, რამაც წელის ტრავმა გამოიწვია. ახლა კი სულ სხვა სიტუაციაა - მე ფავორიტთა შორის მახსენებენ და ეს მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს", - ამბობს სერბი მეჩოგნე.

სხვათა შორის, ის მესამე სერბია, ვინც როლან გაროსის მეოთხედფინალს მიაღწია - ქალთა ბადეში ამავე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს მისმა თანამემამულეებმა, **ელენა იანკოვიჩმა** და **ანა ივანოვიჩმა**.

რაც შეეხება ანდრეევს, მან კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისთან** შეხვედრის პირველი სეტი კი დათმო, მაგრამ მომდევნო სამში მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და პირველად გააღწია დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში. შეგახსენებთ, რომ მან პირველ წრეშივე დაატოვებინა ტურნირი მსოფლიოს მესამე ჩოგანს, ამერიკელ **ენდი როდიკს**.

მერაბ ლორთქიფანიძე

კაცები

1/8 ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 14) 6:3, 6:1, 7:6(5)

იგორ ანდრეევი (რუს)-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 16) 2:6, 6:1, 6:3, 6:4

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 6)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:3, 6:3 7:6(1)

კარლოს მოია (ესპ, 23)-იონას ბიორკმანი (შვედ) 7:6(5), 6:2, 7:5

5 ივნისი. სამშაბათი

HTB-პლუსი (უახბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 არგენტინის ჩემპიონატი. არგ. ხუნიორსი-სან ლორენსო.
14:15 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
15:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:00 ტოქ-შოუ - 2:1.
16:45 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:00 არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-ბოკა ხუნიორსი.
21:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:00 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
23:30 პირდაპირი ხაზი.
00:30 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ბოსნია-თურქეთი.
09:00 სპორტკლუბი.
09:50 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
11:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ინგლისი-ბრაზილია.
13:45 სპორტკლუბი.
14:35 სპორტის სამყარო.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. დიუსელდორფი. გერმანია.
19:00 აფროსნობა. ამერიკის თასი.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. III მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი.
21:30 სპორტინფორმი.
21:45 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:15 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1986 წელი. ლივერპული-ევერტონი.
00:00 სპორტინფორმი.
00:10 აფროსნობა. ამერიკის თასი.
00:40 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
02:25 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. დიუსელდორფი. გერმანია.
06:30 აფროსნობა. ამერიკის თასი.

EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
10:45 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი. ავსტრია.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-შვედეთი.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-უკრაინა.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
13:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი (LIVE).
21:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
23:00 პროფესიული კრივი. WBA. ზემძიმე წონა. ნ. ვალუევი (რუსეთი)-რ. ჩაგაევი (უზბეკეთი). შტუტგარტი. გერმანია.
00:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
01:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
02:30 სპიდვეი. შვედეთის გრან-პრი.

EUROSPORT-2

06:30 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-კოლორადო.
09:00 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი. I მატჩი.
13:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. იაპონია-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-საფრანგეთი. პოლონეთი.
17:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-არგენტინა. პოლონეთი.
17:45 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-კოლორადო.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-შვედეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
23:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი. მუგელო.
00:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-კოლორადო.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

უეხბურთი

შვედეთი

II დივიზიონი

ენგოპინგი-ლიუნგსკილე	0:1
სილვია-ლეგერფორსი	1:2

პოლონეთის ლიგის თასი

ლეგნა-გროცლინი	3:2

EURO 2007 UNDER 19

ნორვეგია-ესპანეთი	2:5
აზერბაიჯანი-ისლანდია	2:5

მოტოსპორტი

მსოფლიო ჩემპიონატი

იტალიის გრან-პრი. VI ეტაპი

125 კუბ.სმ (20 წრე - 104.900 კმ)

1. ფაუბელი (ესპანეთი, "აპრილია") - 40:14.164; 2. გადეა (ესპანეთი, "აპრილია") - +0.020; 3. კორსი (იტალია, "აპრილია") - +0.055; 4. ტალმაში (უნგრეთი, "აპრილია") - +0.134; 5. კოიამა (იაპონია, KTM) - +1.662.

საერთო ჩათვლა: 1. ფაუბელი - 102 ქულა; 2. ტალმაში - 95; 3. ჰეშეკი (ჩეხეთი, "დერბი") - 91; 4. კორსი - 71; 5. გადეა - 66.

250 კუბ.სმ (21 წრე - 110.145 კმ)

1. ბაუტისტა (ესპანეთი, "აპრილია") - 40:18.605; 2. დე ანჯელისი (სან მარინო, "აპრილია") - +0.007; 3. ბარბერა (ესპანეთი, "აპრილია") - +7.665; 4. დოვიციოზო (იტალია, "ჰონდა") - +7.751; 5. ლიუტი (შვეიცარია, "აპრილია") - +27.267.

საერთო ჩათვლა: 1. ლორენსო (ესპანეთი, "აპრილია") - 128 ქულა; 2. დოვიციოზო - 101; 3. დე ანჯელისი - 95; 4. ბაუტისტა - 89; 5. ბარბერა - 63.

მოტოგრანპრი (23 წრე - 120.635 კმ)

1. როსი (იტალია, "იამაჰა") - 50:58.713; 2. ჰედროსა (ესპანეთი, "ჰონდა") - +3.074; 3. ბარუში (ბრაზილია, "დუკატი") - +3.956; 4. სტოუნერი (ავსტრალია, "დუკატი") - +6.012; 5. ჰოპკინსი (ბრიტანეთი, "სუზუკი") - +13.244.

საერთო ჩათვლა: 1. სტოუნერი - 115 ქულა; 2. როსი - 106; 3. ჰედროსა - 82; 4. მელანდრი (იტალია, "ჰონდა") - 68; 5. ვერმიულენი (ავსტრალია, "სუზუკი") - 63.

რალი

მსოფლიო ჩემპიონატი

საბერძნეთის რალი (VIII ეტაპი)

1. გრონჰოლმი ("ფორდი", ფინეთი) - 3:49.22,6; 2. ლოები ("სიტროენი", საფრანგეთი) - +0.38,6; 3. ჰ.სოლბერგი ("სუბარუ", ნორვეგია) - +1.34,1; 4. ჰირვონენი ("ფორდი", ფინეთი) - +2.41,3; 5. ჰ.სოლბერგი ("ფორდი", ნორვეგია) - +4.52,7; 6. ატკინსონი ("სუბარუ", ავსტრალია) - +6.31,7; 7. კოპეჩკი ("შკოდა", ჩეხეთი) - +8.15,8; 8. შტოლი ("სიტროენი", ავსტრია) - +8.56,2.

საერთო ჩათვლა: 1. გრონჰოლმი - 65 ქულა; 2. ლოები - 56; 3. ჰირვონენი - 49; 4. სორდო ("სიტროენი", ესპანეთი) - 28; 5. ჰ.სოლბერგი - 26; 6. ჰ.სოლბერგი - 24; 7. ატკინსონი - 15; 8. ლატვალა ("ფორდი", ფინეთი) - 12.

კონსტრუქტორთა თასი: 1. ფორდი - 114 ქულა; 2. სიტროენი - 86; 3. სუბარუ - 43; 4. სტობარტი - 41; 5. კრონოსი - 27; 6. შკოდა - 1.

ᲞᲝᲙᲔᲠᲘ

ᲞᲠᲝᲜᲒᲔᲠᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲐ

რᲝᲑᲝᲠᲘᲡ მოსალოდნელი იყო, "ანაჰაიმ დაქსის" წამყვანმა მცველმა - **კრის პრონგერმა** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ასე რომ, ის ვერ ითამაშებს "ოტავა სენატორზთან" ფინალური სერიის მეოთხე მატჩში.

ლიგის ხელმძღვანელობამ პრონგერი მესამე შეხვედრაში გამოვლენილი უხეშობისთვის დასაჯა. მცველმა ტრავმა მიაყენა ოტაველ ფორვარდ **დინ მაკამონდს**, რომელმაც ვადაზე ადრე დატოვა ყინული და შესაძლოა, თავის დაზიანების გამო, სერიის მომდევნო ორი მატჩიც გამოტოვოს.

წლევანდელ ფლეი ოფში, პრონგერი მეორედ იღებს ანალოგიურ სასჯელს. "დეტროიტთან" სერიაში, ის **ტომას ჰოლმსტრიომს** ეუხეშა და ერთი მატჩის გამოტოვება მოუწია.

სტენლის თასზე პრონგერმა 18 მატჩი ჩაატარა და 14 ქულა (3 გოლი+11 პასი) დააგროვა.

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐᲛ ᲩᲙᲐᲩᲣᲙᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ

"ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ ᲢᲠᲔᲨᲔᲠᲜᲘᲡ" ვეტერანი ფორვარდი - **კეიტ ტკაჩუკი** მომავალ სეზონში სხვა კლუბში ითამაშებს. 35 წლის ჰოკეისტი 1 ივლისს თავისუფალი აგენტი გახდება.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, კლუბის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ტკაჩუკთან კონტრაქტის გაგრძელებაზე.

ᲜᲘᲣᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

"ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙ ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘᲡ" ფორვარდი - **მიკაელ ნიულანდერი,** ხელფასის გაზრდის თაობაზე კლუბთან მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს. შვედ თავდამსხმელს სურს, წელიწადში 4.5 მილიონი დოლარი მიიღოს.

New York Post-ის ინფორმაციით, გასულ კვირას, ნიულანდერმა თავისი აგენტი - **პოლ ტეოფანუსი** გაანთავისუფლა, რომელმაც თავისი კლიენტისთვის, წელიწადში მხოლოდ 3.75 მილიონი დოლარის ოდენობის ხელფასი გაჩარხა.

ამ მომენტისთვის, "რეინჯერსის" ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ახალ აგენტს ეძებს, რომელიც მისი კონტრაქტის პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნებს. თუ ჰოკეისტმა თავისას ვერ მიაღწია, მაშინ 1 ივლისს ნიულანდერი თავისუფალი აგენტი გახდება და სხვაგან გააგრძელებს კარიერას. შვედი ფორვარდის გადაბირება "ვაშინგტონს", "ედმონტონსა" და "ფინიქსს" სურთ.

ᲘᲐᲒᲠᲘ ᲒᲐᲘᲡᲐᲓ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ

ჩეხური ჰოკეის უპირველესმა ვარსკვლავმა - **იარომირ იაგრმა**, კვირას, პრაღაში პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც გამოაცხადა, რომ მომავალი სეზონი, შესაძლოა უკანასკნელი იყოს მის კარიერაში.

"ერთი წლის შემდეგ, "ნიუ იორკ რეინჯერსთან" კონტრაქტს ვადა გასდის. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გაისად კლუბმა დიდ წარმატებას მიაღწიოს. რაც შემეხება მე, ვფიქრობ, საკმარისად დიდხანს ვითამაშე. იმისთვის, რომ ახალგაზრდებს არ ჩამოვრჩე, სულ უფრო და უფრო მეტი ვარჯიში მჭირდება. ამას კი, დიდი ენერგია მიაქვს", - ამბობს იაგრი.

35 წლის ფორვარდმა ჯერ არ იცის, რითი დაკავდება კარიერის დასრულების შემდეგ. *"შესაძლოა, რამდენიმე წელიწადი დავისვენო, ან იქნებ მწვრთნელობას მივყო ხელი"*, - აცხადებს ჩეხი ჰოკეისტი.

ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲚᲘ�გᲐᲨᲘ

გასულ უიქ ენდზე, კიდევ რამდენიმე ევროპელი გადავიდა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში.

ასე მაგალითად, "ჩიკაგო ბლეკჰოქსმა" კონტრაქტი გააფორმა ფინეთის ნაკრების თავდამსხმელთან - **პეტრი კონტიოლასთან**, რომელმაც მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე საკმაოდ შედეგიანი თამაში აჩვენა.

22 წლის ჰოკეისტმა გასული სეზონი "ტაპარაში" გაატარა. კონტიოლა 2004 წლის დრაფტის მონაწილეა. მაშინ "ჩიკაგომ" ეს მოთამაშე მეშვიდე რაუნდში - 196-ე ნომრად აირჩია.

■ ■ ■

NHL-ში ჩეხ მეკარეთა ლეგიონი კიდევ ერთი გოლკიპერით შეივსო. "ატლანტა ტრეშერზში" გადავიდა **ონდრეჯი პაველეცი.**

19 წლის მეკარემ კარიერა "კლადნოში" დაიწყო, გასული სეზონი კი, ოკეანის გაღმა, ერთ-ერთ დაბალ ლიგაში გაატარა, სადაც "სკრიმენ იგლზის" ღირსებას იცავდა და ჩემპიონატში საუკეთესო მაჩვენებელიც ჰქონდა - 2.52 გაშვებული გოლი მატჩში. ჩეხმა საუკეთესო დებიუტანტის პრიზიც მიიღო.

პაველეცი 2005 წელს, დრაფტის მეორე რაუნდში, საერთო 41-ე ნომრად აირჩიეს.

■ ■ ■

ჩეხი ფორვარდი - **იაროსლავ გლინკა** მომავალი სეზონიდან "კოლორადო ეველანშში" ითამაშებს. საინტერესოა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს დრაფტში მონაწილეობა არასოდეს მიუღია. 30 წლის თავდამსხმელმა პირველად მიიღო მიწვევა NHL-ის კლუბიდან.

ადრე გლინკა რუსეთში, "აკ ბარსის" შემადგენლობაში თამაშობდა.

■ ■ ■

გუშინ, "ფინიქს კოიოტზის" რიგებში ჩაირიცხა ჩეხი ცენტრფორვარდი - **მარტინ ჰანზალი**. ის **უეინ გრეცკის** გუნდს, 2005 წლის დრაფტის პირველ რაუნდში ჰყავდა აყვანილი. ჰანზალთან სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

2006-07 წლების სეზონში, ჩეხი თავდამსხმელი ჰოკეის დასავლეთ ლიგის (WHL) კლუბ "რედ დირში" თამაშობდა და 60 მატჩში 111 ქულა (26 გოლი+85 პასი) დააგროვა, რითაც WHL-ის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲖᲛᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ჩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო 2008 წლის ოლიმპიურ ობიექტებსა და ოლიმპიურ სოფელში პარაზიტებთან ბრძოლის დაწყებას აპირებს. ეს ინფორმაცია გერმანული სააგენტოს - Sport Intern-ის მთავარმა რედაქტორმა, **კარლ-ჰაინც ჰუბამ** გაავრცელა.

"ჯანმრთელობის დაცვის სისტემის 160 სპეციალისტი პეკინში გაემგზავრება. მათი მიზანია იმ პარაზიტებთან ბრძოლა, რომლებიც სხვადასხვა ავადმყოფობების გადამტანებად ითვლებიან. ვირთხები, მოსკიტები, შავი ხოჭოები და ტილები საფრთხეს უქმნიან ოლიმპიელების ჯანმრთელობას. იმედია, პარაზიტების გავრცელებაზე კონტროლი უფრო უხიფათოს გახდის ოლიმპიურ თამაშებს. მწერების ნაკბენები ოლიმპიადის მონაწილეებს ძილს უფრთხობს და აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი მათ სპორტულ შედეგებზე უარყოფითად მოქმედებს", - აცხადებს კარლ-ჰაინც ჰუბა.

მიუხედავად ჩინეთის ეკონომიური აღმავლობისა, ამ ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საქმეები არც ისე კარგად მიდის. გამოთვლილია, რომ 2003 წელს ქვეყანაში გავრცელებული ატიპიური პნევმონიის ეპიდემიის გამო, ჩინეთმა ტურიზმიდან მილიარდობით შემოსავალი დაკარგა.

ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ

ᲘᲡᲔᲕ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲰᲔᲒᲔᲛᲝᲜᲘᲐ

ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ წონის საშველი არ არის. ყველაზე პრესტიჟულ წონაში, ყველაზე პრესტიჟული ოთხივე გაერთიანების ტიტულებს ისევ ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების მოკრივეები ფლობენ. მათგან მეოთხეს (WBO-ის - კრივის მსოფლიო ორგანიზაციისას), რომელიც კვირამდე ამერიკელ "ზარბაზან" **შენონ ბრიგსს** ეპყრა, ახლა რუსი **სულთან იბრაგიმოვის** ხელშია.

მათი შერკინება ატლანტიკ სიტიში შედგა. ჩემპიონი ბრძოლამდე ბევრს იმუქრებოდა, მაგრამ რინგზე ჯეროვანი ვერაფერი შეაგება ტიტულის მოცილე რუსს, რომელმაც ერთხელ რინგზეც კი დასცა ოდესაც **ჯორჯ ფორმენის** მძლეველი გიგანტი. იბრაგიმოვმა ცაციათი შესანიშნავად იმუშავა, ბრიგსი კი მხოლოდ მისი დარტყმების მოგერიებას ცდილობდა. ის ისე ზანტად ირჯებოდა, გეგონებოდათ, ბრძოლა არ სურსო. შედეგიც შესაბამისი მიიღო - 12 რაუნდის შემდეგ, სამივე მსაჯმა უპირატესობა (119-109, 115-113, 117-111) იბრაგიმოვს დაუწერა. მათი გადაწყვეტილება გაიზიარა "ესოშეიტიდ პრესის" სპეციალისტმაც (119-109).

შეგახსენებთ, რომ ზემძიმე წონაში, სხვა სამი პრესტიჟული გაერთიანების ჩემპიონები არიან: IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ვერსიით, უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკო**, WBC-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) ვერსიით ყაზახი (ხან რუსია, ხან ყაზახი) **ოლეგ მასკაევი** და WBA-ის (კრივის მსოფლიო ასოციაცია) ვერსიით - უზბეკი **რუსლან ჩაგაევი**.

ბრიგსთან შეხვედრამდე, იბრაგიმოვის ყველაზე დიდი მიღწევა მოყვარულობისას, სიდნეიში მოპოვებული ოლიმპიური ვერცხლის მედალი იყო. მან ბრძოლით გაიკაფა გზა პროფესიონალების მწვერვალისკენ და ბრიგსთან შეხვედრის უფლება მოიპოვა, მაგრამ პირველად დანიშნული შეხვედრა გადაიდო, რადგან ამერიკელს რინგზე გამოსვლის საშუალება პნევმონიამ არ მისცა (ის ასთმითაცაა დაავადებული).

იბრაგიმოვთან ნაგების შემდეგ, ბრიგსმა განაცხადა, რომ ბრძოლამდე ორი კვირით ადრე, ასთმის შეტევა დაეწყო და ამ პერიოდში წესიერად არც უვარჯიშია. თუმცა, ამის მიუხედავად, იძულებული ვიყავი, რინგზე გამოვსულიყავი, რადგან ტიტულის დაკარგვის საშიშროების წინაშე დავდექიო. ის მაინც გამოვიდა, მაგრამ ნაგებისთვის წინასწარ განწირული იყო.

"ყველაფრის მიუხედავად, მოვიქეცი ისე, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. ძალიან მიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ისინი (არ აზუსტებს, ვინ) დამიკავშირდნენ და მირჩიეს, ბრძოლაზე უარი არ მეთქვა, ბრძოლის ჩაშლისთვის სასამართლოში მიჩივლებდნენ და ტიტულსაც ჩამომართმევდნენ. რა უნდა მექნა? რინგზე კი ის სულ მოძრაობდა, გამირბოდა. მე კი დევნის თავი სად მქონდა, ძლივს ვსუნთქავდი. ისე, ხომ მაინც დავამტკიცე, რომ ზემძიმე წონაში ჩემპიონობა ასთმიანებსაც შეუძლიათ. ბრძოლამდე ორი კვირის განმავლობაში თითქმის არ მივარჯიშია და ანტიბიოტიკებით ვმკურნალობდი. მოკლედ, მოუმზადებლად რინგზე გამოსვლა არ მსურდა, მაგრამ მათ დამაძალეს და მეც სხვა გზა არ მქონდა", - ყვება 35 წლის ბრიგსი და დასძენს, რომ ნაგებისა და სოლიდური ასაკის მიუხედავად, კრივიდან წასვლას არ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ ბრიგსი WBO-ის ტიტულს ნოემბერში მას შემდეგ დაეუფლა, რაც ნოკაუტით მოუგო ბელარუს **სერგეი ლიახოვიჩს**. სხვათა შორის, ბრიგსი იმ ბრძოლასაც ქუღლებით აგებდა, მაგრამ ბოლო წამებზე განახორციელა თავისი "მომაკვდინებელი" დარტყმა, რითაც მეტოქე რინგს მიღმა გადაუძახა. მაშინ მისმა ზარბაზანმა მუშტმა იმუშავა, ამჯერად კი - ვერა.

სხვათა შორის, ბრძოლამდე ბრიგსს თავის ძველ პრომოუტერ **დონ კინგთან** უთანხმოება მოუვიდა. მართალია, კინგის მეცადინეობით, ბრძოლაში მან 1.8 მილიონი დოლარი აიღო, ახალმა ჩემპიონმა კი - 600 000, მაგრამ "ზარბაზნის" უკმაყოფილება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ კინგი მას ბრძოლის კიდევ ერთხელ გადადებაში არ დაეხმარა.

ამ შემთხვევაში, კინგის მოტივაცია გასაგებია - მას პრესტიჟულ გაერთიანებათა ჩემპიონების ერთმანეთთან შეხვედრა სურს და ამ ბრძოლის კიდევ ერთხელ გადადებით, სხვა ჩემპიონების ბრძოლების გრაფიკს ძლიერ დაშორდებოდა. ამიტომ, თავი არ გამოუდვია, როცა ავადმყოფ ბრიგსს რინგზე გასვლა დაძალეს.

იბრაგიმოვი კი ახლავე მზადაა, რომელიმე ჩემპიონს შეხვდეს, ოღონდ მისი მთავარი მოთხოვნა ისაა, რომ ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლა ევროპაში (მას მოსკოვი სურს) უნდა ჩატარდეს.

თუმცა, ყველაფერი მაინც პრომოუტერებზე იქნება დამოკიდებული. ესენი პრაგმატული ადამიანები არიან და ყველაფერს ზედმიწევნით ანგარიშობენ. მაგალითად, თუ ბრძოლა ამერიკაში ჩატარდება, კარგი შემოსავალი ექნებათ საკაბელო ტელეარხებს, რომლებიც ბრძოლის ჩვენების გაყიდვით, სოლიდურ შემოსავალსაც იღებენ და ამ შემოსავალს მოკრივეებს უნაწილებენ. ბრძოლის ევროპაში ჩატარების შემთხვევაში, საკაბელო ტელეარხების დაინტერესება შემცირდება. სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად გაიზრდება დასწრება.

მოკლედ, თუ იბრაგიმოვი მეტოქედ კლიჩკოს აირჩევს, მაშინ ალბათ, ამერიკაში მოუწევს ბრძოლა, რადგან გერმანიაში უკრაინელი თავისიანად მიაჩნიათ, მოსკოვში კი თავად იქნება მასპინძელი. სხვა შემთხვევებში კი ალბათ ყველაზე რეალური ბრძოლის ევროპაში (უფრო მოსკოვური) დანიშვნა იქნება.

მერაბ ლორთქიფანიძე



შეტევაზეა იბრაგიმოვი

ᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
** თენგიზ გაჩეჩილაძე**

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
პაატა გელაშვილი

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ᲤᲝᲢᲝ
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მიხეილ ჯაში

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ლელა ხოფასერიძე
ლევან გიგილაშვილი

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეფაკიძე,
ქეთევან დიდგერიძე

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაჟარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: **ᲨᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲐᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ**

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ